# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 15 თებერვალი 2000 №26 (1048) | ფასი 50 თეთრი

### 3
## იოჰან ბოსკამპს ქეცბაიაც მოუნდა

არ მსურს, რობსონს მოვწონდე, მინდა, მათამაშოს, ამბობს „ნიუკასლის“ ქართველი ნახევარმცველი

### 3
## ევროპას ქართველი დირექტორი ეყოლება

დავით პეტრიაშვილი ევროპის ჩემპიონატის არნემულ მატჩებს უდირექტორებს

### 8
## რეალმა ბარსელონას გაუსწრო



ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ლიდერთა სამეულმა ჯამში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა

### 14
## დასავლეთი მაღალი და ძლიერია

49-ე „ოლ სტარის“ უძვირფასესი მოთამაშის ტიტული ორმა ვარსკვლავმა გაიყო

# ტომარაძე VS ხმელიძე
# ბათუმი და რუსთავი
# ახალი დროება უთბილისოდ?



ბასკო — აზოტი 89:87. ბათუმელები ლევან ქარაბაკი (№14), ვლადიმერ ბეჟანიშვილი (№8) და რუსთაველები ლევან წიკლაური (№12) და რამაზ გოგობერიშვილი (მარჯვნიდან პირველი) ბურთისთვის შებმულან

## 17 ტური

საქართველოს ჩემპიონატის დებიუტანტმა ბათუმის „ბასკომ“, პირველი წრის მსგავსად, დამატებით დროში მოუგო უმთავრეს მეტოქეს რუსთავის „აზოტს“ და კვლავაც დაუმარცხებელია. ჩემპიონატის მეორე დებიუტანტის, „გორის“ მომავალი კი ერთობ ბუნდოვანია: გორელებმა კიდევ ვერ გადაიხადეს ვალი, რის გამოც საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ, ზედიზედ მეორე მატჩში, ამჯერად „ვითას“ წინააღმდეგ, 0:20 წაგება ჩაუთვალა და 0 ქულა არგუნა. ჩემპიონატის დებულების მიხედვით, „გორი“ გათამაშებიდან უნდა მოიხსნას. ამის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ფედერაციის აღმასკომი მიიღებს.

რეპორტაჟი ბათუმიდან და ტურის მიმოხილვა იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდებზე

# ზეიმი ტყვიებში

*აფრიკის თასი ახალმა მფლობელმა ჩაიბარა. არც ნიგერია, არც განა და არც სამხრეთ აფრიკა — პირველობის უდავო ფავორიტები — ზეიმის მონაწილენი არ გამხდარან. ეს პატივი კამერუნს ერგო. თუმცა ზეიმი პირობითად ნათქვამი სიტყვაა. დაჯილდოებისას ფეხბურთელებს ცხენოსანი პოლიცია იცავდა. ტრიბუნებზე და სტადიონს მიღმა კი ნამდვილი ომი გაჩაღდა. ლაგოსის თავზე ცრემლსადენი გაზის ღრუბლები კარგა ხანს ტრიალებდა. ეს ყველაფერი ტუნისელი მსაჯის ერთ შეცდომას მოჰყვა — პენალტების სერიის შესრულებისას იგი სხვა მხარეს იყურებოდა...*

იხილეთ მეათე გვერდი



REUTERS

გამარჯვებული კამერუნელები ჩემპიონობას ზეიმობენ

# წაგება მოსაგებად

კვიპროსზე მოსამზადებლად მყოფმა საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" კვირას უნგრეთის „დებრეცენთან" ამხანაგურად ითამაშა და 0:1 წააგო.

ჩვენებურთა შემადგენლობა ასეთი იყო: გრიშიკაშვილი; დიდავა, ვაშაკიძე, ხიზანეიშვილი, ა. სახვაძე; გუჩუა, ანჩაბაძე, დათუაძე, არველაძე; წიტაიშვილი, გ. მიქაძე. მეორე ტაიმში ოთარ კორღალიძემ ხუთი ფეხბურთელიც ათამაშა: რუხაძე, გ. შენგელია, გონჩაროვი, ქემოკლიძე და გველესიანი.

„დინამოს" მწვრთნელის თქმით, წინა დღით სამჯერადი ვარჯიშის შემდეგ ბიჭები გადაღლილები ყოფილან, რაც თამაშსაც დაეტყო. „დინამოს" თურმე განსაკუთრებით მეორე ტაიმში გაუჭირდა. „ამ მატჩის შედეგს ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, 16-შიც უნგრეთის სხვა გუნდთან გვაქვს მატჩი დაგეგმილი და ჩათვალეთ, მათთანაც ვივარჯიშებთ. 19 და 22 თებერვალს ბუქარესტის „დინამოსთან" და მოსკოვის „სპარტაკთან" კი მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ, ძლიერი მეტოქეები არიან, ჩვენს ნაკლსაც უკეთ დავინახავთ. 25-ში ხომ საქართველოს თასის მატჩი გველის, მერე „ტორპედოსთან" სუპერთასისთვის უნდა ვიბრძოლოთ" — გვითხრა ოთარ კორღალიძემ.

**კობა ინასარიძე**

# კოლხეთი: ისევ მარცხი

ფოთის „კოლხეთმა" ბულგარეთში მეხუთე საკონტროლო მატჩი კვირას გამართა. მეტოქე ამჯერად კვლავ ალექსანდრიის „პოლიგრაფტეხნიკა" გახლდათ. გამარჯვება უკრაინელებს დარჩათ — 2:0.

— მომენტები საკმაოდ გვქონდა, შავგულიძეს (ოთხჯერ) და... კვირკველიას შეეძლოთ გატანა. ორჯერ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ახალკაცმაც ვერ იხეირა, ერთხელ უკრაინელებმა ბურთი კარიდან ხელით გამოიტანეს, ეს 0:2-ზე იყო. მსაჯმა კი რატომღაც პენალტი არ დანიშნა — გვითხრა ფოთელთა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ, როდესაც მას ბულგარეთში დავუკავშირდით.

„კოლხეთმა" შემდეგი შემადგენლობით ითამაშა: ქვაჩახია, პაპავა, ანჯაფარიძე, გ. ჩიტაია, ჯლამაძე, ჯღარკავა, ბურკვაძე, კვირკველია, შავგულიძე, კრასოვსკი (ჩხენკელი), რ. ახალკაცი.

„პოლიგრაფტეხნიკამ" პირველი ბურთი ფოთელებს 44-ე წუთზე გაუტანა. მეორე კი 63-ეზე. ფოთელები აქამდე უკრაინელებს ორჯერ გაეჯიბრნენ, ჯერ 2:1 მოუგეს, მერე 1:2 დამარცხდნენ. ახლა კი... დღეს კოლხები ნესებრში ბოლო ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ, უკრაინის პირველ ლიგის ერთ-ერთ ლიდერ კიევის „აბალონს" შეხვდებიან. „აბალონი" უკრაინული ლუდის მწარმოებელი ფირმაა, რომელიც სწორედ ამ კლუბის სპონსორია.

— ეს ალბათ ბოლო მატჩი იქნება. გუნდები უკვე აღარც შემორჩნენ, ყველა სამშობლოში დარბუნდა. გვინდოდა, ბულგარელებს შევხვედროდით, მაგრამ უარი გვითხრეს. თუ შესაძლებლობა მოგვეცა, ალბათ, 16-ში ან 17-წი ვითამაშებთ, თუ არა და 18 თებერვალს ფოთისკენ გამოვემგზავრებით — დასძინა ტყებუჩავამ.

„კოლხეთი" ნავარჯიშევი დაბრუნდება, რამდენად, ამას თასის მერვედფინალი გვიჩვენებს. ის კი ფაქტია, რომ მას ახლა ორი ტრავმირებული ჰყავს — კახაბერ გოროზია და ამირან კედელაშვილი.

**გიორგი ვაშაკიძე**

# სადაცაა ბედი შენი...

„გორდას" რომ მეკარის პრობლემა ჰქონდა, აქამდეც იყო ცნობილი. „მესხის თასის" ტურნირზე რუსთაველთა უარს გამოუცდელი გია გონგაძე იცავდა. „გორდას" პირველი მეკარე მამუკა ქორიძე კი დღესაც ტრავმირებულია და სამომავლოდ მისი თამაში საეჭვოა. მოკლედ, რუსთაველები დიდი პრობლემის წინაშე იდგნენ, მაგრამ მათ გასაჭირს ბოლო მოეღო, რადგან რამდენიმე დღის წინ კლუბს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი გრიგოლ ბედიაშვილი დაუბრუნდა. ბედიაშვილი X საიუბილეო ჩემპიონატში მამუკა გიორგაძის მეწყვილე იყო და ახალგაზრდულ ნაკრებშიც „გორდადან" მოხვდა. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი „თბილისს" მიაშურა, თუმც ეროვნულის პირველ ეტაპზე იშვიათად უწევდა ამ გუნდის შემადგენლობაში თამაში. როგორც ჩანს, სწორედ ეს გახდა ბედიაშვილის რუსთავში დაბრუნების საბაბი.

ახალგაზრდული ნაკრების მეკარე დღეს „გორდას" შემადგენლობაში „სიონის" წინააღმდეგ საკონტროლო მატჩშიც მიიღებს მონაწილეობას, ოფიციალურად კი ძველ-ახალ გუნდს რამდენიმე დღეში შეუერთდება, რადგან ჯერაც „თბილისიდან" განთავისუფლების ფურცლის მოლოდინშია.

**პაატა ქვანტალიანი**

# ომმა ზაგრებში გადაინაცვლა

— ბაქოში დიდი ომის გადახდა მოგვიწევს, რათა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოვხვდეთ — თქვა ამას წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ლევან ყიფიანმა.

ადრეც ვიუწყებოდით, რომ საქართველოს ნაკრები გამალებულ სამზადისში იყო. წესით და რიგით, ქართველები ბაქოს სხვებთან ერთად დღეს უნდა სწვეოდნენ, მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, შესარჩევი ეტაპი ხორვატიაში გაიმართება — ფიფამ აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციას უფლებამოსილება შეუჩერა. ამან მინი-ფეხბურთის შესარჩევ ეტაპზეც იქონია გავლენა და ტურნირმაც ზაგრებში გადაინაცვლა. ჯგუფის შემადგენლობა კი იგივე დარჩა — აზერბაიჯანელები არ მოუხსნიათ გათამაშებიდან და ზაგრებში ქართველებს მათ გარდა მეტოქეებად მასპინძლები, ბერძნები და ჩეხები ეყოლებათ.

თავდაპირველი ინფორმაციით, ზაგრებში შესარჩევი ეტაპი 18 თებერვალს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მასპინძლებს ტურნირის სათანადო ორგანიზაციისთვის გარკვეული დრო უთხოვიათ და შესარჩევი ეტაპის გამართვის ზუსტი დრო ჯერჯერობით დაუდგენელია. ლევან ყიფიანის ვარაუდით, ნაკრები ხორვატიაში თებერვლის ბოლოს გაემგზავრება. აქვე ქართველთა ერთ გასაჭირზეც გეტყვით. ჩვენი ნაკრები შესაძლოა, ხორვატიას არასრული შემადგენლობით ეწვიოს. საქმე ისაა, რომ რუსეთის „სპარტაკ-მინკასი" უარს ამბობს თავისი ქართველი ლეგიონერების — ბესო ზოიძისა და ანდრო მიზანდარის გაშვებაზე. საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას სრული უფლება აქვს, რუსეთის მინი-ფეხბურთის ლიგის ვიცე-ჩემპიონს ნაკრების წევრები მოსთხოვოს, მაგრამ ამას არ აკეთებს. მიზეზი გასაგებიცაა — ლევან ყიფიანის თქმით, ამით ისევ ფეხბურთელები დაზარალდებიან, რადგან შესაძლოა მათ „სპარტაკ-მინკასის" ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაუმწვავდეთ. ასე რომ, ნაკრები სახორვატიოდ ორი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე რჩება.

**პაატა ქვანტალიანი**

# საშინელი ზღაპარი

ისტორია, ახლა რომ უნდა გიამბოთ, ძალიან წააგავს ზღაპარს. ზღაპარს, რომელსაც ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს.

ზღაპრის მთავარი გმირი რამდენიმე წელია, წვალობს. ხანი არ გამოხდება მის თავზე შავი ღრუბლები არ შეიყარონ. იბრძვის დღესაც, მაგრამ კაცთა სიავეს ვერ მორევია. თავიდან იწყება ყველაფერი ის, რაც მას და მის გულშემატკივრებს ჩავლილი ჰგონიათ.

გულშემატკივარი კი ბევრი ჰყავს, თითქმის მთელი საფეხბურთო საქართველოს.

მაშ ასე, იყო და არა იყო რა... იყო და არის დონეცკის „შახტარისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი მიხეილ ფოცხვერია...

მიშა, როგორც კარგი მომავლის ფეხბურთელი, ჯერ კიდევ ნაკრების იმდროინდელმა თავკაცმა ალექსანდრე ჩივაძემ ახსენა, უკრაინაში მობურთალ ქართველს მალე მოვიწვევთ და გავსინჯავთო. მაშინ 1994 წელი იდგა.

ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან" დონეცკის „შახტარში" ახალგადასულ ფოცხვერიას ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი შეეხმიანა და საქართველოს ახალგაზრდულ გუნდში თამაში შესთავაზა. საშინელებებიც იმ დღიდან დაიწყო.

ერთი წამითაც არ დაფიქრებულა. უკრაინაში გაზრდილ-დავაჟკაცებული, მაგრამ სულით ქართველი პირველი დაძახებისთანავე თბილისში გაჩნდა.

ფოცხვერიამ საქართველოს დაბეჩავებული ფეხბურთი ამჯობინა გაცილებით უკეთეს პერსპექტივას, მუდმივი ადგილი „შახტარის" ძირითად შემადგენლობაში და მიწვევა უკრაინის ჯერ ახალგაზრდულ, მერე ეროვნულ გუნდში.

ნაღდი ქართველი სხვაგვარად არ მოიქცეოდა...

აიმღვრა და დაიბოღმა „შახტარის" მაშინდელი დამრიგებელი იარამჩენკო. კლუბის თავკაცებმაც აითვალწუნეს ქართველი. მთავარ მწვრთნელს დაუჭირეს მხარი.

„შენ დაილუპები, როგორც ფეხბურთელი" — თითქმის ყოველდღე ჩესჩმოდა ყურში. თანდათან გუნდის სათადარიგო მოთამაშედ იქცა. მინდორზე გასვლა სანატრელი გაუხდა.

ცბიერი იყო იარამჩენკოც. როცა ძალიან გაუჭირდებოდა, ქართველსაც მაშინ გაიხსენებდა. „მიშა, მოემზადე" — სხვა დიალოგი არც გამართულა მწვრთნელ-ფეხბურთელს შორის წლების მანძილზე.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების უცვლელი წევრი დროგამოშვებით ეროვნულ გუნდშიც გამოჩნდებოდა ხოლმე. ფოცხვერიას არ ივიწყებდა ვლადიმერ გუცაევი, იოჰან ბოსკამპმაც შეიტყო მისი არსებობის შესახებ.

მუდამ სრულ მზადყოფნაში არ ხვდებოდა ნაკრების მატჩებს, მაგრამ ამაში დამნაშავე თავად კი არა, მისი ტრავმა იყო. კიდევ ერთი სიმუხთლე „შახტარის" მესვეურებისგან. მენისკის ოპერაცია არასწორად გაუკეთეს, რამაც დაღი დაამჩნია მის კარიერას.

ის მაინც ჩამოდიოდა. თბილისში პოულობდა შვებას. დილმის ბაზაზე თუ სასტუმრო „მესაზღვრეში" ჭიშკარს გამოცილებული სახეზე ღიმილს გადაიფენდა და ქართულად ხმამაღლა დაიძახებდა: „გამარჯობათ, ბიჭებო!"

აქამდე ვერავინ იტყვის, რაც მიხეილ ფოცხვერია ნაკრებში გამოჩნდა, ვინმესთან კონფლიქტი მოსვლია, ან მწვრთნელი გაუბრაზებიაო. მუდამ თავმდაბალი, ჩუმი და საქმის მკეთებელი გვახსოვს.

მისი ყველაზე დიდი დანაშაული (თუ ამას დანაშაული ჰქვია) ის იყო, რუსთავში თანატოლ იტალიელს ქართული ალიყური რომ აგემა. მაშინაც გაბრაზებულმა სტუმარმა ჯიში უხსენა უშნოდ და... თუ საღ აზრზეა, იტალიელ ფრანჩესკო კოკოს, ახლა სერია A-ს „ტორინოში" რომ თამაშობს, დღესაც ემახსოვრება ფოცხვერიას მარჯვენის ძალა.

„შახტარმა" და მისმა ხელმძღვანელებმა ჩაუშალეს ჩვენებურს რეალობას მიახლოებული ყველა ოცნება. იტალიელებს სურდათ მისი გადაბირება, მაგრამ იარამჩენკომ იმდენი მოახერხა, აპენინელებს თავისი პროტეჟე ატელკინი შეასაღა. რიგში იდგნენ გერმანული და რუსული კლუბები, მაგრამ არა და არა, ისმოდა „შახტარის" ოფისიდან.

ცნობილ ნოდარ ახალკაცსაც მოუფიქრებია, როგორ უნდა დაეხსნა ფოცხვერია. „მიშა საქართველოს მოქალაქეა, მოვახერხოთ ისე, რომ ქართულ ჯარში გაიწვიონ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად. სხვაგან თუ არა, არმიულ „არსენალში" ითამაშებს, ორი წლის შემდეგ მისი კონტრაქტიც ამოიწურება და ფოცხვერიაც თავისუფალი აგენტი გახდება.

არ დასცალდა ნეტარხსენებულს, დარჩა მიშა „შახტარში".

უკრაინულ კლუბთან ხელმოწერილ ხელშეკრულებასაც არ გაუვიდა ვადა. ახალ-ახალი პუნქტები ჩნდებოდა კონტრაქტში.

ერთი სოლიდური ქართული კლუბის პრეზიდენტმა მოინდომა ფოცხვერიას თავის გუნდში გადმოყვანა. შეწუხდა, სხვებიც შეაწუხა, თითქოს ფინანსურადაც ზურგგამაგრებული შეუდგა საქმეს, მაგრამ... ისევ არა, ფოცხვერიამ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, ის ისევ „შახტარის" კუთვნილებაა.

კაცი, რომელიც „შახტარისგან" თავის დახსნას ცდილობს და ყოველდღე ამას ნატრობს, ახალ კონტრაქტს არ გააფორმებდა. თუმცა როცა დაგემუქრებიან და იარაღს მოგიღერებენ, მაშინ კალამსაც აიღებ ხელში. „შახტარის" პრეზიდენტი სულაც არ არის უხარჯო ოქრო. უკრაინაში ხშირად გაიგონებთ მისი საეჭვო საქმეების შესახებ. ასე რომ, თბილისში ჭორად დარხეული მართლაც წააგავს სიმართლეს.

„შენ დაილუპები, როგორც ფეხბურთელი" — „შახარის" ხელმძღვანელები თანდათან საქმედ აქცევენ ოდინდელ მუქარას. მიშას ხან აუტსაიდერ „დნიპროში" ანათხოვნებენ, ხანაც ძველებურად სათადარიგოებში აყურყუტებენ.

ვერც ბიშოვეცის, ვერც პროკოპენკოს მოსვლამ უშველა საქმეს. ალბათ, ახლაც გაანათხოვრებენ. ისე, ახლანდელი ვარიანტი ძველზე ბევრად უკეთესია. ფოცხვერიას მისთვის ნაცნობ გუნდში, ზაპოროჟიეს „მეტალურგში" უპირებენ გაგზავნას. მთლად უთამაშებლობას ეს გაცილებით სჯობს.

კი მაგრამ, ხომ უნდა იყოს მისი განთავისუფლების რამე ვარიანტი?! იქნება, აუცილებლად იქნება, ოღონდ ამას უფრო დიდი ცოდნა, გაცილებით მეტი მონდომება და ენერგია სჭირდება. რა თქმა უნდა, უფულოდ არაფერი გამოვა. დარწმუნებული ვარ, მიშა მასზე დახარჯულ თანხას ერთ წელიწადში ორმაგად აანაზღაურებს, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი კაცი ქართულ ფეხბურთში ამჟამად არ მოიძებნება. ვინც მცოდნეა და გზები იცის, მას არც ფული აქვს და არც გასაქანს აძლევენ. ფულიანებს კი ფოცხვერიას ბედი ნაკლებად ადარდებთ.

არადა, მიშა უკვე 25 წლისაა. ისეთ ასაკშია, როცა ფეხბურთელმა თავისი შესაძლებლობები სრულად უნდა გამოავლინოს. ფოცხვერია ის ბავშვი აღარაა, იტალიელს რომ სცემა. თუ ახლა არ ეშველა, მერე იქნებ გვიან იყოს.

„შახტარის" პრეზიდენტი რინატ ახმეტოვი კი თავისებურად ჭრის და კერავს. ადრე გაიძახოდა, ფოცხვერიას კონტრაქტის გასრულების შემდეგ 30-თვიანი ტაბუ ადევსო. ახლა ალბათ ამბობს, მთელი სიცოცხლე „შახტარში" მეყოლებაო.

ჩვენ კი, და არა მარტო ჩვენ, ველოდებით, როდის გამოიძახებენ ნაკრების თავკაცები მიხეილ ფოცხვერიას, როდის გადმოაბიჯებს დილმის საწვრთნელი ბაზის ზღურბლს და სახეზე ღიმილდაფენილი ომახიანად დაიძახებს: „გამარჯობათ, ბიჭებო!"

ვინ იცის, ეგებ ეს დღე არც დადგეს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება მისი შემდგომი საფეხბურთო კარიერა. ითამაშებს კი საერთოდ ფეხბურთს, ან გაახსენდებათ ჩვენი ფეხბურთის მესვეურებს?!

დღეს კი სულ ეს არის, რაც შეიძლება ითქვას — მიხეილ ფოცხვერია ქართულ ფეხბურთს შეეწირა, მისი ცოდვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ადრინდელმა თავკაცებმა და ვლადიმერ გუცაევმა თანაბრად დაიდეს. მართალია, უნებლიედ, მაგრამ ასე გამოვიდა.

**მამუკა ქვანტალიანი**




მიხეილ ფოცხვერია

# თემურ ქეცბაია: არ მინდა, რობსონს მოვწონდე, მინდა, მან მათამაშოს



თემურ ქეცბაია

პრემიერლიგის ბოლო ტურში „ნიუკასლმა“ სეზონში საუკეთესო თამაში აჩვენა და კონტინენტის უძლიერესი გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედი“ გაანადგურა. თითქმის ორთვიანი შესვენების შემდეგ „ჯორდების“ რიგებში კვლავ გამოჩნდა (ისევ შეცვლაზე) საქართველოს ნაკრების ლიდერი თემურ ქეცბაია. თემურმა 61-ე წუთზე მატჩის გმირი შოტლანდიელი დანკან ფერგიუსონი შეცვალა და ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. „სანმაც“ და „მირორმაც“ ქართველს „6“ დაუწერა.

ამის მიუხედავად, ქეცბაიას მტკიცედ გადაუწყვეტია, „ნიუკასლი“ დატოვოს. ქართველს წინა კვირას ბობი რობსონისთვის უთხოვია, გუნდიდან გამიშვიო, თუმც ახალი კონტრაქტი „ჯორდებთან“ კიდევ ორწელიწადნახევრით აკავშირებს.

„შირერმა და ფერგიუსონმა მეტად ძლიერი დუეტი შექმნეს, რამაც „ნიუკასლში“ ადგილი დამაკარგინა — თქვა ქეცბაიამ — ამას ისიც დაემატა, რომ გუნდის ყველა წარუმატებლობას მე მაბრალებენ. ყველა მატჩის შემდეგ, რომელშიც ბოლოს მონაწილეობა მიგვიღია და წაგვიგია, რობსონი განტევების ვაცად მაქცევდა-ხოლმე“ — აღშფოთებულია თემური.

„აქ ძალიან უბედური ვარ. რამდენჯერმე ვცადე, რობსონს შევხვედროდი და ჩემს პრობლემებზე გავსაუბრებოდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მან მითხრა, რომ მოვწონვარ, მაგრამ მე არ მინდა, ვინმეს მოვწონდე, მინდა, რობსონმა ფეხბურთი მათამაშოს. იგი კი მეუბნება, რომ მაშინ მათამაშებს, როცა ამას თავად ჩათვლის საჭიროდ ან ვინმე დაშავდება. მე ეს არ მაკმაყოფილებს, ამიტომაც წასვლა ვარჩიე. არადა, ძალიან მინდოდა, კონტრაქტის ბოლომდე „ნიუკასლისთვის“ დავხარჯულიყავი“ — სინანულით აღნიშნა ქეცბაიამ.

ბოლო ინფორმაციით, თემურისადმი ყველაზე დიდ ინტერესს ინგლისის პირველი დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერი „ჰადერსფილდი“ იჩენს, რომელიც მე-5 ადგილზეა და პრემიერლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში მოხვედრის კარგი შანსი აქვს. „ჰადერსფილმა“ ახლახან „იფსვიჩს“ 2,5 მილიონ გირვანქად მთავარი მეგოლე მარკუს სტიუარტი მიჰყიდა და მეტად გაუჭირდა. კლუბს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი კაპიტანი სტივ ბრიუსი წვრთნის, რომელმაც გუშინ კომენტარისგან თავი შეიკავა. „ჩვენ ახლა ბევრ ფეხბურთელს ვაკვირდებით“ — მან მხოლოდ ეს სიტყვები გაიმეტა ერთ-ერთი ინგლისური გაზეთისთვის, რომლის მონაცემებით „ჰადერსფილდს“ ქეცბაიას იჯარით წაყვანა სურს სეზონის ბოლომდე. ეს კი, იმავე გაზეთის აზრით, კლუბს 900 000 გირვანქა დაუჯდება.

ქეცბაიას თვალი დაადგა პრემიერლიგელმა „ვესტ ჰემ იუნაიტედელმაც“, რომლის წარმომადგენელმა განაცხადა, თუ „ნიუკასლი“ ძალიან დიდ ფულს არ მოითხოვს, იქნებ მასთან მოლაპარაკებასაც შევუდგეთო.

გუშინ კი თემურის გადაბირების სურვილი საქართველოს ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, ახლა ბელგიური „გენკის“ დამრიგებელმა იოჰან ბოსკამპმაც გამოთქვა და რობსონთან მოლაპარაკებაც წამოიწყო. შეგახსენებთ, რომ წამყვანი ფეხბურთელი „გენკმაც“ დაკარგა — ბრანკო შტრუპარი „დერბი ქაუნთიში“ გადავიდა. ამით ბოსკამპსაც ჩაუშწარდა დებიუტი. „გენკმა“ ბოლო ტურში 0:5 წააგო „მუსკრონთან“.

თუ სად წავა, თავად თემურ ქეცბაიამ უნდა გადაწყვიტოს. ინგლისური მედიის აზრით, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მან ინგლისის დატოვება მოისურვოს, ანაც პირველ დივიზიონში თამაშს დათანხმდეს.

**სიმონ მენაბდე**

# ევროპას ქართველი დირექტორის ეყოლება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო განყოფილების წევრი დავით პეტრიაშვილი, რომელიც გასულ შემოდგომაზე ჩემპიონთა ლიგის მოსკოვური სამი მატჩისა და შემდეგ კიევის „დინამო“ — რომის „ლაციოს“ შეხვედრის დირექტორი გახლდათ, ახლა ევროპის ჩემპიონატის თამაშებზეც მიავლინა უეფამ.

ზაფხულში დავით პეტრიაშვილი ჰოლანდიის ქალაქ არნემში გასამართი სამი მატჩის დირექტორი იქნება. ყოველივეს დამადასტურებელი საბუთები პეტრიაშვილმა უეფასგან უკვე მიიღო. არნემში A, C და B ჯგუფის მატჩები ჩატარდება.

11 ივნისს თურქეთი იტალიას შეხვდება, 17 ივნისს რუმინეთი — პორტუგალიას, 21-ში კი სლოვენია — ნორვეგიას. აი, ამ თამაშების დირექტორი იქნება დავით პეტრიაშვილი.

ჯერ ლიგა იყო, ახლა ევროპის ჩემპიონატი, წინ, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატია...

**კობა ინასარიძე**

# კაპიტანი



ჩაფიქრებული კაპიტანი: გიორგი ნემსაძე

მასზე ბევრი არასოდეს მიწერია. ისე, სასხვათაშორისოდ მომიხსენებია — აქ ბურთი ამოიტანა, იქ პასი გააკეთა. კაპიტანმა გუნდის შეტევა წამოიწყო... დაახლოებით ამგვარად. გაცნობით კი მისი თაობის (ნიჭიერი თაობის) მოთამაშეებიდან პირველად სწორედ ის გავიცანი. უფრო სწორად, მაშინდელი (საბჭოური) „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა თქვა — ნემსაძეს დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლიაო და... ბიჭი იყავი და ნუ მიაქცევდი ამას ყურადღებას — მაშინ „დინამო“ სსრკ ჩემპიონატში გამოდიოდა, ნემსაძე კი სულ თექვსმეტი წლის გახლდათ.

სსრკ ჩემპიონატის მატჩშიც ითამაშა. მგონი, არ მეშლება — „არარატის“ წინააღმდეგ, გოლიც გაიტანა სომხების კარში. ძალიან ცოტა ვინმე იწყებდა ასე — დებიუტი და გოლი. ერთი სიტყვით, კარგი დასაწყისია დიდი საქმისაო, რომ იციან თქმა, ისე მოხდა.

მერე კი იყო პოლიტიკა, იყო კატაკლიზმები, ქუჩა, მიტინგები, მოკლედ ყველაფერი ფეხბურთის გარდა. ნემსაძის და მისი თაობის ზრდის გარკვეული ეტაპიც ამ ამბებმა გადაიყოლა. ხდება-ხოლმე ასე, მაგრამ ჩვენი ფეხბურთი ამას ჩვეული არ იყო და მოთამაშეებიც ვერ შეხვდნენ მზად ყველაფერს.

ნემსაძე და მისი თაობა მაინც მოვიდა „დინამოში“ — მოვიდა ერთად, მოვიდა სსრკ ჩემპიონატის სათამაშოდ, მაგრამ... საქართველოს ჩემპიონატში მოხვდა — „სპარტაკის“, კიევის, მოსკოვის „დინამოების“ მაგიერ „კოლხეთის“, „ტორპედოს“, „სანავარდოს“ მეტოქეობა ერგოთ ბიჭებს და ახლა, ამ გადასახედიდან უფრო ადვილია ამის თქმა — დიდი იყო იმედგაცრუება.

და ითამაშეს, იჩემპიონეს ბიჭებმა. ყიფიანის მერე ძოძუაშვილი, ნოდია ედგნენ სათავეში „დინამოს“, იზრდებოდნენ ბიჭები, ემატებოდათ ასაკი, გამოცდილება, ქართული ტიტულები. უცხოურ სარბიელამდე კი ჯერაც შორიაო — ამბობდნენ ფიფა-უეფას ერთნაირად დიპლომატი დიდი თუ პატარა მოხელეები.

წერილი ნემსაძეზე იწერება, მაგრამ ისე გამოდის, რომ მის თაობაზე უფრო მეტს ვამბობთ და ალბათ ასეც უნდა იყოს — გორგი ნემსაძეს საფეხბურთო ბედი ალი-კვალია მისი პლეადის ფეხბურთელების საფეხბურთო ბედისა.

## კარიერა

დასაწყისზე ვთქვით და „დინამოდან“ „გურიაში“ გადაბარგება ალმავალ პუნქტირად ვერაფრით ჩაითვლება გიორგის კარიერაში. კი, „გურია“ ძლიერი გახლდათ მაშინ, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს — თავისი ნებით „დინამოს“ არც ერთი ფეხბურთელი დატოვებდა...

გიორგი ნემსაძის „გურიაში“ გადასვლა კი, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, მისმა დაოჯახებამ გამოიწვია — ადრეულ ასაკში ცოლის მოყვანას სკეპტიკური თვალით უყურებდნენ (და უყურებენ) ქართველი მწვრთნელები.

თავისი მეგობრების გარეშე ნემსაძეს დიდხანს არავინ გააჩერებდა და ძალიან მალე იგი ისევ „დინამოს“ დაუბრუნდა. „დინამოს“, რომელსაც უგეგმავდნენ ყველაფერს, რისი დაგეგმვაც კი გუნდისთვის შეიძლებოდა — სნგ-ს ჩემპიონობას, ჩემპიონთა ლიგას, სუპერგუნდობას, მაგრამ ეგრეც ვერაფერი გაუხერხეს.

მას მერე, რაც ავსტრიულმა „ტიროლმა“ „დინამოს“ საჩემპიონთალიგო ოცნებებს ჩაილურის წყალი დაალევინა, ნემსაძესა და მის თაობას ფაქტობრივად არჩევანი არც ჰქონიათ — უცხოეთში ფანჯარა უკვე გაეჭრათ სხვა ქართველ ლეგიონერებს და ხსნაც იქით იყო. თურქული „ტრაბზონსფორი“ ყველაზე წარმატებული საჯილდაო ქვა გახლდათ ქართულ საფეხბურთო სინამდვილეში და ნემსაძეც იქ გაემართა.

ტყუპი არველაძეების თამაშზე გადარეული თურქები სხვა ქართველებისგანაც გოლების წვიმას ელოდნენ, არ (ვერ) მოხდა ასე და „ტრაბზონის“ მეოცე ნომერი სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდა მინდორზე, არადა, თურქების ამბავი არ იცით? ის, რომ „ტრაბზონი“ „გალათასარაის“, „ფენერბაჰჩესა“ და „ბეშიქთაშის“ კონკურენციას ვერ სძლევდა, პირველ რიგში უცხოელებს უნდა დაჰბრალებოდათ. აშკარა გახდა, ნემსაძე თურქეთიდან უნდა წამოსულიყო და მისი მორიგი გუნდი შვეიცარული „გრასჰოპერი“ შეიქნა.

რა შეიძლება ითქვას ნემსაძე — „გრასჰოპერის“ ურთიერთობაზე? საშუალოდ, ფრიად საშუალოდ. თამაშობდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი — არც ბევრს, არც ცოტას, მაგრამ ეს ის არ იყო, რასაც გიორგი ნემსაძე უსურვებდა თავის თავს. „პრიმასტერებში“ სსრკ ჩემპიონის ამბიციები გაცილებით მეტს ითხოვდა.

და მერე „რეჯანა“. პროზაულად. საშუალო სერია B-ს გუნდი. სულ ცოტა ხანი დასჭირდა გიორგის ახალ გუნდში ფეხის მოსაკიდებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ცოტა ხანი სრულად ეყო „რეჯანას“ სერია C-ში ჩამოქვეითებას. სერია C-ში კი უცხოელებს არ ათამაშებენ. ასე უიღბლოდ დასრულდა ქართველი ნახევარმცველის ევროპული ოდისეა.

## არასოდეს თქვა, არასოდეს...

ამას წინათ, სფფ-ს ერთ-ერთმა მოხელემ ასე მითხრა — მავანს იმად ვცემ პატივს, რომ უფეხბურთოდ ვერ ძლებს და მაინცდამაინც ელიტარულ გუნდში არა, სხვაგანაც წავიდა სამუშაოდ.

თუ ასეა, ნემსაძეს პატივისცემის ზღვა ეკუთვნის — თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს ნაკრების კაპიტანი სამშობლოში ჩამოდის და საშუალო ქართულ გუნდში („ლოკომოტივში“) თამაშს თანხმდება...

პირადად მე ერთი დასკვნა გამომაქვს აქედან — ფეხბურთელმა შეიძლება უარყოს ერთი, მეორე, მესამე გუნდი, მწვრთნელი, პარტნიორი, მაგრამ მან ბურთს და ფეხბურთს უარი არ უნდა უთხრას... არასოდეს.

თბილისის „ლოკომოტივში“ ნემსაძის თამაში მეთერთმეტე ეროვნულის დასკვნით ეტაპს დაემთხვა — რკინიგზელები საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრას ეზმანებოდნენ და ნემსაძეც მათ წისქვილს უთუოდ დაასხამდა წყალს, მაგრამ...

მეთერთმეტე ეროვნულის დასკვნითმა სტადიამ ერთხელაც გაახსენა ქართული ფეხბურთის „სიტკბო-სიმწარე“ ეროვნული გუნდის კაპიტანს და მაინც...

გიორგი ნემსაძეს წამითაც არ უთქვამს უარი ფეხბურთზე.

## კაპიტანი

„დინამოს“ ბაზაზე ფეხბურთელები მორიგი ვარჯიშისთვის ემზადებიან. ახალი სეზონია და ბუნებრივია, „დინამოც“ ახალი. მოთამაშეები (ძველებიც და ახლებიც) ერთმანეთში არეულან. ნემსაძეც აქვეა, თავის, მშობლიურ „დინამოში“ და ყვება იტალიაზე, „რეჯანაზე“, ბატისტუტაზე.

— მაგარი კაცია. იცით, როგორ დგას თურმე მინდორზე? ბურთი მე მომეცით და დანარჩენი ჩემზეაო. ლიდერია, მეომარი, ყველა ამას მეუბნებოდა...

...მერე ახალგაზრდებს როგორ ექცევა? ხელს მოხვევს თურმე და მინდორზე ისე გაჰყავს, ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ჩვენ ძალიან მაგრებივართო და ამგვარები...

კიდევ ბევრი რამ თქვა იმ დღეს ნემსაძემ ბატისტუტაზე. არგენტინელი რომ ბუნებით ლიდერია, ეს ადრევე იცოდა ყველამ, მაგრამ გიორგი უშუალოდ იტალიელების ნათქვამს ამბობდა და ამიტომ იყო საინტერესო.

მერე კი, ნემსო რომ მორჩა, ერთმა თანაგუნდელმა უთხრა — რა გიკვირს, შენც ასე არა ხარო? დინამოელებმა გაიცინეს და მალე სავარჯიშოდ გაემართნენ, მაგრამ...

ალალად ვიტყვი — არაერთხელ მინახავს როგორ ამშვიდებდა ნემსაძე ნაკრების ახალწვეულებს და სხვათა შორის, მავანთა წაკინკლავებაშიც არაერთხელ ჩართულა...

თუნდაც ჯანაშია-ბოსკამპის კონფლიქტის შემდეგ გამხეცებულ ჰოლანდიელთან შესვლა ავიღოთ — გუნდის სახელით გთხოვთ, დააბრუნეთ ზაზა გუნდშიო...

კაპიტნები ასე იქცევიან. კაპიტანი ასე უნდა იქცეოდეს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# იბერია: სჯობს გვიან...



ისევ ერთად: სოსო ფრუიძე და ნუგზარ ნიკოლაიშვილი

უსაშველო მტერს გაუჩნდა. შორს, შორს იყოს...

სამტრედიის „იბერიის“ გასაჭირზე ამ თვენახევრის განმავლობაში ლამის ყოველდღიურად ვწერდით და ამას თავის მიზეზი ჰქონდა. კლუბი, ფაქტობრივად, უპატრონოდ იყო დარჩენილი და მეთერთმეტე ეროვნულის სამეორეტაპოდ მზადება ნამეტანი დაუგვიანდა. „იბერიას“ მამა და მარჩენალი ნუგზარ ნიკოლაიშვილი იანვრის შუა რიცხვებიდან საქართველოში თვალითაც არავის უნახავს. როგორც შემდეგ გაირკვა, პრეზიდენტმა „დინამოდან“ წამოსულ ტყუპ ვასო და სოსო გიგიაძეებთან ერთად ჯერ უკრაინას მიაშურა და იქაურ გუნდში ცდილობდა ძმებისათვის ტრანსფერის გახერხებას. თითქოს გამოჩნდა კიდეც სასურველი ვარიანტი. გიგიაძეებმა ყირიმში შეკრებაზე მყოფ უკრაინის ჩემპიონატის მეორეადგილოსან კრივოი როგის „კრივბასში“ გაიარეს სინჯები, მაგრამ ჩვენებურთა ამ გუნდში საბოლოოდ დარჩენა მიზეზთა გამო ვერ გადაწყდა და „იბერიას“ პრეზიდენტმა, ისევ საკუთარი არხებით, გიგიაძეებს უკვე უკრაინულ კი არა, რუსულ კლუბში, უმაღლესი ლიგის დებიუტანტ მახაჩყალის „ანჟიში“ ამოაყოფინა თავი. „ანჟის“ თავკაცს გაჯიევს, როგორც ჩანს, ერთი დანახვით მოსწონებია ბიჭები და საამიროებშიც წაუყვანია შეკრებაზე. დაღესტნელები დუბაიდან წინა კვირაში დაბრუნებულან, სამი დღით მოსკოვში შეჩერებულან, იქედან კი თურქეთში, ანთალიაში გამგზავრებულან. გაჯიევს გიგიაძეები მეორე შეკრებაზეც წაუყვანია და არის დიდი შანსი, რომ ტყუპებს საბოლოოდაც დაიტოვებს თავის გუნდში. ეს ამბავი გუშინ სატელეფონო საუბარში თავად „იბერიას“ პრეზიდენტმა ნუგზარ ნიკოლაიშვილმა დაგვიდასტურა.

დიახ, როგორც იქნა! სამტრედიელებს პრეზიდენტი დაუბრუნდა და გუნდსაც ეშველა. მართალია, დიდი დაგვიანებით, მაგრამ „იბერიაც“ შეუდგა ჩემპიონატის მეორე ეტაპისათვის მზადებას. გუშინწინ გუნდი პირველად შეიკრიბა დიდი ჯიხაიშის ბაზაზე.

— სხვა რა გზა გვაქვს, შემჭიდროვებულ ვადებში უნდა მოვახერხოთ ჩემპიონატისათვის მომზადება. ადგილზე გავივლით ორკვირიან შეკრებას — გვითხრა იბერიელთა მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ — დრო ცოტა გვაქვს, მაგრამ ჩვენ ჩვენსაც ვეცდებით. ფორსირებულად მოგვიწევს წვრთნა. იქნებ რამდენიმე საკონტროლო მატჩიც ვითამაშოთ. გუნდის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით დიდი პრობლემები გვაქვს. წავიდნენ ძმები მეტრეველები. ქველაძეც აღარ აპირებს ჩვენთან დაბრუნებას. დარსაძემ „სამგურალს“ მიაშურა. ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი გუბაზ დოლიძის ჩვენთან დარჩენის საკითხიც. ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებით მოგვიწევს ჩემპიონატის გაგრძელება. ალბათ, ჩვენი ფარმკლუბიდან დავიმატებთ რამდენიმე ბიჭს. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით, ერთი დღეა, რაც ვარჯიში დავიწყეთ...

ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. იქნებ, მართლა ასე იყოს. მაგრამ ისიც ხომ საკითხავია, რა უნდა მოთხოვო ჩემპიონატისათვის ორი კვირის ნამზადევ გუნდს. 8 უძლიერესს შორის „იბერია“, ალბათ, უსუსტესი იქნება. თუმცა, ღმერთმა ქნას, ვცდებოდეთ.

ბოლოს მეთერთმეტე ეროვნულის პირველ ეტაპზე „იბერიაში“ ნათამაშევ ძმებ მეტრეველებზეც ვთქვათ. უფროსი — კოტე, მოგეხსენებათ, სამტრედიაში „ტორპედოდან“ იყო განათხოვრებით, ამას წინათ კი ქუთაისურმა კლუბმა იგი უსასყიდლოდ გაათავისუფლა. ჰოდა, კოტეც ბედის საძიებლათ უკრაინას გადაიხვეწა და ახლა დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ გადის წვრთნას. უმცროსი — ზურაბიც უკრაინულ გუნდში ტერნოპოლის „ნივაში“ ისინჯება. იგი ბულგარულ შეკრებაზე ახლავს გუნდს, ოღონდ ეგ არის, ტრავმის გამო სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს.

**იუზა ჭაცითაძე სამტრედიიდან**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2, დუსტლიკი (უზბეკეთი) 4:3, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:3 |
| **დინამო** *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (ანჟი, რუსეთი) | გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, გ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე, დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), გონჩაროვი (არსენალი), ჩხეიძე (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ ბასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, დებრეცენი (უნგრეთი) 0:1 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | ჭოხონელიძე (დილა), ბულუხია, გ. გიორგაძე (თამაში მიატოვა), მელაძე, დ. გოგოლაძე, დავითნიძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია, კრასოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი) | ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა) 1:1, სტალი (ალჩევსკი, უკრაინა) 0:1, პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნჯალე* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), ბოკიჩი (ნაციონალი, ბუქარესტი, რუმინეთი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენდიქსფორი (თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3, გორდა 1:1 |
| **დილა** *მერაბ კოჭლამაზაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), შატაკიშვილი (ლადა ტოლიატი ვაზ, რუსეთი) | საყვარელიძე (დილას სკოლა), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 0:1, მერანი 0:0, ლოკომოტივი 3:1, თსუ 0:0, თბილისი 1:0 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), დარსაძე (სამგურალი), ქველაძე (?) | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), *ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი)*, დ. ჯანელიძე, ნივწივაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), კ. მელქაძე, ამაშუკელი (თბილისი), ნემსაძე, დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), დ. გოდერძიშვილი, პარამონოვი (თბილისი 2), ჭიჭველაშვილი (ალანია, რუსეთი), თოლორდავა (მერანი), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. გვაზავა (თსუ), ონიანი (ხობი), ნიკურაძე (გურია), მორჩილაძე, არეშიძე (ლოკომოტივი 2), დევდარიანი (ცხუმი) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1, თსუ 1:0, 2:2, სკა (ხაბაროვსკი, რუსეთი) 2:1, აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | ინასარიძე (თორი), თელიაშვილი (?) | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), ბედიაშვილი (თბილისი), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური, სულაშვილი, ძებისაშვილი, ლ. კაპანაძე (ხალიბი), შ. მეტრეველი (არ თამაშობდა) | ხალიბი 4:3, 3:2, სიონი 1:1 |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | მერლანი (ვიტ ჯორჯია), *ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი)*, გ. გვაზავა (ლოკომოტივი) | მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი) | ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, მერანი 1:0, ზოოვეტი 4:2, დილა 0:0 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), თოლორდავა (ლოკომოტივი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქა, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), ბოლქვაძე (გურია), ა. ხორხელი (არ თამაშობდა), თ. დოლიძე, მოსულიშვილი (?) | ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0, დილა 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0, თსუ 0:1, ჭაბუკიანი 1:1 |
| **თბილისი** *რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, გ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია), ბედიაშვილი (გორდა) | ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალია (თბილისი 2), კოხრეიძე (სამგურალი), კ. მელქაძე, ამაშუკელი (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), ლუდუშაური (არ თამაშობდა) | დილა 0:1 |
| **სამგურალი** *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოხრეიძე (თბილისი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), დარსაძე (იბერია) | ინტერი 8:0 |
| **ხობი** *უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა *(ზიმბრუ, მოლდოვა)*, ონიანი (ლოკომოტივი), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| **არსენალი** *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (დინამო), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნივწივაძე (ლოკომოტივი), ტულუში (?); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, ვიტ ჯორჯია 1:2 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

# თეთრი და ალისფერი პარდების ომი

XXV ტური

### არსენალი 0:1 ლივერპული

0:1 კამარა (18)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, გრიმანდი, სილვინიო, პარლოუ, ვიეირა, პეტი (ოვერმარსი 46), ლიუნგბერგი (ლუჟნი 77), ბერხკამპი (შუკერი 59), ანრი
ლივერპული: ვესტერველდი, კარაგერი, ენჩოსი, ჰიიპია, მატეო, შმიცერი, ჰამანი, ჯერარდი (ჰეგემი 33), ბერგერი, მეიერი (მერფი 55), კამარა
გაფრთხილება: პარლოუ, კამარა
მსაჯი: დანი

### ჩელსი 3:1 უიმბლდონი

0:1 ლუნდი (73), 1:1 პოიეტი (79), 2:1 ვეა (79), 3:1 მორისი (90)
ჩელსი: დე გუი, ლამბური, ტომე, ლებეფი, ჰარლი, პეტრესკუ (ძოლა 63), დეშამპი (ფლო 71), უაიზი, პოიეტი, სატონი (მორისი 71), ვეა
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ანდერსენი, ჰრეიდარსონი, კიმბლი, ვილმოტი, ერლი (ფრანცისი 84), იუელი, კორტი, ლუნდი, ანდრესენი (ერდლი 68)
გაფრთხილება: ლუნდი, ანდერსენი
მსაჯი: ჯონსი

### ქოვენთრი 3:2 სანდერლენდი

1:0 კინი (2), 2:0 ჰაჯი (13), 3:0 რუსელი (18), 3:1 ფილიპსი (57), 3:2 რაე (88)
ქოვენთრი: ჰედმანი, გუსტაფსონი, შოუ, ბრინი, ფროგატი (ბ. ქუინი 10), ჩიპო (ნორმანი 85), ოსტიჩი, მაკალისტერი, მ. ჰაჯი, რუსელი, რობი კინი
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ბატლერი, კრადოკი, უილიამსი (ჰოლოვეი 63), სამერბი (რაე 78), შვარცი, მაკკანი (რუა 66), კილბეინი, ნ. ქუინი, ფილიპსი
გაფრთხილება: ოსტიჩი, მაკინი, შვარცი, მაკკანი
მსაჯი: ალკოკი

### ევერტონი 2:1 დერბი ქაუნთი

1:0 მური (24), 2:0 ბოლი (45პ), 2:1 ნიმნი (59)
ევერტონი: მირე, ბოლი, გუგი, ვეირი, დანი, ბარმბი, პემბრიჯი, ჰათჩისონი, კადამარტერი (კოლინზი 62), კ. კემპბელი, მური
დერბი ქაუნთი: პოომი, დორიგო (ნიმნი 58), ლაურსენი, ელიოტი, ერანიო, პრიორი, ჯონსონი, ბარლი, ქინქლაძე, შტრუპარი (რობინსონი 46), სტარიჯი (კრისტი 46)
გაფრთხილება: კადამარტერი, კოლინზი, ბოლი, დორიგო, ბარლი, ჯონსონი
მსაჯი: რენიე

### ლიდსი 1:0 ტოტენჰემი

1:0 კიუელი (23)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ვუდგეიტი, დაბერი, ჰარტი, ბოიერი, ბაკე (ჰაალანდი 85), ჯონსი, უილკოქსი, ა. სმიტი, კიუელი (ჰაკერბი 68)
ტოტენჰემი: უოკერი, კარი, პერი, სოლ კემპბელი, ტარიკო, ანდერტონი, შერვუდი, კლემენსი (ნილსენი 74), ჟინოლა (დომინგუში 78), კორსტენი, კ. არმსტრონგი
გაფრთხილება: ბოიერი, კელი, ჯონსი, კლემენსი, შერვუდი, არმსტრონგი, კარი, ანდერტონი
მსაჯი: გალაჰერი

### უოტფორდი 1:1 ლესტერი

0:1 ელიოტი (39), 1:1 ვუტერი (47)
უოტფორდი: დეი, უილიამსი, პალმერი, პეიჯი, გიბსი, ჰიდი, ბონოტი, კენედი (რობინსონი 84), სმარტი, ჰელგუსონი (ნგონგე 84), ვუტერი
ლესტერი: ფლაუერსი, უოლში, ჯილკრისტი, ელიოტი, იმპი, ედი, ოუკსი, ზაგორაკისი, კოლიმორი, ჰესკი, კოტი
გაფრთხილება: ჰელგუსონი, ბონოტი, უოლში
მსაჯი: დურსო

### ნიუკასლი 3:0 მანჩესტერი

1:0 ფერგიუსონი (26), 2:0, 3:0 შირერი (76, 86)
ნიუკასლი: ჰარპერი, უ. ბარტონი, ჰელდერი, დაბიზასი, ა. ჰიუზი, ლი, დაიერი (გავილანი 83), სპიდი, გალაჰერი (დომი 83), შირერი, დ. ფერგიუსონი (ქეცბაია 61)
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სილვესტრი, სტამი, ირვინი (ბათი 69), როი კინი, ბექემი, სქოულზი, გიგზი, შერინგემი (სოლსკიაერი 74), ე. კოული
გაფრთხილება: შირერი, კინი, კოული, სქოულზი, სტამი
გაძევება: კინი (64)
მსაჯი: ლოჯი

### უენსდი 0:1 საუთჰემპტონი

0:1 ტესემი (26)
შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, ნოლანი, აზერტონი, უოლკერი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი, ჰასლამი (ბუტი 69), ე. ქუინი, რუდი (სონერი 48), სიბონი, დე ბილდე (დონელი 61)
საუთჰემპტონი: ჯონსი, კოლეტერი (ლუნდეკვამი 72), დოდი, რიჩარდსი, ბენალი, ტესემი, ოუკლი, მარსდენი, კაჩლული, პახარსი, დევისი
გაფრთხილება: მარსდენი
მსაჯი: უილი

### ვესტ ჰემი 5:4 ბრედფორდი

0:1 უინდასი (30), 1:1 სინკლერი (35), 2:1 მონკუ (43), 2:2 ბიგრი (45პ), 2:3, 2:4 ლოურენსი (47, 51), 3:4 დი კანიო (65პ), 4:4 კოული (70), 5:4 ლამპარდი (83)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი (ბივატერი 2), ჩარლზი (კიტსონი 57), რ. ფერდინანდი, შტიმაცი, მინტო, ლომასი, მონკუ, ლამპარდი, ჯ. კოული, დი კანიო, ტ. სინკლერი
ბრედფორდი: დევისონი, ჰალე, ვეზეროლი, ობრაიენი, ჯაკობსი, ლოურენსი, მაკკოლი, ულეი, ბიგრი, უინდასი, სონდერსი
გაფრთხილება: ლამპარდი, ობრაიენი
მსაჯი: ბარი

### მიდლსბრო 0:4 ასტონ ვილა

0:1, 0:2 კარბონე (1, 65), 0:3, 0:4 იოაკიმი (70, 76)
მიდლსბრო: ბერესფორდი, ფლემინგი (მედისონი 76), პალისტერი, კუპერი, გასკოინი (სტამპი 46), ინსი, სამერბი, ჟუნინიო, კემპბელი, ონილი (არმსტრონგი 72), ფესტა
ასტონ ვილა: ჯეიმსი (კატლერი 84), დილანი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ბარი, რაიტი, მერსონი (ჰენდრი 63), ბოატენგი (ტეილორი 72), სტოუნი, კარბონე, იოაკიმი
გაფრთხილება: ფესტა, კუპერი
მსაჯი: ვილკი

აჰა, გახურდა! წლევანდელი პრემიერლიგის დასრულებამდე ცამეტი ტურით ადრე საბრძოლო მოქმედებები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. გასულ უქმეებზე დაისვა პირველი ნიშნული დაუნდობელი და თავგანწირული ბრძოლებისა გუნდებს შორის.

პრემიერლიგა არც არასდროს ყოფილა დუნე სანახაობა, მაგრამ მოვლენებითა და სანახაობით მდიდარ ამ ტურში თვალში გვეცემოდათ მსაჯთა გასაჭირი. ორი კაცი ამათგან, სტივენ ლოჯი და დერმოტ გალაჰერი ჭირის ოფლში იწურებოდა. პირველი „ნიუკასლ"-„მანჩესტერის" შეხვედრას მსაჯობდა, მეორე — „ლიდს"-„ტოტენჰემისა".

ჯორდების ბუდეში, „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" მონასტერი მას შემდეგ აირია, რაც ლოჯმა მეორე ყვითელი აუფრიალა სტუმართა კაპიტან როი კინს და მოედანი დაატოვებინა. ამას ზედიზედ მოჰყვა ენდი კოულის, პოლ სქოულზისა და იაპ სტამის ყვითლები. ჯამში „მანჩესტერმა" 0:3 წააგო, კინის გაგდებამდე კი 0:1-ს აგებდა დანკან ფერგიუსონის ბრწყინვალე გოლის შემდეგ. კინის გაძევება კი მოჰყვა ლოჯის ზედიზედ შეცდომებს, როცა მან ვერ დაინახა პენალტი „ნიუკასლის" კარში და კიდევ ერთ წუთში ვერ შეამჩნია, როგორ გადაკვეთა ბურთმა მასპინძელთა კარის ხაზი. თამაშის შემდეგ ლოჯს ერთი ქოქოლა დააყარა სერ ალექს ფერგიუსონმა, რომელმაც შეხვედრის გმირს, ალან შირერს მსაჯთან გამუდმებულ კამათში დასდო ბრალი, შირერმა დიახაც მიიღო ყვითელი, მაგრამ ეს ყვითელი რა მოსატანია იმასთან, რაც შირერმა მოახერხა ამ მატჩში. ორი გოლი და მონაწილეობა პირველ გოლში, ბოლო დროს ჩამოსაწერად გახაზირებული კაცისთვის დიდებული რამ არის. საერთოდ კი „ნიუკასლმა" სეზონში საუკეთესო მატჩი ითამაშა, რაც ბრძენ მენეჯერ ბობი რობსონის ღრმა ფიქრებზე მეტყველებს. კაცმა არ იცის, ცხრილის რომელ საფეხურზე იქნებოდა „ნიუკასლი", სეზონის დასაწყისში გულიტისეულ სექს-ფუტბოლს რომ არ შეეწირვოდა. შეხვედრაში კარგად ჩაერთო თემურ ქეცბაიაც, რომელმაც ბოლო ნახევარი საათი ითამაშა, დანკან ფერგიუსონის ნაცვლად.

ეს რა არის? „ელანდ როუდზე" ისეთი ამბავი იყო, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში. „ლიდსი" „ტოტენჰემს" მასპინძლობდა და დაწინაურდა კიდეც ჰაი კიუელის მოხდენილი გოლით. ამ უკანასკნელის ფინტებმა მეკარე უოკერი და კაპიტანი კემპბელი დატოვა ხახამშრალი. „ლიდსმა" იმგვარ აგრესიულ მანერას მიმართა, რომ სტუმრებმა ერთი ნაღდი საგოლე მომენტიც ვერ შექმნეს. მაგრამ აგრესიას აგრესიავე მოჰყვა და ორჯერ იმგვარი ჩხუბი და წიხლაობა გაიწია, რომ ჯამში რვა ყვითელი ბარათი მოგროვდა. „ლიდსელები" მეტად თავისუფლად, დაშნასავით ხმარობდნენ ფეხებს და ორჯერ გულის ფიცარში ტყუპი წიხლის ტაკებაც შეინიშნა. დერმოტ გალაჰერმა აშკარად დამალა წითელი ბარათი, თუმცა კი, ამით თამაშმა რა ხეირი ნახა, ძნელი სათქმელია.

ეს შაბათს იყო, კვირა საღამოს კი თითქოს მთელი ძიძგილაობის ლონე წინადლით დაილიაო, „ჰაიბერზე" შეხვდნენ „არსენალი" და „ლივერპული" — მოგებული მესამე ადგილს დაიჭერდა და ერთი ამოსუნთქვით გაუსწრებდა მეოთხეზე დარჩენილს. მოიგო „ლივერპულმა" — ტიტი კამარას ერთი რეიდის შემდეგ გავიდა შეხვედრის ერთადერთი გოლი. ჩხუბები არ ყოფილა. „არსენალი" უტევდა, როგორც ერთ დროს ძალაგამოცლილი თბილისის „დინამო", სტუმრები კი სემი ჰიიპიას თამადობით უშეცდომოდ იდგნენ დაცვაში. სტუმართა ჩხვლეტები მათ სწრაფ ფორვარდთა პირისპირ გასვლებით სრულდებოდა და ეგ იყო. არსენ ვენგერის გუნდმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ტიტულისთვის ბრძოლას შორდება. სამაგიეროდ სიხარულს ვერ მალავდა სტუმართა მენეჯერი ჟერარ ულიე: „ვმადლობ ბიჭებს, ვულოცავ ფანებს! დღეს ჩვენ ბრწყინვალედ ვითამაშეთ. მგონია, რომ „არსენალს" მეტი შეუძლია, მაგრამ როგორღაც სიმწვავეს ვერ მიაღწია. ახლა ვისვენებთ და ორი კვირის თავზე „მანჩესტერს" ვხვდებით. არა გვყავს ფაულერი, ოუენი და რედნეპი, მაგრამ ვიბრძვით".

ასე იყო, თუმც მაინც შაბათს უნდა მივუბრუნდეთ. იმ დღეს იყო გვარიანი, თრილერის მსგავსი რაღაცეები. შინ მოთამაშე „ვესტ ჰემი" ხომ ნაღდი ოსტატია სანახაობის გამართვისა. ამ გუნდისა და „ბრედფორდის" შეხვედრაში რვა ფეხბურთელმა გაიტანა გოლები. თავიდან შეხვედრის გმირად ბრედფორდელი ჯეიმი ლოურენსი ჩანდა, რომელმაც მეორე ტაიმის დასაწყისში დუბლი შეასრულა და სტუმრები 4:2-ზე დააწინაურა, მაგრამ „ვესტ ჰემმა" ჯამში 5:4 მოიგო და გმირობაც თავისიანებს: დი კანიოს, ჯო კოულსა და ფრენკ ლამპარდს არგუნა. „ბრედფორდთან" მობიძგილავე „დერბიმ" 1:2 წააგო ლივერპულში, „ევერტონთან". ქინქლაძემ თავიდანვე ითამაშა, ერთადერთი საპასუხო კი მოედანზე ერთი წუთის შემოსულმა ებრაელმა ავი ნიმნიმ გაიტანა მას შემდეგ, რაც მასპინძელთა მცველებმა სწორედ ქინქლაძეს ფეხიდან მოიგერიეს კარიდან 20 იარდის მოშორებით და ნიმნიმ ეს ბურთი მოიგდო ფეხებში.

კვლავ 1:0 მოიგო „საუთჰემპტონმა", ამჯერად შეფილდში. იო ტესემის ბურთისთვის შეფილდელ ჟილ დე ბილდეს პენალტის ნიშნულიდან უნდა ეპასუხა, მაგრამ მეკარე პოლ ჯონსმა ივაჟკაცა. „ჩელსიმ" არაადამიანური ძალისხმევით შემოატრიალა მატჩის ბედი „უიმბლდონთან" შეხვედრაში. „დონები" მატჩის დასასრულამდე 17 წუთით ადრე დაწინაურდნენ, მაგრამ ვიალის გუნდმა მძლავრი შეტევით აიღო სამი ქულა.

„სანდერლენდს" კი ძალიან ცუდი დასაწყისები დასჩემდა — უკვე მეთვრამეტე წუთზე „ქოვენთრი" 3:0-ს უგებდა სტუმრებს. რობი კინის, აფრიკიდან მობრუნებული მუსტაფა ჰაჯისა და სედრიკ რუსელის გოლებმა იმხელა მარაგი კი შექმნეს, რომ პიტერ რიდის ბიჭების ორმა საპასუხომ სამი ქულა მაინც ქოვენთრში დატოვა.

**ირაკლი გამყრელიძე**



REUTERS

ნიუკასლი — მანჩესტერი 3:0. ნიუკასლელი ჰელდერი მანჩესტერელ ენდი კოულს (მარცხნივ) მჰიდროდ მეურვეობს

## პირველი დივიზიონი

XXXI ტური

### ტრანმერი 2:2 ბარნსლი

1:0 პარკინსონი (16), 1:1 შიპერლი (43), 2:1 გ. კელი (57), 2:2 ტომასი (65)

### ბირმინგემი 2:1 ბოლტონი

0:1 ჯონსტონი (20), 1:1 რანკინი (50), 2:1 ადებოლა (66)

### ბლექბერნი 0:0 სუინდონი

### ჩარლტონი 2:0 ვულვერჰემპტონი

1:0 სტიუარტი (47), 2:0 ბრაუნი (68)

### კრ. პალასი 1:1 შეფილდ იუნ.

0:1 ბენტი (49), 1:1 მორისონი (89)

### გრიმსბი 2:0 პორტვეილი

1:0 კლერი (18), 2:0 ალენი (26)

### იფსვიჩი 2:1 ჰადერსფილდი

1:0 შოუკროფტი (28), 1:1 გორე (56), 2:1 სტიუარტი (73)

### მანჩესტერ სიტი 3:1 ნორვიჩი

1:0 გოტერი (2), 1:1 რობერტსი (15), 2:1, 3:1 კენედი (82, 83)

### პორტსმუთი 0:1 ფულემი

0:1 გოლდბეკი (72)

### ქუინზ პარკი 1:1 სტოკპორტი

0:1 მეტიუზი (17), 1:1 კივომია (78)

### უოლსოლი 0:2 ნოტინგემი

0:1 როჯერსი (43), 0:2 ფრიდმანი (90)

### ვესტ ბრომვიჩი 1:0 ქრიუ

1:0 ჰიუზი (37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 30 | 20 | 5 | 5 | 57:29 | 65 |
| სიტი | 30 | 19 | 4 | 7 | 50:24 | 61 |
| იფსვიჩი | 31 | 17 | 9 | 5 | 52:30 | 60 |
| ბარნსლი | 31 | 17 | 5 | 9 | 61:46 | 56 |
| ჰადერსფილდი | 31 | 15 | 6 | 10 | 48:34 | 51 |
| ბირმინგემი | 30 | 13 | 8 | 9 | 44:35 | 47 |
| ვულვზი | 31 | 12 | 10 | 9 | 40:36 | 46 |
| ფულემი | 30 | 11 | 12 | 7 | 27:25 | 45 |
| სტოკპორტი | 31 | 11 | 10 | 10 | 36:42 | 43 |
| ბოლტონი | 30 | 11 | 9 | 10 | 40:34 | 42 |
| ქუინზ პარკი | 31 | 10 | 12 | 9 | 40:37 | 42 |
| ბლექბერნი | 29 | 10 | 11 | 8 | 36:33 | 41 |
| გრიმსბი | 31 | 11 | 7 | 13 | 36:49 | 40 |
| ნორვიჩი | 30 | 10 | 9 | 11 | 29:34 | 39 |
| შეფილდ იუნ. | 31 | 10 | 9 | 12 | 40:46 | 39 |
| ტრანმერი | 30 | 10 | 7 | 13 | 40:43 | 37 |
| კრ. პალასი | 31 | 9 | 10 | 12 | 44:50 | 37 |
| ნოტინგემი | 31 | 8 | 9 | 14 | 33:40 | 33 |
| ვესტ ბრომვიჩი | 31 | 6 | 15 | 10 | 26:34 | 33 |
| პორტსმუთი | 31 | 7 | 9 | 15 | 35:46 | 30 |
| უოლსოლი | 31 | 7 | 9 | 15 | 33:49 | 30 |
| ქრიუ | 31 | 7 | 8 | 16 | 33:43 | 29 |
| პორტვეილი | 30 | 6 | 10 | 14 | 32:41 | 28 |
| სუინდონი | 31 | 3 | 11 | 17 | 21:51 | 20 |

## მეორე დივიზიონი

31-ე ტური. ბლექპული — ბრისტოლი 1:2; ბორნმუთი — ბარნსლი 0:1; როვერსი — სკანთორპი 1:1; ბერი — ლუთონი 1:0; კარდიფი — ბრენტფორდი 1:1; ჩესტერფილდი — პრესტონი 0:1; ნოტსი — რექსჰემი 2:1; ოლდემი — ჯილინგემი 1:3; რედინგი — მილუოლი 2:0; სტოკი — კემბრიჯი 1:0; უიგანი — კოლჩესტერი 0:1; უიკომბი — ოქსფორდი 0:1

## მესამე დივიზიონი

31-ე ტური. ბრაიტონი — პლიმუთი 1:1; ჩელტენემი — სუონსი 0:0; ჩესტერი — ჰალი 0:0; ექსეტერი — დარლინგტონი 1:4; ჰალიფაქსი — როჩდეილი 0:2; ლინკოლნი — ტორკი 2:1; მაკლსფილდი — ბარნეტი 2:0; პიტერბრო — მენსფილდი 1:0; შრიუსბერი — ლეიტონი 1:0; საუთენდი — ჰარტლპული 2:1; იორკი — როტერჰემი 1:2

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 24 | 16 | 5 | 3 | 56:31 | 25 | 53 | 13 | 10 | 3 | 0 | 38:10 | 28 | 33 | 11 | 6 | 2 | 3 | 18:21 | -3 | 20 |
| 2 | ლიდსი | 24 | 16 | 2 | 6 | 39:28 | 11 | 50 | 12 | 9 | 1 | 2 | 18:9 | 9 | 28 | 12 | 7 | 1 | 4 | 21:19 | 2 | 22 |
| 3 | ლივერპული | 25 | 14 | 5 | 6 | 38:21 | 17 | 47 | 13 | 9 | 1 | 3 | 23:9 | 14 | 28 | 12 | 5 | 4 | 3 | 15:12 | 3 | 19 |
| 4 | არსენალი | 25 | 13 | 5 | 7 | 43:26 | 17 | 44 | 13 | 9 | 2 | 2 | 27:10 | 17 | 29 | 12 | 4 | 3 | 5 | 16:16 | 0 | 15 |
| 5 | ჩელსი | 25 | 12 | 7 | 6 | 35:23 | 12 | 43 | 12 | 8 | 2 | 2 | 22:7 | 15 | 26 | 13 | 4 | 5 | 4 | 13:16 | -3 | 17 |
| 6 | სანდერლენდი | 25 | 11 | 6 | 8 | 41:36 | 5 | 39 | 13 | 7 | 4 | 2 | 21:12 | 9 | 25 | 12 | 4 | 2 | 6 | 20:24 | -4 | 14 |
| 7 | ასტონ ვილა | 25 | 10 | 7 | 8 | 30:23 | 7 | 37 | 12 | 5 | 5 | 2 | 15:7 | 8 | 20 | 13 | 5 | 2 | 6 | 15:16 | -1 | 17 |
| 8 | ევერტონი | 25 | 9 | 9 | 7 | 42:35 | 7 | 36 | 12 | 5 | 7 | 0 | 27:13 | 14 | 22 | 13 | 4 | 2 | 7 | 15:22 | -7 | 14 |
| 9 | ტოტენჰემი | 25 | 10 | 5 | 10 | 34:29 | 5 | 35 | 12 | 7 | 1 | 4 | 22:14 | 8 | 22 | 13 | 3 | 4 | 6 | 12:15 | -3 | 13 |
| 10 | ვესტ ჰემი | 24 | 9 | 8 | 7 | 34:31 | 3 | 35 | 11 | 7 | 3 | 1 | 21:16 | 5 | 24 | 13 | 2 | 5 | 6 | 13:15 | -2 | 11 |
| 11 | ლესტერი | 25 | 10 | 5 | 10 | 35:36 | -1 | 35 | 13 | 7 | 2 | 4 | 20:17 | 3 | 23 | 12 | 3 | 3 | 6 | 15:19 | -4 | 12 |
| 12 | ქოვენთრი | 24 | 8 | 8 | 8 | 35:29 | 6 | 32 | 13 | 8 | 1 | 4 | 27:16 | 11 | 25 | 11 | 0 | 7 | 4 | 8:13 | -5 | 7 |
| 13 | ნიუკასლი | 25 | 8 | 7 | 10 | 44:41 | 3 | 31 | 12 | 6 | 4 | 2 | 31:13 | 18 | 22 | 13 | 2 | 3 | 8 | 13:28 | -15 | 9 |
| 14 | საუთჰემპტონი | 24 | 8 | 5 | 11 | 29:38 | -9 | 29 | 12 | 5 | 3 | 4 | 16:14 | 2 | 18 | 12 | 3 | 2 | 7 | 13:24 | -11 | 11 |
| 15 | უიმბლდონი | 25 | 6 | 10 | 9 | 35:43 | -8 | 28 | 13 | 5 | 5 | 3 | 22:16 | 6 | 20 | 12 | 1 | 5 | 6 | 13:27 | -14 | 8 |
| 16 | მიდლსბრო | 24 | 8 | 4 | 12 | 25:37 | -12 | 28 | 12 | 5 | 2 | 5 | 12:18 | -6 | 17 | 12 | 3 | 2 | 7 | 13:19 | -6 | 11 |
| 17 | დერბი ქაუნთი | 25 | 6 | 6 | 13 | 27:38 | -11 | 24 | 13 | 3 | 2 | 8 | 12:21 | -9 | 11 | 12 | 3 | 4 | 5 | 15:17 | -2 | 13 |
| 18 | ბრედფორდი | 25 | 6 | 6 | 13 | 25:41 | -16 | 24 | 12 | 4 | 6 | 2 | 15:16 | -1 | 18 | 13 | 2 | 0 | 11 | 10:25 | -15 | 6 |
| 19 | შეფილდ უენსდი | 25 | 4 | 5 | 16 | 23:51 | -28 | 17 | 12 | 3 | 3 | 6 | 13:14 | -1 | 12 | 13 | 1 | 2 | 10 | 10:37 | -27 | 5 |
| 20 | უოტფორდი | 25 | 4 | 3 | 18 | 22:55 | -33 | 15 | 12 | 3 | 2 | 7 | 16:22 | -6 | 11 | 13 | 1 | 1 | 11 | 6:33 | -27 | 4 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 22 |
| შირერი (ნიუკასლი) | 16 |
| კოული (მანჩესტერი) | 15 |

### XXVI ტური

19 თებერვალი
მიდლსბრო — ქოვენთრი
20 თებერვალი
ლიდსი — მანჩესტერი
26 თებერვალი
არსენალი — საუთჰემპტონი
ბრედფორდი — ასტონ ვილა
ჩელსი — უოტფორდი
ქოვენთრი — ტოტენჰემი
ლივერპული — ლესტერი
მიდლსბრო — ლიდსი
შეფილდი — ნიუკასლი
სანდერლენდი — დერბი
ვესტ ჰემი — ევერტონი
უიმბლდონი — მანჩესტერი

# გაცვლა მეხუთე და საკვირაო მუჯლუგუნები

## იტალია

XXI ტური

### ფიორენტინა 1:1 უდინეზე

0:1 იორგენსენი (62), 1:1 ბატისტუტა (71)
ფიორენტინა: ტოლდო, ადანი, ფირიკანო, პიერინი, ბრესანი (როსიტო 66), კოისი, კ. ამორუზო (ტაროცი 70), შაინრიხი, რუი კოშტა, ბალბო (მიატოვიჩი 55), ბატისტუტა
უდინეზე: ტურჩი, ძანკი, სოტილი, ბერტოტო, ბისგაარდი, ჯანიკედა, ფიორე, იორგენსენი (ესპოზიტო 68), მანფრედინი (ძამბონი 89), ლოკატელი (ალბერტო 54), სოსა
გაფრთხილება: ფირიკანუ, პიერინი, კოისი, ალბერტო, ტაროცი, რუი კოშტა
მსაჯი: აიროლდი

### პიაჩენცა 0:0 რეჯინა

პიაჩენცა: რომა, პოლონია, ა. ლუკარელი, საკეტი, პიოვანი (ტალიაფერი 74), კრისტალინი, მაცოლა (გაუტიერი 62), მორონე, ლამაკი, ჯილარდინო (რიციტელი 57), რასტელი
რეჯინა: ტაიბი, ვარგასი (ოშადოგანი 49), ჩირილო, სტოვინი, ჯიაკეტა, ფოლიო, ბრევი, ბარონიო (პრალია 62), პირლო, პოსანცინი, რეჯი (კალონი 67)
გაფრთხილება: რასტელი, რეჯი, პოსანცინი, ჩირილო, ჯიაკეტა, ლამაკი, პიოვანი
მსაჯი: ტრეოსი

### პერუჯა 2:2 რომა

0:1 ნაკატა (22), 0:2 მონტელა (40პ), 1:2, 2:2 ოლივე (57, 82)
პერუჯა: მაცანტინი, რიპა (რივალტა 46), კალორი, მატერაცი, ესპოზიტო (ბა 46), ბიზოლი, ოლივე, მილანეზე (კაპიოლი 59), ალენიჩევი, რაპაიჩი, მელი
რომა: ანტონიოლი, ძაგო, ალდაირი, მანგონე, კაფუ, ნაკატა (ტომაზი 59), დი ფრანჩესკო, კანდელა, ტოტი, მონტელა (პოჯი 80), დელვეკიო
გაფრთხილება: ტოტი, მელი, რიპა, ოლივე, დელვეკიო, მანგონე, რაპაიჩი
გაძევება: ტოტი (20), კაპელო (82, „რომას“ მწვრთნელი)
მსაჯი: ბორიელო

### ლაციო 0:0 პარმა

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, ფერნანდო კოუტუ, პანკარო, სერჟიო კონსეისაო (რავანელი 71), სენსინი (ალმეიდა 79), ვერონი, სიმეონე, სალასი, ბოკშიჩი
პარმა: ბუფონი, ტურამი, ლასისი, კანავარო, ბენარივო (ვანოლი 66), დაბო (ლონგო 73), ფუზერი, პაულო სოუზა (ვალემი 77), დ. ბაჯო, კრესპო, სტანიჩი
გაფრთხილება: სიმეონე, ბენარივო, ლასისი, ფერნანდო კოუტუ
მსაჯი: ბაცოლი

### იუვენტუსი 1:0 ლეჩე

1:0 ზიდანი (26)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო, იულიანო, ძამბროტა (ბირინდელი 77), ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო, ზიდანი (მირკოვიჩი 88), ფ. ინძაგი (კოვაჩევიჩი 83), დელ პიერო
ლეჩე: კიმენტი, ხუარესი, ვიალი, სავინო, ბალერი, კონტიკიო, პიანჯერელი (ბონომი 60), ლიმა, კოლონელო (სიპრიენი 63), სესა (ტრავერსა 65), კ. ლუკარელი
გაფრთხილება: კოლონელო, ვან დერ სარი, დელ პიერო, ბალერი, ხუარესი
გაძევება: ტაკინარდი (44)
მსაჯი: ბოლონინო

### ინტერი 1:1 ტორინო

0:1 მენდესი (19), 1:1 ვიერი (30)
ინტერი: პერუცი, პანუჩი (მორიერო 68), ბლანი, კორდობა, გეორგატოსი, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო, ზეედორფი (სამორანო 68), რეკობა, რ. ბაჯო (კოე 46), ვიერი
ტორინო: პასტინე, ბონომი, გრანდონი, გალანტე, მენდესი (კოკო 80), იურჩიჩი, ბრამბილა (ფიკადენტი 90), ლენტინი, პეკია, სომეზე (ტრიკარიკო 41), ფერანტე
გაფრთხილება: მენდესი, გეორგატოსი, ბრამბილა, პასტინე, პეკია
მსაჯი: დე სანტისი

### ბოლონია 2:3 მილანი

0:1 გატუზო (32), 0:2 შევჩენკო (48), 0:3 ბირჰოფი (57), 1:3 ინგესონი (53), 2:3 ერიბერტო (60)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, პარამატი, დალ კანტო, ნერვო (ერიბერტო 14), ინგესონი, მაროკი (ფონტოლანი 74), პარამატი, ტონეტო (კოლივანოვი 83), კ. ანდერსონი, სინიორი
მილანი: აბიატი, კოსტაკურტა, აიალა, მალდინი, გატუზო, დე აშენტისი (ჰელვეგი 82), ამბროზინი, სერჟინიო, ბობანი (ჯუნტი 83), ბირჰოფი, შევჩენკო
გაფრთხილება: დე აშენტისი, პარამატი, ფონტოლანი
გაძევება: ფალკონე (88)
მსაჯი: ფარინა

### ბარი 1:1 ვერონა

0:1 მორფეო (40), 1:1 ნექროიზი (45)
ბარი: ფ. მანჩინი, გარსია (კასანო 46), ინოჩენტი, ნექროიზი, დელ გროსო, კოლაუტო (ბელავისტა 74), დ. ანდერსონი, მ. მარკოლინი, პეროტა, ოსმანოვსკი, სპინეზი (დე გრეგორიო 82)
ვერონა: ფრეი, დიანა, ფალსინი, მარასკო, აპოლონი, კოლუჩი, ბროკი, რომანო (მელისი 55), ლაურსენი, კოსატო (კამარატა 63), მორფეო
გაფრთხილება: ლაურსენი, კოლუჩი, ოსმანოვსკი
მსაჯი: როსი

### ვენეცია 3:0 კალიარი

1:0, 2:0 განცი (47პ, 55), 3:0 ორლანდინი (88)
ვენეცია: კასაცა, ბრიონსკი, ნგოტი, ლუპი, ბეტარინი (კარნაშალი 78), ორლანდინი (ნანამი 93), ბერგი, ვოლპი, პედონე, მანიერო, განცი (ვალტოლინა 68)
კალიარი: სკარპი, ლოპესი, ვილა, ძებინა, სულჩისი (კორადი 53), მოდესტო (კარუზი 75), ბერეტა, დე პატრე (კავეცი 46), მაჩელარი, მაიელე, ოლივეირა
გაფრთხილება: ლუპი, ბერგი, ვოლპი, ვალტოლინა, მოდესტო
მსაჯი: როდომონტი

ტურის მთავარი ამბავი: „ლაციომ“ შინ „პარმას“ ვერ მოუგო, რის შედეგადაც მას „ლეჩეს“ მძლეველმა „იუვენტუსმა“ ერთი ქულით გაასწრო. ლიდერობა ისევ ტურინელებმა დაიბრუნეს.

რომაელების თამაში კვირა საღამოს გაიმართა. ეს იყო ეგრეთწოდებული ცხრისნახევრიანი შეხვედრა (თბილისში შუაღამე ახლოვდებოდა). ამ დროს იტალიაში, როგორც წესი, ტურის მთავარი მატჩი ინიშნება და მისმა მონაწილეებმა ყველა სხვა შედეგი იციან.

ამრიგად „სტადიო ოლიმპიკოს“ მასპინძლებს კარგად მოეხსენებოდათ, რომ რამდენიმე საათის წინ ტურინელებმა გადაასწრეს, მაგრამ რამდენი ხნით? მხოლოდ რამდენიმე საათით თუ მთელი კვირით? ამ კითხვაზე საპასუხოდ სვენ გორან ერიკსონის გუნდს საათნახევარი ჰქონდა გამოყოფილი.

„ლაციომ“ „პარმაზე“ უკეთ ითამაშა. მისი ხორვატი თავდამსხმელი, ალენ ბოკშიჩი, ორჯერ ამაოდ ითხოვდა თერთმეტმეტრიან დარტყმას, მაგრამ ბურთს სტუმართა კარში შევარდნის სურვილი იმ დღეს არ ჰქონდა.

მაშ ასე, „იუვენტუსმა“ და „ლაციომ“ ბოლო რვა ტურში უკვე მეხუთედ გაუცვალეს ერთმანეთს ლიდერობა, მაგრამ ამ გაცვლა-გამოცვლაში მათ „მილანი“ წამოეპარა — იტალიის ჩემპიონმა ზედიზედ მესამე თამაში მოიგო, ამჯერად ბოლონიაში 3:2.

ზემოთ „იუვენტუსის“ „ლეჩესთან“ გამარჯვება ვახსენეთ. უნდა ითქვას, რომ „ბებერ ქალბატონს“ ის იოლად არ რგებია. საქმე ის გახლავთ, რომ პირველი ტაიმის ბოლოსწინა წუთზე ტურინელებს, ბრაზილიელი ლიმას წინააღმდეგ უხეშობისთვის, ალესიო ტაკინარდი გაუძევეს მოედნიდან და მეორე ტაიმში გვარიანი ბრძოლა გადახდათ. ვინ იცის ტაკინარდის გაძევებისთვის ანგარიში უკვე 1:0 რომ არ ყოფილიყო, შეძლებდნენ კი ისინი „დელე ალპიზე“ სამი ქულის დატოვებას?

„იუვენტუსის“ გამარჯვების გოლი ზინედინ ზიდანმა გაიტანა. ეს ფრანგის მეოთხე წარმატება გახლდათ ახალი წლის შემდეგ. ამრიგად, „ბებერმა ქალბატონმა“ ნაწილობრივ შური იძია პირველ წრეში ლეჩეში 0:2 დამარცხებისთვის, რომელიც მიმდინარე ჩემპიონატში მისთვის ჯერჯერობით ერთადერთი გახლავთ.

ლიდერთა ჯგუფის წევრებიდან „რომამ“ პერუჯაში 2:2 ითამაშა. რომაელებს მე-20 წუთზე ლიდერი ფრანჩესკო ტოტი რომ გაუძევეს, ანგარიში 0:0 გახლდათ. ამის მერე მათ პირველსავე ტაიმში ორი გოლის შეგდება მოახერხეს, მაგრამ დახეთ ანგარიშს და მიხვდებით მეორე ტაიმში რაც მოხდა.

ტოტის გაძევების მიზეზი ერთობ ორიგინალური გახლდათ: „პერუჯას“ კედელი 9-მეტრიანი წესის დაცვას აყოვნებდა. ასეთ ვითარებას, როგორც წესი, ჭიჭყინი და არეულობა მოსდევს ხოლმე. ამ არეულობას ტოტის გაფრთხილება მოჰყვა, ხოლო გაფრთხილებას მსაჯის, ჯენარო ბორიელოს ყბაში მსუბუქად გარტყმული ხელი, რასაც, თავის მხრივ, ძალიან, ძალიან წითელი ბარათი.

გაძევებიდან ორი წუთის შემდეგ იაპონური ფეხბურთის ვარსკვლავმა, ჰიდეტოში ნაკატამ თავისი ყოფილი გუნდის, „პერუჯას“ კარში გოლი შეაგდო, ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი ვინჩენცო მონტელამ პენალტით გაზარდა ანგარიში.

თითქოს, თითქოს... მაგრამ „პერუჯამ“ კაპიტულაცია არ გამოაცხადა და რენატო ოლივემ 57-ე და 82-ე წუთებზე ორჯერ უპასუხა.

ნერვიულობა ამით არ დასრულებულა. ოლივემ მეორე გოლი კუთხურის შედეგად გაიტანა, „რომას“ სახელგანთქმულ მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს კი კუთხურის სამართლიანობაში ეჭვი შეეპარა და საქმე იქამდე მივიდა, რომ მსაჯმა ერთი წითელი ბარათი მასაც არგუნა.

„თანამსაჯს ვუთხარი, რომ კუთხური რომელიც მან დანიშნა არ არსებობდა. პასუხად კი გაძევება მივიღე — განმარტა კაპელომ — მართალია, ჩვენ მსაჯების პატივისცემა გვმართებს, მაგრამ მათაც უნდა გვცენ პატივი და ბავშვებივით არ მოგვექცნენ. არ მესმის, ყოველ კვირას მუჯლუგუნებით რად გვიმასპინძლდებიან“.

„სან სიროზე“ „ინტერი“ „ტორინოს“ ეთამაშებოდა. თავიდან „ტორინო“ დაწინაურდა, მერე კი კრისტიან ვიერიმ თავის ყოფილ გუნდს გაუტანა და მატჩი ასეც დამთავრდა — 1:1.

„ფიორენტინაც“ ამავე ანგარიშით დაუზავდა „უდინეზეს“. ფლორენციელებსაც ანგარიშის გათანაბრება მოუხდათ, ხოლო ვინ გაათანაბრა ამას, აბა, რა კითხვა უნდა — გაბრიელ ბატისტუტამ.

**ბაპუნა ძიძია**

REUTERS რომიდან




ლაციო — პარმა 0:0. ლაციოელი მარსელო სალასი პარმელ ფაბიო კანავაროს წინააღმდეგ (№17)

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 21 | 12 | 8 | 1 | 27:10 | 17 | 44 | 11 | 9 | 2 | 0 | 19:4 | 15 | 29 | 10 | 3 | 6 | 1 | 8:6 | 2 | 15 |
| 2 ლაციო | 21 | 12 | 7 | 2 | 40:19 | 21 | 43 | 11 | 8 | 3 | 0 | 27:9 | 18 | 27 | 10 | 4 | 4 | 2 | 13:10 | 3 | 16 |
| 3 მილანი | 21 | 11 | 8 | 2 | 46:27 | 19 | 41 | 10 | 6 | 4 | 0 | 26:11 | 15 | 22 | 11 | 5 | 4 | 2 | 20:16 | 4 | 19 |
| 4 რომა | 21 | 11 | 6 | 4 | 44:23 | 21 | 39 | 10 | 7 | 2 | 1 | 25:10 | 15 | 23 | 11 | 4 | 4 | 3 | 19:13 | 6 | 16 |
| 5 ინტერი | 21 | 11 | 4 | 6 | 38:19 | 19 | 37 | 11 | 8 | 2 | 1 | 31:8 | 23 | 26 | 10 | 3 | 2 | 5 | 7:11 | -4 | 11 |
| 6 პარმა | 21 | 9 | 7 | 5 | 31:22 | 9 | 34 | 10 | 5 | 3 | 2 | 19:10 | 9 | 18 | 11 | 4 | 4 | 3 | 12:12 | 0 | 16 |
| 7 უდინეზე | 21 | 8 | 6 | 7 | 33:29 | 4 | 30 | 11 | 4 | 3 | 4 | 19:18 | 1 | 15 | 10 | 4 | 3 | 3 | 14:11 | 3 | 15 |
| 8 ფიორენტინა | 21 | 6 | 9 | 6 | 22:24 | -2 | 27 | 11 | 6 | 3 | 2 | 15:11 | 4 | 21 | 10 | 0 | 6 | 4 | 7:13 | -6 | 6 |
| 9 ბარი | 21 | 7 | 6 | 8 | 25:29 | -4 | 27 | 10 | 4 | 6 | 0 | 14:8 | 6 | 18 | 11 | 3 | 0 | 8 | 11:21 | -10 | 9 |
| 10 ლეჩე | 21 | 7 | 6 | 8 | 21:29 | -8 | 27 | 11 | 6 | 3 | 2 | 12:7 | 5 | 21 | 10 | 1 | 3 | 6 | 9:22 | -13 | 6 |
| 11 ბოლონია | 21 | 7 | 5 | 9 | 18:22 | -4 | 26 | 11 | 6 | 3 | 2 | 11:4 | 7 | 21 | 10 | 1 | 2 | 7 | 7:18 | -11 | 5 |
| 12 პერუჯა | 21 | 7 | 3 | 11 | 21:39 | -18 | 24 | 10 | 4 | 2 | 4 | 14:19 | -5 | 14 | 11 | 3 | 1 | 7 | 7:20 | -13 | 10 |
| 13 ტორინო | 21 | 5 | 7 | 9 | 21:29 | -8 | 22 | 10 | 3 | 2 | 5 | 11:13 | -2 | 11 | 11 | 2 | 5 | 4 | 10:16 | -6 | 11 |
| 14 რეჯინა | 21 | 4 | 9 | 8 | 19:28 | -9 | 21 | 10 | 3 | 4 | 3 | 9:13 | -4 | 13 | 11 | 1 | 5 | 5 | 10:15 | -5 | 8 |
| 15 ვენეცია | 21 | 5 | 4 | 12 | 20:35 | -15 | 19 | 11 | 5 | 3 | 3 | 14:10 | 4 | 18 | 10 | 0 | 1 | 9 | 6:25 | -19 | 1 |
| 16 ვერონა | 21 | 4 | 6 | 11 | 18:32 | -14 | 18 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:7 | 4 | 15 | 11 | 0 | 3 | 8 | 7:25 | -18 | 3 |
| 17 კალიარი | 21 | 2 | 9 | 10 | 19:33 | -14 | 15 | 10 | 2 | 5 | 3 | 10:11 | -1 | 11 | 11 | 0 | 4 | 7 | 9:22 | -13 | 4 |
| 18 პიაჩენცა | 21 | 3 | 6 | 12 | 11:25 | -14 | 15 | 11 | 2 | 5 | 4 | 6:8 | -2 | 11 | 10 | 1 | 1 | 8 | 5:17 | -12 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 16 |
| კრესპო (პარმა) | 13 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 12 |
| მონტელა (რომა) | 12 |
| კ. ლუკარელი (ლეჩე) | 11 |
| ბირჰოფი (მილანი) | 11 |
| ვიერი (ინტერი) | 11 |

### XXII ტური

19 თებერვალი
რომა — ფიორენტინა
რეჯინა — პერუჯა

20 თებერვალი
უდინეზე — ბარი
ლეჩე — ბოლონია
ტორინო — კალიარი
პიაჩენცა — ინტერი
ვენეცია — იუვენტუსი
მილანი — ლაციო
ვერონა — პარმა

## სერია B

XXII ტური

### სავოია 1:1 პისტოიეზე

0:1 ბანკელი (34), 1:1 პორკია (50)

### სამპდორია 1:1 ემპოლი

0:1 საუდატი (57), 1:1 ფლაკი (85)

### სალერნიტანა 2:0 ბრეშა

1:0 დი მიკელე (45), 2:0 დე ჩეზარე (91)

### პესკარა 3:1 ჯენოა

1:0 ვუკოია (19), 1:1 ფრანკიოზო (35), 2:1 ჯამპაოლო (45), 3:1 სულო (75)

### მონცა 0:0 კოზენცა

### ფერმანა 3:2 ნაპოლი

1:0 რაკინი (6), 1:1 ტურინი (17), 1:2 შვოხი (19); 2:2 კიანეზე (57), 3:2 კოლუშეკი (67)

### კიევო 0:0 ალძანო

### ჩეზენა 2:0 ტრევიზო

1:0 ბაროლო (14), 2:0 ტალდო (74)

### ვიჩენცა 0:0 ტერნანა

### ატალანტა 1:0 რავენა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 22 | 11 | 6 | 5 | 39:24 | 39 |
| ატალანტა | 22 | 11 | 5 | 6 | 30:20 | 38 |
| სამპდორია | 22 | 9 | 9 | 4 | 22:16 | 36 |
| ბრეშა | 22 | 9 | 8 | 5 | 29:20 | 35 |
| ნაპოლი | 22 | 8 | 9 | 5 | 29:24 | 33 |
| სალერნიტანა | 22 | 8 | 8 | 6 | 32:29 | 32 |
| ალძანო | 22 | 8 | 7 | 7 | 21:24 | 31 |
| რავენა | 22 | 7 | 9 | 6 | 23:21 | 30 |
| ჩეზენა | 22 | 6 | 11 | 5 | 29:24 | 29 |
| კოზენცა | 22 | 6 | 11 | 5 | 19:18 | 29 |
| ტრევიზო | 22 | 8 | 4 | 10 | 26:27 | 28 |
| კიევო | 22 | 7 | 7 | 8 | 25:27 | 28 |
| პესკარა | 22 | 5 | 12 | 5 | 30:26 | 27 |
| მონცა | 22 | 4 | 14 | 4 | 22:23 | 26 |
| ტერნანა | 22 | 5 | 11 | 6 | 22:27 | 26 |
| ემპოლი | 22 | 6 | 7 | 9 | 16:28 | 25 |
| ჯენოა | 22 | 6 | 6 | 10 | 24:26 | 24 |
| პისტოიეზე | 22 | 6 | 7 | 9 | 17:24 | 21 |
| ფერმანა | 22 | 4 | 7 | 11 | 21:33 | 19 |
| სავოია | 22 | 3 | 8 | 11 | 18:33 | 17 |

## სერია C1/A

23-ე ტური. ბრეშელო — ლუკეზე 1:1; კარარეზე — სპალ 0:0; ჩიტადელა — პიზა 0:2; კომო — კრემონეზე 0:0; ლივორნო — ლეკო 2:0; ლუმეცანე — სიენა 0:0; მოდენა — ალბინოლეფე 0:0; მონტევარკი — რეჯანა 1:0; ვარეზე — სანდონა 2:1

## სერია C1/B

23-ე ტური. ასკოლი — დი სანგრო 0:0; კატანია — არეცო 0:0; კროტონე — აველინო 2:0; ჯულიანოვა — ბენევენტო 0:0; სტაბია — გუალდო 3:0; ლოდიჯანი — მარსალა 1:2; ნოჩერინა — ფ. ანდრია 3:1; პალერმო — ატლეტიკო 1:0; ანკონა — ვიტერბეზე წუხელ გვიან გაიმართა

## გერმანია

XX ტური

### მიუნხენი 3:1 ფრაიბურგი

1:0 ზელიჩი (11), 1:1 კოლი (22), 2:1 ჰესლერი (67), 3:1 გოლცი (77ს.კ.)
მიუნხენი: ჰოფმანი, ტაპალოვიჩი, ზელიჩი, გრაილიხი (პასლაკი 74), რიდლი, პროსენიკი, ჩერნი, ჰესლერი, ჩიჟეკი, ვინქლერი, მაქსი
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა (ბორნემანი 85), ჰერმელი, კოლი, რამდანე (კორელი 67), ცაიერი, ვაისჰაუპტი, კობიაშვილი, ბენ სლიმანი (ფ. ბრუნსი 67), იაშვილი
გაფრთხილება: ჩიჟეკი, პროსენიკი, რამდანე, ვაისჰაუპტი
მსაჯი: აუსტი

### ჰანზა 1:1 ვოლფსბურგი

1:0 ბრანდი (24), 1:1 სებესკენი (66)
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი, ვაილანდტი, რ. შნაიდერი (ელერსი 76), ლანგე (აჰინფუფი 80), ვიბრანი, ლანცი, ბაუმგარტი, ბრანდი, აგალი, არვიდსონი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, ტომსენი, ჰენგენი (ვიუკი 60), ბილიშკოვი, სებესკენი, ნოვაკი, ვაისერი, მუნტეანუ (დაბრიცი 89), რიშე (ბალვანცი 81), იუსკოვიაკი
გაფრთხილება: ლანცი, შნაიდერი, მუნტეანუ, სებესკენი, ტომსენი
მსაჯი: ალბრეხტი

### დორტმუნდი 1:1 ულმი

1:0 ჰერლიხი (21), 1:1 ბოდოგი (60)
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, ნიეგუსი, კოლერი, სტევიჩი, დედე (ნერლინგერი 75), ჟ. რეინა, ვ. ბუტი (ტანკო 70), რიკენი, ჰერლიხი, ბობიჩი
ულმი: ლაუქსი, ბოდოგი, მარკესი, გრაუერი, რადოკი, ოტო (უნსოლდი 70), შარინგერი (როსლერი 46), მაიერი, გორა, ლეანდრო, ვან დერ ჰაარი
გაფრთხილება: ბოდოგი
მსაჯი: შტაინბორნი

### უნტერჰახინგი 0:2 ბაიერნი

0:1 პაულო სერჟიო (71), 0:2 შოლი (90)
უნტერჰახინგი: ვიტმანი, ბერგენი, ბუგერი, ზაიფერტი, შტრაუბე, ჰაბერი (გარსია 81), მატიას ციმერმანი, შვარცი, ობერლაიტნერი (მენდესი 75), რაკლი, ზაიცი (ბრაიტენრაიტერი 75)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, პ. ანდერსონი, ლინკე, ლიზარაზუ, ფინკი, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, პაულო სერჟიო (ვოიჩეკოვსკი 90), სანტა კრუზი (ელბერი 46), ციკლერი (შოლი 69)
გაფრთხილება: ჰაბერი, კანი
მსაჯი: კემლინგი

### ლევერკუზენი 1:0 შტუტგარტი

1:0 რინკი (69)
ლევერკუზენი: მატიშეკი, რეები (რინკი 60), ნოვოტნი, რ. კოვაჩი (ჟივკოვიჩი 33), ემერსონი, ბ. შნაიდერი, ზე რობერტო, ბალაკი, ბაინლიხი, ბრდარიჩი, ნოივილი (ვრანიეში 80)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ენდრესი, კელერი, კარნელი, კუფი (ბალაკოვი 74), სოლდო, ჯორჯევიჩი (განეა 46), გერბერი, ლისტეში (კუკა 74), დანდი
გაფრთხილება: ემერსონი, მატიშეკი, რეები, რინკი, ჯორჯევიჩი, კელერი, ლისტეში
მსაჯი: ფროილიხი

### დუისბურგი 2:3 აინტრახტი

0:1, 0:2 სობოჩიკი (19, 26), 1:2 რაისი (45), 1:3 გებჰარდტი (90), 2:3 რაისი (90)
დუისბურგი: სტაუჩე, ემერლინგი, ჰაიტო, ვოლერტი, ჰირში, ვოლტერსი (ჰოერსენი 72), ბიუსკენსი, ტოფტინგი (ვედაუ 65), ცაიერი (ოსტჰოფი 46), რაისი, ბაიერლე
აინტრახტი: ჰაინენი, ხუბჩევი, კუჩერა (ბინდევალდი 69), კრახტი, შური, ვებერი, სობოჩიკი, გებჰარდტი, ჰელდტი (რასიევსკი 57), სალუ (ჩენ იანგი 75), რაიხენბერგერი
გაფრთხილება: ჰაიტო, ვოლერტი, ვებერი
გაძევება: შური (39), ემერლინგი (43)
მსაჯი: ჰაინემანი

### ჰამბურგი 3:1 შალკე

0:1 მპენზა (15), 1:1 კოვაჩი (60), 2:1 ბუტი (72პ), 3:1 კოვაჩი (78)
ვილმოტსმა ვერ გაიტანა პენალტი (30, მეკარე)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი (ფიშერი 17, ბერონი 70), გრავესენი, ნ. კოვაჩი, ჰოლერბახი (შპიორლი 46), კარდოზო, მაჰდავიკია, იებოა, პრეგერი
შალკე: რეკი, კამპუისი (ჰელდი 85), ვალდოხი, ჰაპე, ტონი, ლატალი (ასამოა 74), კმეტჩი, ნემეცი (ალპუგანი 81), ვილმოტსი, ე. მპენზა, სანდი
გაფრთხილება: ჰოლერბახი, პრეგერი, კმეტჩი, რეკი, სანდი, ტონი
გაძევება: ვალდოხი (77)
მსაჯი: შიპელი

### არმინია 1:2 კაიზერსლაუტერნი

1:0 ვაისენბერგერი (36), 1:1 კოხი (38), 1:2 ბუკი (90)
არმინია: მილეტიჩი, შტრატოსი, კლიცპერა, განსაუგე, მაისნერი, პეეტერსი, ბოდე, მაული (ვიშნიარეკი 76), მ. ვაისენბერგერი, ბომე, ლაბადია
კაიზერსლაუტერნი: გოსპოდარეკი, კომლიენოვიჩი, კოხი (ლუცი 46), შონბერგი, შტრასერი, რატინიო, ვაგნერი (რაიხი 76), ბუკი, ხრისტოვი, მარშალი (ტარე 67), პეტერსონი
გაფრთხილება: განსაუგე, მაისნერი, კოხი, პეტერსონი
მსაჯი: ვაგნერი

### ვერდერი 4:1 ჰერტა

1:0 ტრარესი (8), 2:0 ბაუმანი (17), 3:0 აილტსი (20), 3:1 ალექს ალვეში (50), 4:1 აილტონი (78)
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ვიდნერი (სკრიპნიკი 70), ფრინგსი, ტრარესი, აილტსი (ფრაი 85), ა. ჰერცოგი, აილტონი, პიზარო (დაბროვსკი 75)
ჰერტა: ფიდლერი, ჰ.ჰერცოგი, რეკდალი, სვერისონი (დაეი 84), რემერი, შმიდტი, ვაიტი, მანდრეკო (როი 88), ვოში, პრეეცი, ალექს ალვეში
გაფრთხილება: ჰ. ჰერცოგი, მანდრეკო, რემერი, რეკდალი, ვაიტი
მსაჯი: შტარკი

# ბუტის მეოთხე და მერვე

უყურებ კაცი „ლევერკუზენის“ თამაშს და გსიამოვნებს. კრისტოფ დაუმის შეგირდები ბურთსაც ლალად აგორებენ, ლამაზ კომბინაციებსაც ათამაშებენ და გოლებიც საკმაო გააქვთ. თუმცა გავლენ მიუნხენის „ბაიერნთან“ სათამაშოდ და კაცს „ულმი“, „არმინია“ თუ სხვა აუტსაიდერი ეგონება.

ოთხშაბათს „ბაიერნმა“ „ლევერკუზენის“ საჩემპიონო ამბიციებს ლახვარი ჩასცა, 4:1 გაანადგურა. ამის მერე ბევრს ეგონა, კრისტოფ დაუმის გუნდს გონზე მოსასვლელად გარკვეული დრო დასჭირდებოდა, თუმცა...

შაბათს ლევერკუზენელებმა „შტუტგარტს“ უმასპინძლეს და 1:0 მოუგეს. თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მასპინძლები მეტს იმსახურებდნენ. მათ ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს. მაგრამ მხოლოდ ერთი გამოიყენეს. 70-ე წუთზე თავი ბრაზილიელმა პაულო რინკმა გამოიჩინა, რომელმაც თანამემამულე ემერსონის გონივრული პასი ლამაზ გოლად აქცია. შეგახსენებთ, რინკი „ლევერკუზენში“ შარშან თამაშობდა, სეზონის წინ გუნდის ხელმძღვანელობამ იგი მშობლიურ „სანტოსში“ გაანათხოვრა, პირველი წრის შემდეგ კი გერმანელებმა ფეხბურთელი დაიბრუნეს და, როგორც ჩანს, სწორადაც მოიქცნენ.

რინკის კარგი თამაში ბულგარელმა ბალაკოვმა ბოლო წუთზე კინალამ წყალში ჩაყარა — მისი დაახლოებით 35 მეტრიდან დარტყმული მატიშეკმა ცხრიანიდან გამოაძრო.

„პირველ ტაიმში რაც შევძელით, იმაზე უკეთ თამაში წარმოუდგენელია, თუმც საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო და კარგია, რომ მოვიგეთ. პაულო რინკის გოლმა კი ძალიან გამახარა“ — თქვა დაუმმა ნამატჩევს.

ამ გამარჯვების წყალობით ლევერკუზენელებმა ლიდერ „ბაიერნთან“ სამქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს. მიუნხენელები მეზობელ „უნტერჰახინგს“ ეწვივნენ და, როგორც მოსალოდნელი იყო, მორიგი სამი ქულა შეიმატეს. მასპინძლებმა იბრძოლეს, სული და გული ჩააქსოვეს შეხვედრაში და ქულასაც იმსახურებდნენ, თუმცა კლასმა თავისი გაიტანა. „ბაიერნმა“ მეტოქის წინაალმდეგობა 72-ე წუთზე-ღა გატეხა — პაულო სერჟიოს თავურს ვიტმანი ვერ გაუმკლავდა. არადა, მანამდე გატანის შანსი უნტერჰახინგს უფრო ჰქონდა, ჯერ შტრაუბეს აულო კანმა ძნელი ბურთი, მერე ზაიფერტს, ბოლოს კი ობერლაიტნერმა ძელს გაარტყა. ყოველივე ამას პაულო სერჟიოს ზემოთნახსენები ალოგიკური გოლი მოჰყვა, რომელსაც ბოლო წუთზე შოლმა კიდევ ერთი დაამატა და თამაშიც 2:0 დასრულდა.

„კარგად ვითამაშეთ, კმაყოფილი ვარ. უკვე აშკარაა, რომ ეფენბერგი ნელნელა საუკეთესო ფორმას იბრუნებს. კანმა კი დღეს ერთხელაც დაამტკიცა, რომ უმაღლესი კლასის მეკარეა“ — აშკარად ნასიამოვნები ჩანდა „ბაიერნის“ მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი.

„კაიზერსლაუტერნის“ მთავარმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა საიუბილეო მატჩი გამართა — პირველ ბუნდესლიგაში მწვრთნელის რანგში მეათასე შეხვედრა ჩაატარა. შეგირდებმაც იუბილე არ ჩაუმწარეს. სტუმრად ჩემპიონატის აუტსაიდერ „არმინიას“ 2:1 სძლიეს. გადამწყვეტი გოლი მსაჯის მიერ წამატებულ დროში გავიდა.

ბუკის ზუსტი დარტყმა რომ არა, რეჰაგელი იუბილეს ქულით შეხვდებოდა. ბუკის გოლამდე კი ჰარი კოხმა ივაჟკაცა. მეთვრამეტე ტურში [illegible] და მეცხრამეტეს ანტიგმირმა არმინიელი ვაისენბერგერის გოლი ორ წუთში გაქვითა. ეს პირველ ტაიმში, 38-ე წუთზე მოხდა. მეორე ნახევარი არც ისე საინტერესო გამოდგა. მატჩიც თითქოს ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ბუკმა სხვაგვარად ინება და რეჰაგელს გახარების საბაბი მისცა.

„დორტმუნდის“ ხელმძღვანელობა კი ალბათ ათი დღის წინ გადადგმულ ნაბიჯს ნანობს. მოგეხსენებათ, წინა შაბათს გუნდს მთავარი მწვრთნელი შეეცვალა. მიხაელ სკიბე ცუდი შედეგების გამო გაათავისუფლეს, მის მაგივრად ბერნდ კრაუსი დაინიშნა. მწვრთნელთა გადაადგილებით არაფერი შეცვლილა. კრაუსის ხელმძღვანელობით „დორტმუნდი“ ჯერ „ვოლფსბურგთან“ დამარცხდა, შაბათს კი მოულოდნელად შინ პატარა „ულმს“ ვერ მოუგო.

„ვერდერი“-„ჰერტას“ შეხვედრაში კინალამ ტრაგედია დატრიალდა. მეორე ტაიმში, როცა ანგარიში 3:1 იყო, ბრემენელი ვიდნერი ბურთისათვის ბრძოლისას ცუდად დაეცა და 7 წუთით გონება დაკარგა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ენაც გადაუყლაპავს, საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ექიმები დროულად ჩაერივნენ საქმეში და ვიდნერიც გონზე მოიყვანეს.

თამაში „ვერდერის“ იოლი გამარჯვებით დასრულდა. მე-20 წუთისთვის ფაქტობრივად ყველაფერი გარკვეული იყო. ბრემენელები უკვე 3:0-ს იგებდნენ. მეორე ტაიმში გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს და მატჩიც 4:1 მორჩა.

„ფრაიბურგმა“ კი სტუმრად „მიუნხენთან“ წააგო. მასპინძელთა სამ გოლს ფოლკერ ფინკეს შეგირდებმა ერთით უპასუხეს. 22-ე წუთზე კოლმა იაშვილის პასი გამოიყენა და ანგარიში გაქვითა. ყველაფერი მეორე ტაიმში გაირკვა. ჰესლერმა ჯერ თავად გაიტანა, მერე კი კუთხური ისე ჩამოაწოდა, გოლცმა საკუთარ კარში შეაგდო. კობიაშვილმაც და იაშვილმაც შეუცვლელად ითამაშეს და „კიკერისაგან“ შესაბამისად 3,5 და 4 მიიღეს.

კვლავ მოიგო „ჰამბურგმა“, რომელმაც ამჯერად კარგ ფორმაში მყოფი „შალკე“ 3:1 იმსხვერპლა. ამ გამარჯვებას ჰამბურგელები თავიანთ მეკარე ჰანს-იორგ ბუტს უნდა უმადლოდნენ. ბუტმა მორიგი გმირობა ჩაიდინა. 30-ე წუთზე („ჰამბურგი“ ამ დროს 0:1-ს აგებდა) ვილმოტსის პენალტი მოიგერია (ამ სეზონში მეოთხე), 72-ეზე კი კოლეგა რეკს თავად გაუტანა თერთმეტმეტრიანი (ამ სეზონში მერვე) და თავისიანები 2:1 დააწინაურა. მის გოლს ორი ზუსტი დარტყმა ნიკო კოვაჩმაც დაუმატა და „ჰამბურგმაც“ 3:1 მოიგო.

**ვანო ოქროპირიძე**

REUTERS ლევერკუზენიდან



ლევერკუზენი — შტუტგარტი 1:0. ლევერკუზენელმა იორგ რეებმა შტუტგარტელ ჰაიკო გერბერს ფეხი ატკინა

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 20 | 13 | 4 | 3 | 39:14 | 25 | 43 | 9 | 6 | 2 | 1 | 24:8 | 16 | 20 | 11 | 7 | 2 | 2 | 15:6 | 9 | 23 |
| 2 | ლევერკუზენი | 20 | 11 | 7 | 2 | 34:22 | 12 | 40 | 11 | 8 | 3 | 0 | 25:11 | 14 | 27 | 9 | 3 | 4 | 2 | 9:11 | -2 | 13 |
| 3 | ჰამბურგი | 20 | 10 | 8 | 2 | 45:21 | 24 | 38 | 10 | 7 | 3 | 0 | 28:6 | 22 | 24 | 10 | 3 | 5 | 2 | 17:15 | 2 | 14 |
| 4 | ვერდერი | 20 | 9 | 5 | 6 | 41:29 | 12 | 32 | 11 | 6 | 2 | 3 | 23:15 | 8 | 20 | 9 | 3 | 3 | 3 | 18:14 | 4 | 12 |
| 5 | მიუნხენი | 20 | 9 | 5 | 6 | 32:27 | 5 | 32 | 11 | 7 | 2 | 2 | 23:12 | 11 | 23 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:15 | -6 | 9 |
| 6 | ლაუტერნი | 20 | 9 | 3 | 8 | 26:33 | -7 | 30 | 9 | 4 | 2 | 3 | 13:13 | 0 | 14 | 11 | 5 | 1 | 5 | 13:20 | -7 | 16 |
| 7 | დორტმუნდი | 20 | 7 | 8 | 5 | 25:16 | 9 | 29 | 11 | 4 | 5 | 2 | 17:11 | 6 | 17 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:5 | 3 | 12 |
| 8 | ჰერტა | 20 | 7 | 7 | 6 | 26:32 | -6 | 28 | 9 | 4 | 4 | 1 | 15:7 | 8 | 16 | 11 | 3 | 3 | 5 | 11:25 | -14 | 12 |
| 9 | ვოლფსბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 26:32 | -6 | 28 | 10 | 6 | 0 | 4 | 15:16 | -1 | 18 | 10 | 1 | 7 | 2 | 11:16 | -5 | 10 |
| 10 | შალკე | 20 | 6 | 9 | 5 | 27:25 | 2 | 27 | 9 | 2 | 6 | 1 | 11:10 | 1 | 12 | 11 | 4 | 3 | 4 | 16:15 | 1 | 15 |
| 11 | შტუტგარტი | 20 | 8 | 3 | 9 | 23:25 | -2 | 27 | 9 | 3 | 1 | 5 | 12:14 | -2 | 10 | 11 | 5 | 2 | 4 | 11:11 | 0 | 17 |
| 12 | ფრაიბურგი | 20 | 6 | 5 | 9 | 27:28 | -1 | 23 | 10 | 5 | 2 | 3 | 18:8 | 10 | 17 | 10 | 1 | 3 | 6 | 9:20 | -11 | 6 |
| 13 | ულმი | 20 | 6 | 5 | 9 | 23:28 | -5 | 23 | 10 | 5 | 2 | 3 | 15:7 | 8 | 17 | 10 | 1 | 3 | 6 | 8:21 | -13 | 6 |
| 14 | უნტერჰახინგი | 20 | 6 | 5 | 9 | 19:24 | -5 | 23 | 10 | 6 | 3 | 1 | 12:5 | 7 | 21 | 10 | 0 | 2 | 8 | 7:19 | -12 | 2 |
| 15 | ჰანზა | 20 | 5 | 7 | 8 | 26:39 | -13 | 22 | 11 | 5 | 4 | 2 | 17:14 | 3 | 19 | 9 | 0 | 3 | 6 | 9:25 | -16 | 3 |
| 16 | აინტრახტი | 20 | 5 | 2 | 13 | 22:30 | -8 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 13:10 | 3 | 10 | 11 | 2 | 1 | 8 | 9:20 | -11 | 7 |
| 17 | დუისბურგი | 20 | 3 | 7 | 10 | 22:36 | -14 | 16 | 10 | 2 | 5 | 3 | 13:11 | 2 | 11 | 10 | 1 | 2 | 7 | 9:25 | -16 | 5 |
| 18 | არმინია | 20 | 2 | 5 | 13 | 15:37 | -22 | 11 | 11 | 1 | 4 | 6 | 10:16 | -6 | 7 | 9 | 1 | 1 | 7 | 5:21 | -16 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე 04) | 11 |
| იებოა (ჰამბურგი) | 9 |
| სელიმი (ფრაიბურგი) | 9 |
| აილტონი (ვერდერი) | 9 |

### XXI ტური

18 თებერვალი
რტა - ჰამბურგი
შალკე - ლევერკუზენი
19 თებერვალი
აინტრახტი - მიუნხენი
ლაუტერნი - ვერდერი
შტუტგარტი - უნტერჰახინგი
ფრაიბურგი - დორტმუნდი
ბაიერნი - დუისბურგი
20 თებერვალი
ულმი - ჰანზა
ვოლფსბურგი - არმინია

## მეორე ბუნდესლიგა

XVIII ტური

### კიკერსი 1:2 ალემანია

0:1 ჰუი (72), 0:2 ფ. შმიდტი (76), 1:2 მარიჩი (88)

### მიონხენგლადბახი 1:0 ქემნიცი

1:0 ვიტეჩეკი (45)

### ვალდჰოფი 2:1 ნიურნბერგი

0:1 ჰობში (3), 1:1 კლაუში (76), 2:1 პროცელი (89)

### ოფენბახი 2:2 მაინცი

0:1 მელუნოვიჩი (30), 0:2 კლოპი (58), 1:2 ვლადოიუ (59), 2:2 კოლინგერი (64)

### ობერჰაუზენი 1:0 კიოლნი

1:0 ვაიერი (52)

### ფიურტი 0:0 ზანქტ პაული

### ბერლინი 2:1 ჰანოვერი

1:0, 2:0 ჩირიჩი (10, 56), 2:1 ბოუნოა (84)

### ფორტუნა 2:0 კოტბუსი

1:0 მუსავი (20), 2:0 გრაფი (90)

### ბოხუმი 2:1 კარლსრუე

1:0 პეშელი (36), 1:1 კრები (63), 2:1 დიკჰაუტი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 18 | 12 | 4 | 2 | 39:13 | 40 |
| კოტბუსი | 18 | 10 | 1 | 7 | 37:23 | 31 |
| ბოხუმი | 18 | 9 | 3 | 6 | 32:27 | 30 |
| ბერლინი | 18 | 7 | 8 | 3 | 26:20 | 29 |
| ალემანია | 18 | 7 | 6 | 5 | 28:32 | 27 |
| ნიურნბერგი | 18 | 8 | 3 | 7 | 28:33 | 27 |
| ვალდჰოფი | 18 | 7 | 5 | 6 | 27:26 | 26 |
| ქემნიცი | 18 | 6 | 6 | 6 | 27:23 | 24 |
| გლადბახი | 18 | 6 | 6 | 6 | 24:21 | 24 |
| ფიურტი | 18 | 5 | 9 | 4 | 12:15 | 24 |
| მაინცი | 18 | 5 | 8 | 5 | 22:23 | 23 |
| ჰანოვერი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:25 | 22 |
| ზტ. პაული | 18 | 4 | 8 | 6 | 19:23 | 20 |
| ობერჰაუზენი | 18 | 4 | 8 | 6 | 16:20 | 20 |
| ფორტუნა | 18 | 4 | 6 | 8 | 17:28 | 18 |
| კიკერსი | 17 | 4 | 5 | 8 | 25:33 | 17 |
| ოფენბახი | 18 | 3 | 7 | 8 | 17:30 | 16 |
| კარლსრუე | 17 | 2 | 7 | 8 | 21:27 | 13 |

# სენსაცია: რეალმა ბარსელონას გაუსწრო

## ესპანეთი

XXIV ტური

**ნუმანსია 1:0 დეპორტივო**

1:0 პაჩეტა (54)
ნუმანსია: უროსი, მუნისი, ოქტავიო, ხაუმე, სორია, პაჩეტა, ნაგორე, კასტანიო, ინიაკი (ბელსუე 81), ოხედა (დელგადო 90), ბარბუ (რივერა 66)
დეპორტივო: სონგო, რომერო, შურერი, დონატო, მანუელ პაბლო, ფრანი (პაულეტა 66), ჯალმინია, ხაიმე (ტურუ ფლორესი 60), მაურო სილვა, მაკაი, ვიქტორ სანჩესი (ფლავიო კონსეისაო 77)
გაფრთხილება: სორია, ხაიმე, კასტანიო, ჯალმინია, ოქტავიო, დონატო
მსაჯი: გარსია არანდა

**სელტა 4:1 სოსიედადი**

0:1 დე პაულა (23), 1:1 ფუენტესი (59ს.კ.), 2:1 სერხიო (62), 3:1, 4:1 გუსტავო ლოპესი (76, 90)
სელტა: პინტო, ვივასი (მოსტოვოი 45), ველასკო, სერხიო, კასერესი, კარპინი (კოირა 83), ჯოვანელა, მაკელელე, ბენი მაკკარტი, რევივო (ბელმადი 75), გუსტავო ლოპესი
სოსიედადი: ალბერტო, ლორენი, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, ფუენტესი (ალდეონდო 66), გურუჩაგა, ხოხლოვი, არამბურუ, იანკაუსკასი, დე პაულა (გომესი 46), სა პინტუ (იდიაკესი 82)
გაფრთხილება: ფუენტესი, სერხიო, ლოპეს რეკარტე, ჯოვანელა, იანკაუსკასი
გაძევება: ლოპეს რეკარტე (42), იანკაუსკასი (87)
მსაჯი: მედინა კანტალეხო

**სარაგოსა 1:1 რაიო ვალეკანო**

1:0 იორდი (14), 1:1 მიჩელ II (82)
სარაგოსა: ხუანმი, სუნდგრენი, პაბლო (ლანა 21), პაკო ხემესი, აგუადო, გარიტანო (ხოსე იგნასიო 92), არაგონი (ველისკა 51), აკუნია, იორდი, მილოშევიჩი, ხუანელე
რაიო ვალეკანო: კელერი, პაბლო სანსი, ფერონი (მიჩელ II 68), ჰელდერი, ალკასარი, კოტა, კლოტე, ერნანდესი (ამაია 51), მიჩელ I, ვან დენ ბერგი (პოშნერი 64), კანაბალი
გაფრთხილება: აგუადო, არაგონი, ვან დენ ბერგი, ხუანელე, სუნდგრენი, კლოტე, იორდი
გაძევება: იორდი (88)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი

**რასინგი 2:1 ატლეტიკო**

0:1 რობერტო (5), 1:1, 2:1 ვივარ დორადო (36, 51)
რასინგი: ლემენსი, არსენო (ისმაელი 68), სიეტესი, ნერუ, მელბერგი, ვივარ დორადო, ესპინია (შუსტიკოვი 75), კოლსა, სალვა (ბესჩასტნიხი 87), მუნიტისი, ამავისკა
ატლეტიკო: მოლინა, გამარა, კაპდევილა (სოლარი 72), გასპარი (კიკო ნარვაესი 80), სანტი, პაუნოვიჩი, რობერტო, უგო ლეალი (ბარახა 75), ვალერონი, ბეიბლი, ჰასელბაინკი
გაფრთხილება: სალვა, ჰასელბაინკი, პაუნოვიჩი, კოლსა, ესპინია, ვალერონი, სანტი.
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი

**ესპანიოლი 2:2 სევილია**

1:0 ტამუდო (2), 1:1 ცარტასი (26პ), 2:1 ტამუდო (67), 2:2 ცარტასი (85პ)
ესპანიოლი: მორა, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინიო, მაურო ნავასი, არტეაგა (როხერი 65), გალკა, სერხიო, ტამუდო, ბენიტესი (მანელი 56), ველამასანი (დე ლუკასი 64)
სევილია: ოლსენი, ნანდო (ხესული 68), ექტორი, მარჩენა, ჰიბიჩი, ანხელი, კევედო, ცარტასი, ვიქტორი (ოტერო 60), ხუან კარლოსი (ლორენი 76), ზალაიეტა
გაფრთხილება: მარჩენა, ზალაიეტა, პოჩეტინიო, ანხელი, გალკა, კევედო, დე ლუკასი
მსაჯი: ბუენო გრიმალდი

**ალავესი 1:0 ოვიედო**

1:0 დესიო (25)
ალავესი: ერერა, ტორეს მესტრე, კონტრა, ტელიესი, კარმონა, იბონ ბეგონია (მორალესი 73), ასკოიტია, პაბლო, დესიო, ხავი მორენო (ხულიო სალინასი 86), კოდრო (ნან რივერა 46)
ოვიედო: ესტებანი, ბორისი, ონოპკო, დანჟუ, ივან ანია (გონსალესი 33), ამიევა, პაულო ბენტუ, პომპეი, ესკურსა (ივან იგლესიასი 65), დელი ვალდესი, ლოსადა (რუბენი 55)
გაფრთხილება: ასკოიტია, ამიევა
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

**ბეტისი 2:1 ბარსელონა**

1:0 იტო (7), 2:0 ალფონსო (78), 2:1 კლუივერტი (86)
ბეტისი: ტონი პრატსი, მერინო, კარპანი, ვიდაკოვიჩი, ბორნესი, იტო, ფილიპესკუ, კროსა, ოლი (გალვესი 57), დენილსონი (კუელიარი 70), ალფონსო (ბენჯამინი 92)
ბარსელონა: არნაუ, ბოგარდი, რაიციგერი, აბელარდო (დანი 65), კოკუ (ლიტმანენი 76), ხავი (რ. დე ბური 57), ზენდენი, ლუის ენრიკე, ფიგუ, რივალდო, კლუივერტი
გაფრთხილება: კარპანი, ზენდენი, კოკუ, ოლი, კლუივერტი, ფილიპესკუ
გაძევება: კარპანი (51)
მსაჯი: მეხუტო გონსალესი

**რეალი 1:0 მალაგა**

1:0 ზარატე (48)
რეალი: კასილიასი, მანუელ სანჩისი (ზარატე 46), იერო, კარანკა, რობერტო კარლოსი, რედონდო, კარემბუ, გუტი (ივან ელგერა 71), მაკმანამანი, მეკა, რაული (ოგნიენოვიჩი 41)
მალაგა: კონტრერასი, როხასი, ფერნანდო სანსი, ლარაინსარი, ვალკარსე, რუფეტე (ჯენილსონი 83), დე ლოს სანტოსი, მოვილია, აგოსტინო (ლუკე 71), კატანია, ედგარი (რუანო 80)
გაფრთხილება: დე ლოს სანტოსი, რედონდო, ფერნანდო სანსი, გუტი, ედგარი, რობერტო კარლოსი, ლარაინსარი, ლუკე
მსაჯი: პუენტეს ლეირა

**ბილბაო 1:1 მალიორკა**

0:1 დიეგო ტრისტანი (22), 1:1 პაჩი ფერეირა (66)
ბილბაო: ი. ეჩებერია, პაჩი ფერეირა, ფელიპე (ხავი გონსალესი 42), ლარასაბალი (ტიკო 16), კარლოს გარსია, იმანოლი, ურუტია, ალკისა (ი. გერერო 58), ლაკრუსი, ურსაისი, ესკერო
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, არმანდო, სივიერო, ნადალი, ოლაიზოლა, ენგონგა, ჩიჩი სოლერი, სერისუელა, დიეგო ტრისტანი, კარლოსი (ნოვო 43), ?
გაფრთხილება: ფელიპე, არმანდო, ლეო ფრანკო, ოლაიზოლა, მიგელ სოლერი, კარლოსი
მსაჯი: ესკინას ტორესი

**ვალიადოლიდი 0:0 ვალენსია**

ვალიადოლიდი: სესარი, მარკოსი, ჰაინცე, პენია, გარსია კალვო, ტორეს გომესი, მარკესი (ეუსებიო 51, ალბერტო 82), შოჯი ჯო (ისაილოვიჩი 72), ხავი ხიმენესი, კამინერო, ვიქტორი
ვალენსია: კანისარესი, კარბონი, პელეგრინო, ჯუკიჩი, ანგლომა, კილი გონსალესი, ფარინოსი, მილია (ანგულო 75), მენდიეტა, კლაუდიო ლოპესი, ილიე (ოსკარი 84)
გაფრთხილება: ისაილოვიჩი, პელეგრინო, ფარინოსი, კამინერო, გარსია კალვო, ანგლომა, მენდიეტა, შოჯი ჯო
გაძევება: მენდიეტა (45)
მსაჯი: პერეს ბურული



ბეტისი — ბარსელონა 2:1. ბეტისელი იულიან ფილიპესკუ და ბარსელონელი ლუიშ ფიგუ ბურთისთვის იბრძვიან

დიახ, დაკარგული ქულებით „რეალი“ მესამე ადგილზეა, „ბარსელონა“ — მეოთხეზე. ის ერთი გამოტოვებული მატჩი დედაქალაქელებმა „ვალიადოლიდის“ წინააღმდეგ უნდა გამართონ და თუ საოცრება არ მოხდა...

თუმცა არა, ესპანეთის ჩემპიონატის მიმდინარე გათამაშებაში შედეგების წინასწარმეტყველება უიმედო საქმეა. თუნდაც ის რად ღირს, რომ ბოლო ტურში ლიდერთა სამეულმა ჯამში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა.

ყველაზე უცნაური ამბავი სევილიაში მოხდა. იქ „ბეტისი“ „ბარსელონას“ მასპინძლობდა. წინა ტურში კატალონიელებმა მშობლიურ „კამპ ნოუზე“ „ალავესთან“ წააგეს და ამჯერადაც უქულოდ არ უნდა დარჩენილიყვნენ.

შეხვედრა მეტად აქტიურად დაიწყო. მე-7 წუთზე ყოფილი სელტელი ნახევარმცველი იტო ალვარესი სტუმართა საჯარიმოს მისადგომებთან დაკარგულ ბურთს დაეუფლა და ახლო კუთხეში დაარტყა. ფრანსისკო არნაუ უძლური იყო, რამე ეღონა და ტრიბუნებს სიხარულის ტალღამ გადაუარა. „ბარსელონას“ გოლის გატანის შესაძლებლობა აქამდეც და მერეც არაერთხელ ჰქონდა. პირველივე წუთებში ტონი პრატსს ორჯერ მოუხდა ლუიშ ფიგუს დარტყმულების მოგერიება. იმავე ფიგუს და კლუივერტს გოლის გაშვების შემდეგაც არ დაუკლიათ მცდელობა. ყველაზე სახიფათო მომენტი კი ბეტისელთა კართან მაშინ შეიქმნა, როდესაც ზენდენის პასით პორტუგალიელმა ბურთი ძელს გაარტყა.

მეორე ტაიმი არანაკლებ დრამატულად დაიწყო. 51-ე წუთზე მასპინძლები ათნი დარჩნენ — მსაჯმა მიროსლავ კარპანი მინდვრიდან გააძევა. მთელი 40 წუთი კაცნაკლული გუნდის წინააღმდეგ — „ბარსელონას“ ეს საჩუქარი უნდა გამოეყენებინა. პირიქით მოხდა. ბეტისელები მეტოქის მრისხანე სახელს არ შეუშინდნენ, 78-ე წუთზე ალფონსო პერესმა უინსტონ ბოგარდის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში ორამდე გაზარდა. შეხვედრის დასრულებამდე ძალიან ცოტა დრო იყო დარჩენილი და „ბარსელონას“ შეტევები სასოწარკვეთილის ბოლო გაბრძოლებასღა ჰგავდა. თუმცა ამ გაბრძოლებამ შედეგი ერთხელ მაინც გამოიღო. მსაჯის საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე ლუიშ ფიგუმ ბურთი მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა. ტონი პრატსი შეცდა, ის კარიდან გვიან გამოვიდა და ბურთის მოგერიება ვერ შეძლო. საჯარიმოში კი საჭირო დროის და საჭირო ადგილას პატრიკ კლუივერტი იმყოფებოდა. მან პირველი შეხებით ბურთი კარისკენ გაგზავნა. ჰოლანდიელის დარტყმული ხარიხას მოხვდა და კარის ხაზი ისე გადაკვეთა. კატალონიელებს გოლის გატანა არ უზეიმიათ, ბურთს სასწრაფოდ ხელი დაავლეს და მოედნის ცენტრისკენ გაიქცნენ — ამაოდ, დარჩენილ დროში ალარაფერი შეიცვალა.

რა ემართება „ბარსელონას“? ლურჯ-წითლებმა ბოლო ხუთ ტურში მხოლოდ ხუთი ქულის მოგროვება მოახერხეს — მარცხი „ალავესთან“ და „ბეტისთან“, ფრე „სარაგოსასთან“ და „ესპანიოლთან“ და მხოლოდ ერთი მოგება „რასინგთან“. „ბარსას“ ან ლიდერთან ჩამორჩენის არ ეშინია, ანდა ლუის ვან გაალს ბ[illegible] დაეკარგა და ფეხბურთელებს რჩევა-დარიგებებს ველარ აძლევს. თუმცა ჰოლანდიელი სპეციალისტი, ვინაც პრიმერა დივიზიონში მეასე მატჩი გამართა, იხტიბარს არ იტეხს. „დღევანდელი თამაში უკან გადადგმული ნაბიჯია — ამბობს ვან გაალი — თუმცა დაკარგული არაფერია, წინ თითქმის ნახევარი ჩემპიონატი გვაქვს. დავამტკიცებთ, რომ „ბარსელონას“ რამდენიმე წარუმატებელი მატჩის შემდეგ მობილიზება შეუძლია“.

ვან გაალის ბეტისელ კოლეგა გუს ჰიდინკს კი თავის სამართლებელი არაფერი ჰქონდა. 18 წელი! ამ ხნის მანძილზე „ბეტისს“ „ბარსელონასთვის“ ვერაფერი მოეხერხებინა.

ზემოთ „რეალის“ ალმასვლა ვახსენეთ. თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა, ამ ტურის შემდეგ „სამეფო კლუბი“ ათეულს მიღმა ყოფილიყო. შაბათს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოკრძალებულმა „მალაგამ“ მსოფლიოს ყველაზე ტიტულიან გუნდს გაკვეთილი ჩაუტარა იმისა, თუ როგორ უნდა ეთამაშო ფეხბურთის გრანდს, რომელიც თავის საუკეთესო სეზონს არ ატარებს. მაგრამ მოხდა ის, რასაც ხშირად შევსწრებივართ. „მალაგა“ დიდ უპირატესობას ფლობდა, მასპინძლებმა კი ერთ-ერთი უიშვიათესი შეტევის დროს ერთადერთი გოლი შეაგდეს. ეს „რეალის“ ახალგაზრდა ფეხბურთელმა როლანდო ზარატემ მოახერხა. მან საჯარიმოს მისადგომიდან შორეულ კუთხეში დაარტყა. მალაგელი მეკარე კონტრერასი ბურთისკენ გადახტა, მაგრამ უძლიერეს და უზუსტეს დარტყმას ვერაფერი მოუხერხა.

ასე რომ, „ბარსა“ და „რეალი“ გათამაშების ცხრილში მეზობლები გახდნენ. ისინი თვის ბოლოს მადრიდში ხვდებიან ერთმანეთს. ბრძოლა ის იქნება...

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 24 | 13 | 4 | 7 | 42:31 | 11 | 43 | 11 | 9 | 0 | 2 | 28:14 | 14 | 27 | 13 | 4 | 4 | 5 | 14:17 | -3 | 16 |
| 2 | სარაგოსა | 24 | 10 | 10 | 4 | 41:25 | 16 | 40 | 13 | 8 | 5 | 0 | 29:12 | 17 | 29 | 11 | 2 | 5 | 4 | 12:13 | -1 | 11 |
| 3 | ბარსელონა | 24 | 11 | 5 | 8 | 44:31 | 13 | 38 | 11 | 8 | 1 | 2 | 25:10 | 15 | 25 | 13 | 3 | 4 | 6 | 19:21 | -2 | 13 |
| 4 | სელტა | 24 | 12 | 2 | 10 | 35:30 | 5 | 38 | 13 | 8 | 1 | 4 | 25:17 | 8 | 25 | 11 | 4 | 1 | 6 | 10:13 | -3 | 13 |
| 5 | ალავესი | 24 | 11 | 5 | 8 | 27:25 | 2 | 38 | 13 | 7 | 2 | 4 | 16:13 | 3 | 23 | 11 | 4 | 3 | 4 | 11:12 | -1 | 15 |
| 6 | რეალი | 23 | 9 | 9 | 5 | 39:37 | 2 | 36 | 12 | 6 | 3 | 3 | 22:20 | 2 | 21 | 11 | 3 | 6 | 2 | 17:17 | 0 | 15 |
| 7 | ბილბაო | 24 | 9 | 9 | 6 | 35:35 | 0 | 36 | 12 | 6 | 5 | 1 | 20:14 | 6 | 23 | 12 | 3 | 4 | 5 | 15:21 | -6 | 13 |
| 8 | ვალენსია | 24 | 9 | 7 | 8 | 32:25 | 7 | 34 | 11 | 6 | 2 | 3 | 20:10 | 10 | 20 | 13 | 3 | 5 | 5 | 12:15 | -3 | 14 |
| 9 | რაიო ვალეკანო | 24 | 10 | 4 | 10 | 33:33 | 0 | 34 | 12 | 6 | 2 | 4 | 19:15 | 4 | 20 | 12 | 4 | 2 | 6 | 14:18 | -4 | 14 |
| 10 | ნუმანსია | 24 | 9 | 7 | 8 | 33:36 | -3 | 34 | 12 | 7 | 5 | 0 | 20:9 | 11 | 26 | 12 | 2 | 2 | 8 | 13:27 | -14 | 8 |
| 11 | მალიორკა | 24 | 9 | 6 | 9 | 32:32 | 0 | 33 | 12 | 8 | 3 | 1 | 22:12 | 10 | 27 | 12 | 1 | 3 | 8 | 10:20 | -10 | 6 |
| 12 | ბეტისი | 24 | 9 | 3 | 12 | 23:38 | -15 | 30 | 13 | 8 | 2 | 3 | 15:11 | 4 | 26 | 11 | 1 | 1 | 9 | 8:27 | -19 | 4 |
| 13 | რასინგი | 24 | 7 | 8 | 9 | 37:35 | 2 | 29 | 13 | 3 | 8 | 2 | 22:18 | 4 | 17 | 11 | 4 | 0 | 7 | 15:17 | -2 | 12 |
| 14 | მალაგა | 24 | 7 | 8 | 9 | 33:33 | 0 | 29 | 11 | 3 | 5 | 3 | 15:10 | 5 | 14 | 13 | 4 | 3 | 6 | 18:23 | -5 | 15 |
| 15 | ატლეტიკო | 24 | 8 | 5 | 11 | 37:39 | -2 | 29 | 12 | 5 | 3 | 4 | 20:15 | 5 | 18 | 12 | 3 | 2 | 7 | 17:24 | -7 | 11 |
| 16 | ვალიადოლიდი | 23 | 7 | 8 | 8 | 22:25 | -3 | 29 | 11 | 6 | 2 | 3 | 17:12 | 5 | 20 | 12 | 1 | 6 | 5 | 5:13 | -8 | 9 |
| 17 | ესპანიოლი | 24 | 7 | 7 | 10 | 34:36 | -2 | 28 | 13 | 4 | 6 | 3 | 19:17 | 2 | 18 | 11 | 3 | 1 | 7 | 15:19 | -4 | 10 |
| 18 | ოვიედო | 24 | 7 | 6 | 11 | 24:38 | -14 | 27 | 11 | 7 | 2 | 2 | 13:6 | 7 | 23 | 13 | 0 | 4 | 9 | 11:32 | -21 | 4 |
| 19 | სოსიედადი | 24 | 5 | 10 | 9 | 26:33 | -7 | 25 | 12 | 5 | 4 | 3 | 17:14 | 3 | 19 | 12 | 0 | 6 | 6 | 9:19 | -10 | 6 |
| 20 | სევილია | 24 | 4 | 9 | 11 | 26:38 | -12 | 21 | 11 | 4 | 5 | 2 | 13:9 | 4 | 17 | 13 | 0 | 4 | 9 | 13:29 | -16 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 21 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 20 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 18 |
| კატანია (მალაგა) | 15 |

### XXV ტური

20 თებერვალი

მალიორკა — სელტა
სოსიედადი — სარაგოსა
რაიო — რასინგი
ატლეტიკო — ესპანიოლი
სევილია — ალავესი
ოვიედო — ბეტისი
ბარსელონა — ვალიადოლიდი
ვალენსია — რეალი
მალაგა — ნუმანსია
დეპორტივო — ბილბაო

## მეორე დივიზიონი

XXVI ტური

**ლევანტე 1:1 ბადახოსი**
0:1 ბრაკამონტე (69), 1:1 სალილიასი (89)

**ოსასუნა 2:0 ესტრემადურა**
1:0 კრუჩაგა (12), 2:0 მარკოვიჩი (23)

**ლეგანესი 3:1 კომპოსტელა**
1:0 მერინო (6), 1:1 ანდრე ლუისი (40), 2:1 ხოსე მარი (44), 3:1 პაჩონი (65)

**ატლეტიკო B 0:0 კორდობა**

**მერიდა 3:0 ლას პალმასი**
1:0 სინვალი (9), 2:0 ტალი (70), 3:0 ალექსი (87)

**ტოლედო 2:1 ლოგრონიესი**
0:1 კიკო (2), 1:1 ქუინი (8), 2:1 დავიდი (73)

**უელვა 4:0 ლეიდა**
1:0 პაბლო (17), 2:0, 3:0 ტინო (30, 36), 4:0 პაბლო (90)

**სპორტინგი 2:0 სალამანკა**
1:0 ლედიახოვი (31პ), 2:0 ხურადო (89)

**ტენერიფე 2:2 ალბასეტე**
1:0 ბარატა (35), 2:0 მისტა (47), 2:1 ბასტი (55), 2:2 ხესუსი (82)

**ვილიარეალი 2:1 ხეტაფე**
1:0 სერბანი (44), 1:1 ვიდალი (64), 2:1 კრაიოვეანუ (66)

**ელჩე 2:0 ეიბარი**
1:0 კრისტიან დიასი (2), 2:0 კლაუდიო (14)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 26 | 14 | 7 | 5 | 42:26 | 49 |
| ლას პალმასი | 26 | 12 | 7 | 7 | 3827 | 43 |
| ესტრემადურა | 26 | 12 | 7 | 7 | 2925 | 43 |
| ლევანტე | 26 | 11 | 8 | 7 | 40:36 | 41 |
| ვილიარეალი | 26 | 11 | 7 | 8 | 3828 | 40 |
| სპორტინგი | 26 | 12 | 4 | 10 | 36:32 | 40 |
| ბადახოსი | 26 | 8 | 15 | 3 | 26:19 | 39 |
| ოსასუნა | 26 | 11 | 4 | 11 | 25:24 | 37 |
| ლეიდა | 26 | 10 | 6 | 10 | 44:38 | 36 |
| ეიბარი | 26 | 9 | 8 | 9 | 34:37 | 35 |
| ტენერიფე | 26 | 9 | 7 | 10 | 33:35 | 34 |
| კორდობა | 26 | 8 | 9 | 9 | 30:29 | 33 |
| ატლეტიკო B | 26 | 9 | 6 | 11 | 31:35 | 33 |
| ალბასეტე | 26 | 8 | 9 | 9 | 2834 | 33 |
| კომპოსტელა | 26 | 7 | 11 | 8 | 32:34 | 32 |
| ლეგანესი | 26 | 9 | 8 | 9 | 31:34 | 32 |
| მერიდა | 26 | 8 | 8 | 10 | 25:29 | 32 |
| ელჩე | 26 | 7 | 11 | 8 | 30:35 | 32 |
| ხეტაფე | 26 | 8 | 6 | 12 | 24:29 | 30 |
| ლოგრონიესი | 26 | 7 | 8 | 11 | 37:39 | 29 |
| უელვა | 26 | 7 | 5 | 14 | 25:35 | 26 |
| ტოლედო | 26 | 5 | 7 | 14 | 18:36 | 22 |

## ჰოლანდია

XXI ტური

**ჰერენვენი 0:3 პსვ**

0:1 ნილისი (25), 0:2 ვან ნისტელროი (57), 0:3 კოლკა (64)

**აიაქსი 3:1 ტილბურგი**

0:1 აბდელაუი (36პ), 1:1 მახლასი (41), 2:1 კნოპერი (56), 3:1 დანი (67)

**ვიტესი 3:3 ფეიენოორდი**

1:0 ვან ჰოიდონკი (2), 1:1 პაუვე (22), 2:1 ვან ჰოიდონკი (33პ), 2:2 დალ ტომასონი (67), 3:2 დიარა (77), 3:3 კონტერმანი (79)

**გრააფსხაპი 1:2 უტრეხტი**

1:0 ვისკაალი (10), 1:1 მარტელი (12), 1:2 ლუსიუსი (39)

**დენ ბოსხი 0:0 ტვენტე**

**კამბური 0:0 სიტარდი**

**ნაიმეგენი 1:2 ალკმარი**

0:1 ერნანდესი (12), 1:1 ჰესპი (24), 1:2 ფერტუტი (76)



ჰერენვენი — პსვ 0:3. ჩემპიონატის ბომბარდირს რუდ ვან ნისტელროის მეტოქის კარში გოლი გააქვს

მიმდინარე სეზონის ალბათ საუკეთესო ფეხბურთელმა, ჩემპიონატის ბომბარდირმა რუუდ ვან ნისტელროიმ მორიგ ტურში, „ჰერენვენის" წინაალმდეგაც გამოიჩინა თავი. პსვ-მ მეტოქე სტუმრად 3:0 დაამარცხა და სამივე გოლი ნისტელროის აქტიურობას მოჰყვა.

პირველი ტაიმის 25-ე წუთზე ნისტელროიმ ლუკ ნილისს გადასცა საგოლე პასი, ამ უკანასკნელმა კი ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა და პსვ დააწინაურა. ორბურთიან უპირატესობას სტუმრებმა მეორე ტაიმში მიაღწიეს. 57-ე წუთზე თავად ნისტელროიმ გაიბრწყინა და მიმდინარე სეზონში თავისი 27-ე გოლი გაიტანა. როგორც მოგახსენეთ, ნისტერლოი ჩემპიონატის ბომბარდირთა დავასაც საკმაო უპირატესობით, ერთპიროვნულად ლიდერობს და უახლოეს მდევარ ვიტესელ პიერ ვან ჰოიდონკს 7 გოლით უსწრებს.

პსვ-მ მესამე გოლი 64-ე წუთზე გაიტანა, რაშიც ლომის წილი ისევ ნისტელროიმ დაიდო. მის აქტიურობას იონას კოლკამ აუბა მხარი და „ჰერენვენის" კარი მესამედ და უკანასკნელად დალაშქრა.

ნისტელროისადმი სიმპათია კი დღითი დღე იზრდება. უკვე გაუწყეთ, რომ ფორვარდით პრემიერლიგის ერთ-ერთი გრანდი, ლონდონის „ჩელსი" დაინტერესდა.

მიღწეული წარმატებით პსვ-მ 22 შეხვედრიდან 50 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევართა დუეტს „აიაქსსა" და „ფეიენოორდს" 7 ქულით უსწრებს, თუმც უნდა აღინიშნოს, რომ ამ გუნდებმა შეხვედრით ნაკლები ჩაატარეს.

„აიაქსმა" „ამსტერდამ არენაზე" „ტილბურგს" უმასპინძლა და 3:1 მოუგო. თუმც თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ. 36-ე წუთზე იესინ აბდელაუიმ ზუსტად შესრულებული პენალტით ანგარიში გახსნა, მაგრამ „აიაქსს" (მახლასს) გასაყაიმებლად მხოლოდ 5 წუთი დასჭირდა. 56-ე და 67-ე წუთებზე კი რიხარდ კნოპერმა და დანიმ გამოიჩინეს თავი — თავიანთ გუნდს მეტად საჭირო 3 ქულა მოუპოვეს.

„ფეიენოორდი" სტუმრად „ვიტესს" დაუზავდა — 3:3. შეხვედრა საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. მასპინძლები სამჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ როტერდამელებმა სამჯერვე გაათანაბრეს. გამოსაყოფია ვიტესის საუკეთესო ბომბარდირის, პიერ ვან ჰოიდონკის დუბლიც. როგორც მოგახსენეთ, ეს ფეხბურთელი ჩემპიონატის მეგოლეთა დავაში მეორე ადგილზე იმყოფება.

86-ე წუთზე ვიტესელმა მარკო ვან მარხმა წითელი ბარათი მიიღო და მოედანი ნაადრევად დაატოვებინეს, მაგრამ როტერდამელებმა დარჩენილ წუთებში ველარაფერი შეცვალეს და მეტად საჭირო ორი ქულა დაკარგეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 22 | 16 | 2 | 4 | 68:17 | 50 |
| აიაქსი | 21 | 13 | 4 | 4 | 54:31 | 43 |
| ფეიენოორდი | 21 | 12 | 7 | 2 | 42:24 | 43 |
| ტვენტე | 21 | 11 | 8 | 2 | 36:19 | 41 |
| ჰერენვენი | 21 | 13 | 2 | 6 | 39:23 | 41 |
| ვიტესი | 22 | 11 | 7 | 4 | 43:32 | 40 |
| ალკმარი | 22 | 12 | 2 | 8 | 43:36 | 38 |
| ტილბურგი | 21 | 10 | 4 | 7 | 35:38 | 34 |
| როდა | 20 | 10 | 3 | 7 | 33:27 | 33 |
| ვალვაიკი | 21 | 10 | 2 | 9 | 31:39 | 32 |
| უტრეხტი | 21 | 9 | 1 | 11 | 34:39 | 28 |
| გრააფსხაპი | 22 | 4 | 8 | 10 | 26:36 | 20 |
| სპარტა | 20 | 6 | 2 | 12 | 28:44 | 20 |
| მაასტრიხტი | 21 | 4 | 4 | 13 | 27:45 | 16 |
| ნაიმეგენი | 21 | 4 | 4 | 13 | 25:43 | 16 |
| სიტარდი | 21 | 3 | 6 | 12 | 25:36 | 15 |
| კამბური | 20 | 2 | 5 | 13 | 17:41 | 11 |
| დენ ბოსხი | 22 | 2 | 5 | 15 | 20:56 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (პსვ) | 27 |
| ვან ჰოიდონკი (ვიტესი) | 20 |
| კნოპერი (აიაქსი) | 12 |
| ვენეგოორი (ტვენტე) | 12 |
| ნილისი (პსვ) | 12 |

## შოტლანდია

XXIII ტური

**დანდი 0:3 სელტიკი**

0:1 სტაბსი (67), 0:2 ვიდუკა (69), 0:3 ჰელი (82)

**კილმარნოკი 0:2 მოზერუელი**

0:1 სპენსერი (66), 0:2 მაკმილანი (73)

**სენტ ჯონსტონი 0:0 ჰიბერნიანი**

*მატჩი პირველი ტაიმის შემდეგ დიდთოვლობის გამო შეწყდა.*

გასულ უქმეებზე მხოლოდ სამი შეხვედრა ჩატარდა. ყველაზე საინტერესო ალბათ „დანდისა" და „სელტიკის" მატჩი გახლდათ. როგორც ცნობილია, გლაზგოურ კლუბში ახალი მთავარი მწვრთნელი, კენი დალგლიში დაინიშნა.

გუნდის ყოფილ თავკაც ჯონ ბარნსის მოღვაწეობა ხელმძღვანელობამ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია და მისი გათავისუფლება გადაწყვიტა. კლუბს საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტი, კენი დალგლიში ჩაუდგა სათავეში, რომელიც მანამდე „სელტიკის" დირექტორად მუშაობდა.

სადებიუტო მატჩი დალგლიშისთვის აშკარად წარმატებული გამოდგა. „სელტიკმა" მეტოქე სტუმრად 3:0 დაამარცხა. მართალია, მოგების შემდეგ გუნდი არც დაქვეითებულა და არც დაწინაურებულა, კვლავ მეორე პოზიციაზე დარჩა. მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით „სელტიკისთვის" ამას ალბათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

„სელტიკის" მთავარ მეტოქე „რეინჯერსს", რომელსაც გასულ შაბათკვირას არ უთამაშია, 20 შეხვედრიდან 51 ქულა აქვს, ოცდამეერთე მატჩი ჩაატარა „სელტიკმა" და 44 ქულის მოგროვება შეძლო.

სამი გატანილი გოლიდან ერთი „სელტიკისა" და შოტლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ მარკ ვიდუკას ანგარიშზეა, რომელმაც მიმდინარე სეზონში თავისი მეოცე გოლი გაიტანა და უახლოეს მდევარს, რეინჯერსელ ბილი დოდსს 8 ბურთით უსწრებს.

გუნდის წევრებმა გამარჯვებით ერთობ გაიხარეს. დანიელმა ნახევარმცველმა, მორტენ ვიგჰორსტმა განაცხადა, „ბოლო ხანს არ გაგვიმართლა, რის გამოც სრულიად სამართლიანად გაგვატარეს კრიტიკის ქარცეცხლში. გუნდმა ისეთი მატჩები წააგო, რომლებიც არ უნდა წაეგო. ახლა ყველა ერთად ვეცდებით „სელტიკის" სახელი არ შევარცხვინოთ და გუნდს ღირსება დავუბრუნოთ".

REUTERS დანდიდან



დანდი — სელტიკი 0:3. სელტიკელი მარკ ვიდუკა გოლის გატანას ზეიმობს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 20 | 16 | 3 | 1 | 56:16 | 51 |
| სელტიკი | 21 | 14 | 2 | 5 | 59:20 | 44 |
| მოზერუელი | 21 | 8 | 8 | 5 | 32:35 | 32 |
| დანდი იუნ. | 21 | 9 | 4 | 8 | 25:33 | 31 |
| ჰიბერნიანი | 23 | 6 | 10 | 7 | 34:37 | 28 |
| ჰართსი | 20 | 7 | 5 | 8 | 31:30 | 26 |
| დანდი | 21 | 7 | 2 | 12 | 24:33 | 23 |
| სტ. ჯონსტონი | 21 | 5 | 7 | 9 | 20:26 | 22 |
| აბერდინი | 21 | 4 | 4 | 13 | 23:62 | 16 |
| კილმარნოკი | 21 | 2 | 9 | 10 | 19:31 | 15 |

**ლიგის თასის ნახევარფინალი**

**აბერდინი 1:0 დანდი იუნ.**

1:0 სტავრუმი (78)

## თურქეთი

მე-20 ტური. დენიზლი — ბეშიქთაში 0:2; ვანი — გენჩლერბირლიგი 2:5; ადანა — სამსუნი 0:1; გაზიანთეფი — ბურსა 1:1; ალთაი — ფენერბაჰჩე 2:3; ტრაბზონი — ანთალია 2:0; ქოჯაელი — ერზურუმი 4:0; ისთანბული — გიოზთეფე 3:0; ანკარაგიუჯიუ — გალათასარაი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 20 | 16 | 3 | 1 | 41:14 | 51 |
| ბეშიქთაში | 20 | 12 | 4 | 4 | 38:12 | 40 |
| ფენერბაჰჩე | 20 | 9 | 9 | 2 | 35:22 | 36 |
| გაზიანთეფი | 20 | 8 | 8 | 4 | 25:15 | 32 |
| დენიზლი | 20 | 8 | 6 | 6 | 32:31 | 30 |
| გენჩლერბირ. | 20 | 8 | 5 | 7 | 28:30 | 29 |
| ტრაბზონი | 20 | 7 | 7 | 6 | 25:21 | 28 |
| ალთაი | 20 | 8 | 4 | 8 | 27:24 | 28 |
| სამსუნი | 20 | 8 | 3 | 9 | 23:25 | 27 |
| ადანა | 20 | 7 | 5 | 8 | 25:26 | 26 |
| ანთალია | 20 | 7 | 5 | 8 | 24:33 | 26 |
| ერზურუმი | 20 | 7 | 4 | 9 | 24:34 | 25 |
| ბურსა | 20 | 6 | 5 | 9 | 25:28 | 23 |
| ისთანბული | 20 | 5 | 8 | 7 | 22:25 | 23 |
| ანკარაგიუჯიუ | 20 | 6 | 5 | 9 | 28:35 | 23 |
| ქოჯაელი | 20 | 5 | 4 | 11 | 25:38 | 19 |
| გიოზთეფე | 20 | 4 | 5 | 11 | 15:29 | 17 |
| ვანი | 20 | 3 | 4 | 13 | 21:40 | 13 |

## საბერძნეთი

მე-19 ტური. პანიონიოსი — ოლიმპიაკოსი 0:1; პანათინაიკოსი — აეკ 1:0; ქსანტი — ოფი 1:1; ირაკლისი — კავალა 2:1; პანილიაკოსი — აპოლონი 2:1; პრუდეფტიკი — იონიკოსი 2:2; ეთნიკოსი — ტრიკალა 1:0; კალამატა — პაოკ 1:1; პანაჰაიკი — არისი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 19 | 17 | 0 | 2 | 53:14 | 51 |
| პანათინაიკოსი | 19 | 16 | 2 | 1 | 49:13 | 50 |
| ოფი | 19 | 13 | 4 | 2 | 35:21 | 43 |
| ირაკლისი | 19 | 10 | 2 | 7 | 33:27 | 32 |
| აეკ | 19 | 9 | 4 | 6 | 34:23 | 31 |
| არისი | 19 | 8 | 5 | 6 | 26:21 | 29 |
| პაოკ | 19 | 7 | 7 | 5 | 30:24 | 28 |
| პანილიაკოსი | 19 | 8 | 4 | 7 | 26:20 | 28 |
| პანიონიოსი | 19 | 9 | 1 | 9 | 30:37 | 28 |
| ქსანტი | 19 | 6 | 7 | 6 | 20:22 | 25 |
| ეთნიკოსი | 19 | 7 | 2 | 10 | 17:26 | 23 |
| იონიკოსი | 19 | 3 | 10 | 6 | 18:25 | 19 |
| პანაჰაიკი | 19 | 4 | 5 | 10 | 17:27 | 17 |
| კავალა | 19 | 4 | 4 | 11 | 19:33 | 16 |
| კალამატა | 19 | 3 | 6 | 10 | 19:39 | 15 |
| აპოლონი | 19 | 3 | 5 | 11 | 14:28 | 14 |
| პრუდეფტიკი | 19 | 3 | 5 | 11 | 12:29 | 14 |
| ტრიკალა | 19 | 3 | 3 | 13 | 13:36 | 12 |

## საფრანგეთი

**თასის მეთექვსმეტედფინალი**

ლიონი 1:0 ტრუა; მონკო-ლე-მინი 0:6 ნანტი; რედ სტარი 1:0 ლე ავრი; მარსელი 3:4 გენიონი; ტუარი 1:2 მონაკო; პორტო-ვეკიო 1:4 ბორდო; ლეს ერბიე 0:4 რენი; კალაისი 3:0 ლანგონკასტე; პონტივი 2:1 ვალანსი; ბომ-ლე დამსი 0:2 პსჟ; ნიმი 1:0 ტულუზი; სენტ კენტინი 1:1 დ.დ. მეცი; სენტ ეტიენი 0:0 (პენ. 3:4) ლორიანი; ნიორი 0:3 კანი; ამიენი 1:1 დ.დ. (0:0) (პენ. 5:4) ლავალი; ბეზანსონი 2:2 დ.დ. (1:1) (პენ. 2:4) სტრასბური

**კონკაკაფის ოქროს თასი**

A ჯგუფი

**კოლუმბია 1:0 იამაიკა**

1:0 გონსალო მარტინესი (15)

B ჯგუფი

**აშშ 3:0 ჰაიტი**

1:0 კიროვსკი (18), 2:0 ვინალდა (55პ), 3:0 კობი ჯონსი (89)

C ჯგუფი

**მექსიკა 4:0 ტრინიდადი**

1:0 მარკესი (36), 2:0 ლუის ერნანდესი (52), 3:0 დავიდი (75ს.კ.), 4:0 პალენსია (85)

D ჯგუფი

**კანადა 2:2 კოსტა რიკა**

0:1 სოტო (11), 1:1 კორასინი (19პ), 1:2 ა. უოლესი (54), 2:2 კორასინი (57)

## ისრაელი

თასის მერვედფინალის წილისყრა. ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (ჰაიფა); მაკაბი (აკრა) ან ჰაპოელი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ჰოდ ჰაშარონი) ან მაკაბი (თელ ავივი); ბეითარი (ბეერშევა) — ბეითარი (იერუსალიმი); მაკაბი (ნეთანია) — მაკაბი (ჰერცლია); მაკაბი (კაფრ კანა) — ჰაპოელი (ქვარ სავა); ბეითარი (თელ ავივი) — მაკაბი (ნაზარეთი); ჰაპოელი (აშკელონი) — ჰაპოელი (ბეერშევა); მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) — ცაფრირიმი

*მატჩები გაიმართება 7 მარტს.*

## ბელგია

XXIII ტური

**ბრიუგე 1:2 ჰარელბეკე**

0:1 კლომპი (19), 0:2 პაასი (45), 1:2 დე კოკი (90)

**შარლერუა 1:4 სტანდარდი**

0:1 პიერი (19), 0:2 გუსენსი (43), 0:3 ერნსტი (57), 1:3 დ. ბრონო (68პ), 1:4 ტისი (86პ)

**ბევერენი 0:1 გენტი**

0:1 დუვენი (66)

**გეელი 0:2 ბეერსხოტი**

0:1 ჰოფმანსი (20), 0:2 მუტავჯიჩი (88)

**ლოკერენი 5:1 აალსტი**

1:0 დაგო (30), 2:0 იანსენსი (55), 3:0 ვონასეკი (68), 4:0 იულა (71), 5:0 მიტრაკოვიჩი (75), 5:1 სარლი (76)

**სტ. ტრუიდენი 0:4 ანდერლეხტი**

0:1 ეკაკია (11), 0:2 ბარტ-გორი (27), 0:3 კოლერი (65), 0:4 ეკაკია (71)

**ლომელი 0:2 მეხელენი**

0:1 კამუსი (23), 0:2 ჩეტლი (86)

**ლიერსი 7:0 ვესტერლო**

1:0 კავენსი (11), 2:0 ვან დე ვეირი (38), 3:0 კავენსი (52), 4:0 ვან მეირი (62), 5:0 სომერსი (71), 6:0 ვან მეირი (76პ), 7:0 ვან დე ვეირი (78)

**მუსკრონი 5:0 გენკი**

1:0 ტანგე (42), 2:0, 3:0 ლავარე (44, 53), 4:0 ჟევლიაკოვი (55), 5:0 ლავარე (65)

ქართველი გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობი ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის დებიუტი ქვეყნის ჩემპიონ „გენკში" აშკარად წარუმატებელი გამოდგა. მისი შეგირდები პარასკევს სტუმრად „მუსკრონთან" დამარცხდნენ 5:0, გუნდი კი მეოთხედან მეშვიდე ადგილზე ჩამოქვეითდა.

მორიგ ტურში ყველაზე შთამბეჭდავად გელა შეყილაძის „ლიერსმა" გაიმარჯვა, რომელმაც შინ „ვესტერლო" გაანადგურა. მატჩის საბოლოო შედეგი — 7:0 ალბათ მრავლისმეტყველია.

ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა „ანდერლეხტმა", რომელმაც სტუმრად ერთ-ერთი აუტსაიდერი „სენტ ტრუიდენი" დაამარცხა 4:0. დუბლი შეასრულა ელონგა ეკაკიამ, ხოლო გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა, ჩეხმა თავდამსხმელმა იან კოლერმა ერთი გოლის გატანა შეძლო.

ახალი წლის შემდეგ აშკარად წარმატებით მოასპარეზე ლიეჟის „სტანდარდმა" გასავარდნ ზონასთან მყოფ „შარლერუას" უმასპინძლა და 4:1 დაამარცხა. ამის შემდეგ მან სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაიუმჯობესა და მესამედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

პირიქით, მეორედან მესამეზე კი „ბრიუგე" ჩამოქვეითდა, რომელმაც შინ არცთუ მრისხანე „ჰარელბეკეს" ვერ სძლია, მეტიც, თავად დამარცხდა 1:2 და ტურის მთავარი სენსაცია გამოაცხო.

„ჰარელბეკე" „ბრიუგეს" უკვე პირველ ტაიმში 2:0 უგებდა. მე-19 წუთზე რენე კლომპმა გამოიჩინა თავი და სტადიონზე შეკრებილი „ბრიუგეს" 15 ათასი ქომაგი ერთობ გააწბილა. ტაიმის მიწურულს კი უპირატესობა დევიდ პაასმა გაზარდა, როდესაც საკმაოდ ეფექტური დარტყმით მასპინძელთა კარის ბადე მეორედ შეარხია.

„ბრიუგე" მთელ დარჩენილ დროს ბევრს ეცადა, მაგრამ ველარაფერი შეცვალა. მატჩის მიწურულს, 90-ე წუთზე, ოლივერ დე კოკის გოლმა საქმეს უკვე ველარ უშველა და ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი შინ სამარცხვინოდ დამარცხდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 22 | 15 | 6 | 1 | 57:23 | 51 |
| სტანდარდი | 23 | 14 | 2 | 7 | 53:36 | 44 |
| ბრიუგე | 22 | 13 | 3 | 6 | 52:23 | 42 |
| ლიერსი | 23 | 12 | 5 | 6 | 48:29 | 41 |
| მუსკრონი | 23 | 12 | 4 | 7 | 51:34 | 40 |
| გენტი | 23 | 13 | 1 | 9 | 56:44 | 40 |
| გენკი | 23 | 11 | 6 | 6 | 47:36 | 39 |
| ბეერსხოტი | 22 | 11 | 5 | 6 | 40:32 | 38 |
| ვესტერლო | 23 | 9 | 6 | 8 | 44:53 | 33 |
| მეხელენი | 23 | 10 | 2 | 11 | 39:53 | 32 |
| ლოკერენი | 22 | 8 | 5 | 9 | 42:45 | 29 |
| აალსტი | 23 | 9 | 2 | 12 | 42:48 | 29 |
| ჰარელბეკე | 23 | 7 | 4 | 12 | 45:46 | 25 |
| ბევერენი | 23 | 5 | 6 | 12 | 32:48 | 21 |
| შარლერუა | 23 | 5 | 6 | 12 | 27:45 | 21 |
| სტ. ტრუიდენი | 23 | 5 | 4 | 14 | 22:49 | 19 |
| გეელი | 23 | 2 | 9 | 12 | 16:42 | 15 |
| ლომელი | 23 | 1 | 10 | 12 | 22:49 | 13 |

GhanaNigeria2000

# აფრიკის თასი

განანიგერია-22იანვარი13თებერვალი

## ფინალი

### კამერუნი 2:2 (პენ.4:3) ნიგერია

1:0 ეტოო (26), 2:0 მბომა (31), 2:1 ჩუკვუ (45), 2:2 ოკოჩა (47)

კამერუნი: ალიუმი, სონგი, კალა (მეტომო 93), ნჯანკა, ფოე, ვომე, ჯერემი, ლორენი, ოლემბე, მბომა, ეტოო (დეზირე ჟობი 72)

ნიგერია: შორუნმუ, ოკპარა, იენემი, ვესტი, ბაბაიარო, ოლისე, ადეპოჟუ (იკპება 96), ოკოჩა, ფინიდი (ბაბანგიდა 70), კანუ, ჩუკვუ (აგაოვა 46)

## მატჩი მესამე ადგილისთვის

### ს. აფრიკა 2:2 (პენ.4:3) ტუნისი

1:0 ბარტლეტი (11), 1:1 ზიტუნი (27), 2:1 ნომვეტი (62), 2:2 ზიტუნი (89)

სამხრეთ აფრიკა: არენდსე, კუმანე, რადებე (შოემანი 40), ისა, ტინკლერი, ბაპელა, შაი, მოშოუ, მკალელე, ბარტლეტი, ნდლანია (ნომვეტი 46)

ტუნისი: ელ ქუარი, ბადრა, ბუკადიდა, ჯაიდი, ტაბეტი, ჩიჩი, გაბსი, კანზარი (ბაია 73), აზაიეზი (მედჰები 64), ზიტუნი, სელიმი (ჯაზირი 70)

კვირას აფრიკის თასის 2000 წლის გათამაშების დიდი ფინალი გაიმართა. ნიგერია — კამერუნის მატჩის მოლოდინში წინადღით მესამე ადგილისთვის ბრძოლა ყურადღების მიღმა დარჩა. ასეც უნდა ყოფილიყო. ხალხს ის შეხვედრები აინტერესებს, რომელთა გამარჯვებულებიც შემდეგ ეტაპზე გადიან და სანუკვარ თასს კიდევ ერთი ნაბიჯით უახლოვდებიან. ნახევარფინალში დამარცხებულთა სანუგეშო თამაში კი ასეთი ვერ იქნება. მაგრამ სანამ ეს წესი არსებობს გუნდები (ზოგი ნებით, ზოგიც მოვალეობის გამო) მინდორზე გადიან და ბურთს აგორებენ.

სამხრეთ აფრიკა — ტუნისის მატჩიც ბურთის გორაობას უფრო ჰგავდა. ხედავ, ფეხბურთელმა გოლი შეაგდო, უნდა გაიხაროს და აფრიკულად წაიცეკვოს. მერე ახსენდება, რომ ფინალის საგზური დაკარგული აქვს და თავის ნახევარზე მშვიდად ბრუნდება. ამის შემყურეს მატჩის ცქერის ხალისიც გიქრება და წერის სურვილიც, მაგრამ მოვალეობა მოვალეობაა.

შეხვედრის დაწყებიდან მე-11 წუთზე შონ ბარტლეტმა ტუნისელი მეკარე ჩოკრი ელ ქუარის და მცველ რადი ჯაიდის შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლა, ტურნირზე თავისი მეხუთე ბურთი შეაგდო და საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. შემდეგ სამხრეთელთა მეკარე ანდრე არენდსე შეცდა და ალი ზიტუნიმ ანგარიში გაათანაბრა. ასე მოხდა, მარსელელმა მცველმა პიერ ისამ ბურთი მეკარეს უკან დაუბრუნა. არენდსეს ფეხზე აეჭრა და იქვე მდგომ ზიტუნის მიუგორდა. ამ უკანასკნელმა კი ასეთ საჩუქარზე უარი არ თქვა და შეაგდო.

მეორე ტაიმში, 62-ე წუთზე, სამხრეთაფრიკელები კვლავ დაწინაურდნენ. შეცვლაზე შესული სიაბონგა ნომვეტი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და უძლიერესი დარტყმით მეორე გოლი შეაგდო. შემდეგ ანდრე არენდსეს პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომის გამოსწორების შანსი მიეცა და შეძლო კიდეც. 82-ე წუთზე ტუნისელთა სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა, რომლის შესრულებაც ხალედ ბადრამ ითავა. თუმც არენდსემ იყოჩაღა და ბადრას არ გაატანინა. ტუნისელებმა გათანაბრება მაინც შეძლეს. ძირითადი დროის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე ალი ზიტენიმ, რომელსაც წინა მატჩებში გატანილი გოლით გამოწვეული სიხარული არ ეგემა, მეორე გოლი შეაგდო.

დაინიშნა პენალტების სერია. დიახ, პირდაპირ პენატლების, რადგან ტურნირის ორგანიზატორებმა დამატებითი 30 წუთის დანიშვნა ზედმეტად ჩათვალეს (აი, ეს არის მატჩი მესამე ადგილისთვის). ბედის ირონიით, პენალტის გაფუჭება იმ ფეხბურთელმა გაახერხა, ვიც საქმე აქამდე მიიყვანა — ალი ზიტუნიმ. ასევე არაზუსტი იყო შონ ბარტლეტის დარტყმაც. გამარჯვების გოლი კი სამხრეთაფრიკელმა ალექს ბაპელამ შეაგდო.

როგორც შეხვედრის მიზანს შეეფერებოდა, ფეხბურთელებმა მოგება-წაგება ისე ალნიშნეს. თუმცა ერთმა კაცმა მატჩის მსვლელობისას დიდად ინერვიულა, ეს „ლიდსის" მწვრთნელი დევიდ ოლირი გახლდათ. სად აფრიკის თასი და სად ინგლისელი მენეჯერი? საქმე ისაა, რომ მე-40 წუთზე „ლიდსის" და სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტანი ლუკას რადებე დაშავდა და მოედნიდან გასაყვანი შეიქნა. რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა, პრემიერლიგის მორიგი ტურის წინ შევიტყობთ.

და აი, დიდი ფინალიც. აქ ბრძოლა ნაღდად ღირდა. მოთამაშეთა კანის ფერისთვის რომც არ მიგვექცია ყურადღება, ისედაც ადვილი მისახვედრი იყო, აფრიკელები თამაშობდნენ. მათი სტილიდან გამომდინარე ვამბობ. კარგი ფიზიკური მომზადება, ინდივიდუალური ოსტატობა, ნაკლები კოლექტიურობა — მოკლედ, აფრიკული ფეხბურთი.

შეხვედრის პირველ ნახევარში 60 ათასი დალვრემილი ნიგერიელი გულშემატიკვარი ტრიბუნებზე მოწყენილი იჯდა და სიჩუმეს მხოლოდ დოლებით და საყვირებით შეიარალებული ერთსა ჯგუფი არღვევდა, გადაბმულად ერთი და იმავე (საკმაოდ შემაწუხებელ) მელოდიას რომ უკრავდა. „სუპერარწივთა" ქომაგებს დაღონების მიზეზი ჰქონდათ — მათი გუნდი ტაიმის ბოლომდე 0:2 აგებდა.



სამხრეთ აფრიკა — ტუნისი 2:2. სამხრეთაფრიკელი შონ ბარტლეტი (№9) ტუნისელი მუნირ ბუკადიდასგან გაქცევას ცდილობს

26-ე წუთზე ნიგერიელთა კართან საჯარიმო დაინიშნა. პიერ ვომემ კარგ პოზიციაში მყოფი სამეულ ეტოო დაინახა და მას ჩააწოდა. რეალელმაც არ დააყოვნა და ბურთი ახლო ძელთან შეაგდო. კიდევ ხუთი წუთიც და ეტოო ამჯერად მეორე გოლის თანაავტორი გახდა. მისი პასის შემდეგ პატრიკ მბომამ ნიგერიელ მეკარეს იკე შორუნმუს ბურთი ფეხებს შორის გაუტარა. ცოტაც და შორუნმუს კარში მესამე გოლიც გავიდოდა. ნიგერიელთა საჯარიმოში პიერ ვომეს ჩაწოდებული ბურთი ტარიბო ვესტმა კუთხურზე მოიგერია, მაგრამ საკუთარ კარს ისე ოდნავ აცილა, თავადაც სუნთქვა შეეკრა. ტაიმი თითქოს ამ ანგარიშით უნდა დასრულებულიყო. მსაჯი დარჩენილ წამებსალა ითვლიდა, როდესაც რაფაელ ჩუკვუმ ბექარ ალიუმს ერთი ბურთი გაუქვითა, რითაც თავის ქომაგებს თამაშის გადარჩენის იმედი ჩაუსახა.

ლოდინმა დიდხანს არ გასტანა. შესვენების შემდეგ ორი წუთი იყო გასული, როცა ანგარიში გათანაბრდა. კამერუნელთა საჯარიმოს მისადგომიდან აუგუსტინ ოკოჩამ ყუმბარისებულად დაარტყა. მეკარე ბურთს კი შესწვდა, მაგრამ მისი შეჩერება ვერ შეძლო. მოვლენების ასეთმა განვითარებამ კამერუნელებს ბრძოლის ხალისი რამდენადმე დააკარგვინა. ნიგერიელები, პირიქით, ბრძოლის ჟინით ალივსნენ და სახიფათოდ შეუტიეს. ისინი რამდენჯერმე ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან. ძირითადი დროის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ფინიდი ჯორჯის ნაცვლად შესულ ტიჯანი ბაბანგიდას შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარე ალიუმმა კარი თავგანწირვით დაიცვა.

დაინიშნა დამატებითი ტაიმები. სახიფათო შეტევები შემცირდა. ეს გასაგებიცაა — ასეთ დროს გუნდები თავდასხმაზე მეტად საკუთარ უსაფრთხოებაზე ფიქრობენ. ბოლო 30 წუთში დასამახსოვრებელი მეორე გოლის გამტანი პატრიკ მბობას იერიში გახდა, რომელიც მან 120-ე წუთზე განახორციელა.

შემდეგ იყო პენალტები. თავდაპირველად ორ-ორი დარტყმა შედეგიანი ალმოჩნდა. მესამე დარტყმის შესასრულებლად ბურთთან ნიგერიელთაგან ნვანკვო კანუ მივიდა. გამორბენი და ... აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელი პენალტის ნიშნულთან მუხლებზე დაჩოქილა და კარს შესცქერის, ალიუმის მოტყუება არსენალელმა ვერ შეძლო. კამერუნელთაგან მესამე პენალტს ჯერემი ნჯიტაპი ურტყამს — 3:2. ამის შემდეგ ფინალის და საერთოდ მთელი ტურნირის ყველაზე დრამატული მომენტი დადგა. ვიქტორ იკპება პირდაპირ შუაში ურტყამს, ბურთი ხარიხას ხვდება, კარის ხაზს მიღმა ეცემა და ისევ გარეთ ალმოჩნდება. ტუნისელი არბიტრი მიანიშნებს, რომ გოლი არ არის. აქ საქმეში ტელეკამერა ერევა. შენელებულ კადრზე აშკარად ჩანს, რომ მსაჯი შეცდა. რას აკეთებდა ამ დროს თანამსაჯი? ის ხომ კარის ხაზის გასწვრივ დგას და წესით ყველაფერს უნდა ხედავდეს? კამერას არც მისი სახე გამორჩენია. თანამსაჯი ბურთის ნაცვლად ფეხბურთელს შესცქეროდა და არაფერი დაუნახავს. დაბნეულია იკპებაც. მან არ იცის, რა მოხდა სინამდვილეში და არბიტრის გადაწყვეტილებას არ აპროტესტებს, თუმცა დავა შედეგს მაინც არ მოიტანს. კამერუნელთაგან მეოთხე მარკ ვივიენ ფოეა. მას შეუძლია კამერუნს თასი მოაგებინოს, მაგრამ ნერვებმა უმტყუნა— ბურთი კარს ასცდა. შემდეგ სანდი ოლისეს ჯერია. ნიგერიელთა კაპიტანი ზუსტად ურტყამს, მაგრამ სიხარულს არ გამოხატავს, მატჩის ბედი რიგობერტ სონგის და იკე შორუნმუს დაპირისპირებამ უნდა გადაწყვიტოს. ბედი ლივერპულელი ფეხბურთელის მხარესაა — კამერუნმა აფრიკის თასი მოიგო.

რა იყო შემდეგ? კამერუნელთა სიხარული. ეროვნული ცეკვა, რომელიც მათ მოედნის ცენტრში მოაწყვეს და შუაში ფრანგი მწვრთნელი პიერ ლეშანტრე ჩაიყენეს. ატირებული სანდი ოლისე, რომელიც ვერცხლის მედლის აღებაზე უარს ამბობდა და ფიცარნაგზე ძალით აიყვანეს. კიდევ აფრიკულ კოსტიუმში გამოწყობილი ზორბა მამაკაცი, კამერუნელებს რომ აჯილდოვებდა და მალიმალ უკან, ტრიბუნებისკენ იყურებოდა, სადაც პოლიცია ნიგერიელ გულშემატკივრებს აშოშმინებდა. ბრძოლა სტადიონის გარეთაც გაგრძელდა და ლაგოსის ქუჩებში კარგა ხანს ისმოდა სროლის ხმა, თუმც ამაზე უფრო დეტალურად ხვალ ვისაუბროთ.

**გიორგი დარჯანია**



კამერუნი — ნიგერია 2:2. ეს-ესაა საუკეთესო ნიგერიელს ნვანკვო კანუს თერთმეტმეტრიანი გაუცუდდა

## პორტუგალია

XXI ტური

**ფარენსე 1:0 მარიტიმუ**

1:0 მარინესკუ (183)

**ბრაგა 4:1 კამპომაიორენსე**

1:0 ტაილსონი (22), 1:1 ბეკე სანტუში (33), 2:1 ლუის ფილიპი (53), 3:1 ბორგესი (58), 4:1 ელპიდიო სილვა (89)

**ალვერკა 1:1 ბელენენსეში**

1:0 რიკარდო რამირესი (21), 1:1 ფილგუერა (71)

**ჟილ ვისენტე 1:0 გიმარაეში**

1:0 ჟორჟე კასკუილა (23)

**ამადორა 0:0 სპორტინგი**

**რიუ ავე 2:2 პორტუ**

1:0, 2:0 უგო ენრიკე (13, 53), 2:1, 2:2 დომინგუში (81, 90)

**ბოავიშტა 0:1 ლეირია**

0:1 ემანუელ დუა (68)

**სანტა კლარა 0:0 სალგეირუში**

**სეტუბალი — ბენფიკა**

წუხელ გვიან გაიმართა

დომინგუშ ოლივეირას მიერ შეხვედრის ბოლო ათ წუთში გატანილმა ორმა გოლმა ჩემპიონატის ლიდერი „პორტუ" „რიუ ავესთან" სამარცხვინო მარცხისგან იხსნა, ქულა მოუპოვა და გათამაშების ცხრილში პირველობა შეუნარჩუნა.

80 წუთი კი პორტუელები 2:0 აგებდნენ. ორივე ბურთი უგო ენრიკემ გაიტანა და „რიუ ავეს" თითქოს გამარჯვებაც უნდა ეზეიმა, მაგრამ ოლივეირამ მასპინძელთა იმედებს ცივი წყალი გადაასხა. მან ჯერ სხვაობა შეამცირა, ხოლო დამატებულ დროში ზუსტი თავური დარტყმით „პორტუს" ქულა მოუტანა.

პორტუელთა უახლოესმა მდევარმა, ლისაბონის „სპორტინგმა" ლიდერობის მოპოვების მშვენიერი შანსი დაკარგა. მან გასვლით შეხვედრაში „ამადორა" ვერ დაამარცხა (0:0) და საბოლოოდ ქულას დასჯერდა, შედეგად „პორტუს" კვლავ ჩამორჩება. ორივე გუნდმა მიმდინარე სეზონში 21 შეხვედრა ჩაატარა, „პორტუმ" 48, ხოლო „სპორტინგმა" 47 ქულა დააგროვა. ასე რომ, ჩემპიონობის ბედი ჯერ კვლავ გაურკვეველია.

ლიდერი დუეტისგან ოდნავ ჩამორჩენილ „ბენფიკას" 20 შეხვედრიდან 41 ქულა აქვს. ლისაბონელებმა მორიგი, 21-ე ტურის შეხვედრა აშკარა აუტსაიდერ „ვიტორია სეტუბალთან" გუშინ გვიან ღამით გამართეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 21 | 14 | 6 | 1 | 44:11 | 48 |
| სპორტინგი | 21 | 14 | 5 | 2 | 37:17 | 47 |
| ბენფიკა | 20 | 12 | 5 | 3 | 27:13 | 41 |
| გიმარაეში | 21 | 11 | 4 | 6 | 33:22 | 37 |
| ბოავიშტა | 21 | 10 | 4 | 7 | 22:17 | 34 |
| მარიტიმუ | 21 | 9 | 6 | 6 | 23:16 | 33 |
| ჟილ ვისენტე | 21 | 8 | 6 | 7 | 25:22 | 30 |
| ბელენენსეში | 21 | 6 | 11 | 4 | 24:18 | 29 |
| ამადორა | 21 | 6 | 9 | 6 | 21:21 | 27 |
| ალვერკა | 21 | 7 | 5 | 9 | 23:28 | 26 |
| ბრაგა | 21 | 7 | 3 | 11 | 26:30 | 24 |
| რიუ ავე | 21 | 5 | 7 | 9 | 24:32 | 22 |
| სალგეირუში | 21 | 6 | 4 | 11 | 16:26 | 22 |
| კამპომაიორენსე | 21 | 5 | 6 | 10 | 18:30 | 21 |
| ლეირია | 21 | 4 | 8 | 9 | 18:25 | 20 |
| ფარენსე | 21 | 4 | 8 | 9 | 16:37 | 20 |
| სანტა კლარა | 21 | 3 | 8 | 10 | 21:31 | 17 |
| სეტუბალი | 20 | 2 | 5 | 13 | 13:35 | 11 |

## ბრაზილია

სან პაულუს ტურნირი

**A ჯგუფი**

**სან პაულუ 0:2 ბოტაფოგო**

**ფლამენგო 4:1 სანტოსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 6 | 4 | 0 | 2 | 13:12 | 12 |
| ბოტაფოგო | 6 | 3 | 1 | 2 | 11:8 | 10 |
| ფლამენგო | 6 | 2 | 2 | 2 | 14:10 | 8 |
| სანტოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:14 | 4 |

**B ჯგუფი**

**ვასკუ და გამა 1:0 ფლუმინენსე**

**პალმეირასი 3:1 კორინთიანსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალმეირასი | 5 | 3 | 1 | 1 | 15:9 | 10 |
| ვასკუ და გამა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| კორინთიანსი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |
| ფლუმინენსე | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | 3 |

### ფეხბურთის რუკასთან



ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ „მილანის" ერთ-ერთი გულშემატკივარი გოგონა, 15 წლის დანიელა, ამ ცოტა ხნის წინ ავტოკატასტროფაში მოყვა და კომიდან ჯერ კიდევ არ გამოსულა. „მილანის" მცველმა პაოლო მალდინიმ და მეკარე კრისტიან აბიატიმ გოგონას ოჯახს წერილი გაუგზავნეს და ავადმყოფს მალე გამოჯანმრთელება უსურვეს.

**ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ჩემპიონატის ლიდერი „ანდერლეხტი" ინგლისურ „შეფილდ უენსდიში" მოასპარეზე თავდამსხმელმა — ჟილ დე ბილდემ დააინტერესა. ბელგიელი ფორვარდი „უენსდიში" გასულ ზაფხულს ჰოლანდიური პსვ-დან გადაბარგდა. მიმდინარე სეზონში მან 7 გოლის გატანა მოახერხა. „უენსდის" წლეულს პრემიერლიგიდან გავარდნა ემუქრება. თუ მართლაც ასე მოხდა, გუნდს ალბათ, ბევრი წამყვანი ფეხბურთელი დატოვებს, მათ შორის ჟილ დე ბილდეც. „ანდერლეხტი" ბელგიელ ფორვარდში დაახლოებით 2,5 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებს.**

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის" ფორვარდი კარსტენ იანკერი ოთხშაბათს როსტოკის „ჰანზას" წინააღმდეგ გასამართ სათასო შეხვედრაში ალბათ ვერ იასპარეზებს. მთავარი მწვრთნელის, ოტმარ ჰიცფელდის თქმით, ფეხბურთელს საზარდულის ტრავმა ჯერ არ მოურჩენია. სამაგიეროდ, გუნდში ალბათ პარაგვაიელი თავდამსხმელი როკე სანტა კრუზი გამოჩნდება, რომელსაც მუხლის ტრავმა აწუხებდა. ვეტერანი ლოთარ მათეუსი კი „ბაიერნის" რიგებში უკანასკნელ სათასო შეხვედრას ჩაატარებს. როგორც იცით, ფეხბურთელი მარტის თვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურებს და ნიუ იორკის „მეტროსტარზის" ღირსებას დაიცავს.

**ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ მადრიდის „რეალის" თავდამსხმელი რაული პრიმერადივიზიონის უკანასკნელ ტურში „მალაგას" წინააღმდეგ მატჩში დაშავდა და დაახლოებით ორ კვირას ვერ იასპარეზებს. რაულს ტრავმის გამო 23 თებერვალს ესპანეთისა და ხორვატიის ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრის გამოტოვება მოუწევს. შეგახსენებთ, რომ 26 თებერვალს ესპანური სუპერმატჩი გაიმართება, „რეალი" „სანტიაგო ბერნაბეუზე" „ბარსელონას" უმასპინძლებს. ამ თამაშში რაულის მონაწილეობა კი ჯერჯერობით საეჭვოა.**

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ „რომაში" მოასპარეზე ბრაზილიელი მცველი კაფუ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ შესაძლოა, შეკრებაზე მიიწვიოს. მარტში ბრაზილიელები ტაილანდის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ. „რომას" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ლუქსემბურგო კლუბში მოასპარეზე არც ერთ ბრაზილიელს არ იხმობს, რადგან რომაელებს ამ პერიოდისთვის საკმაოდ რთული მატჩები ელით.

**ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠ „რაიო ვალეკანოში" მოასპარეზე ამერიკელი მეკარე კეისი კელერი ესპანეთის მეფე-დედოფალმა ვახშამზე მიიწვია. ინგლისური „ლესტერიდან" „რაიო ვალეკანოში" გადაბარგებული კელერი მადრიდში დიდი სიმპათიით სარგებლობს. სამეფო კარის ვახშამზე მიპატიჟება ამის ნათელი დასტურია. „ეს ჩემთვის უდიდესი პატივია" — განუცხადა კელერმა ესპანურ გაზეთ „მარკას" და იქვე დაამატა: „თავიდან ვფიქრობდი, ეს ხუმრობა იყო, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ უდიდესი პატივი მერგო. ნამდვილად ბედნიერი ვარ, 23 თებერვალი ჩემთვის დაუვიწყარი იქნება".**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ლონდონის „ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ თავისი გვარი ფეხბურთელთა ოფიციალურ განაცხადში რომ შეიტანა, ამას „სარბიელი" უკვე გაუწყებდათ. უეფამ მას ამ დღეებში ჩემპიონთა ლიგის ტურნირში ასპარეზობის ნებაც დართო. თუმც თავად ვიალი აცხადებს, რომ მხოლოდ გამოუვალ შემთხვევაში გამოჩნდება მინდორზე, ძირითადად კი გუნდს სამწვრთნელო სკამიდან უხელმძღვანელებს.

**ᲓᲐᲜᲘᲘᲡ დედაქალაქ კოპენჰაგენში ადგილობრივმა საფეხბურთო კლუბმა „კოპენჰაგენმა" და შვედურმა „გიოტებორგმა" ამხანაგური მატჩი გამართეს. შეხვედრის მიმდინარეობის დროს მოწინააღმდეგე გუნდის ფანები ერთმანეთს წაეჩხუბნენ, რაც ხელჩართულ ორთაბრძოლაში გადაიზარდა. შედეგად პოლიციამ რვა ხულიგანი ფანი დააკავა. მატჩი „კოპენჰაგენის" გამარჯვებით დასრულდა 2:0.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ „ბერდფორდი" პორტუგალიურ „ბენფიკაში" მოასპარეზე 31 წლის ჟორჟე კადეტეს გადაბირებას ცდილობს. ფეხბურთელის აგენტის პოლ ბარბოსას თქმით, შეთანხმებას დაახლოებით ერთი კვირის წინ მიაღწიეს, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებას კადეტეს ავადმყოფობამ შეუშალა ხელი. თუმც ახლა იგი უკვე გამოჯანმრთელდა და უახლოეს დღეებში ალბათ ბრედფორდსაც ეწვევა. კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ გლაზგოს „სელტიკის" ყოფილი მოთამაშე, პრემიერლიგის აუტსაიდერ „ბრედფორდს" კრიზისს დააძლევინებს. სადებიუტო მატჩი კადეტემ შესაძლოა 26 თებერვალს „ასტონ ვილას" წინააღმდეგ ჩაატაროს.

### 2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN — მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

#### V ჯგუფი: ნორვეგია, უკრაინა, პოლონეთი, უელსი, სომხეთი, ბელარუსი

***2000 წელი***

| | |
|---|---|
| 2-3 სექტემბერი | ნორვეგია — სომხეთი; უკრაინა — პოლონეთი; ბელარუსი — უელსი |
| 7-8 ოქტომბერი | სომხეთი — უკრაინა; პოლონეთი — ბელარუსი; უელსი — ნორვეგია |
| 10-11 ნოემბერი | ბელარუსი — სომხეთი; ნორვეგია — უკრაინა; პოლონეთი — უელსი |

***2001 წელი***

| | |
|---|---|
| 24-25 მარტი | უკრაინა — ბელარუსი; სომხეთი — უელსი; ნორვეგია — პოლონეთი |
| 27-28 მარტი | ბელარუსი — ნორვეგია; პოლონეთი — სომხეთი; უელსი — უკრაინა |
| 2-3 ივნისი | სომხეთი — ბელარუსი; უკრაინა — ნორვეგია; უელსი — პოლონეთი |
| 5-6 ივნისი | ნორვეგია — ბელარუსი; სომხეთი — პოლონეთი; უკრაინა — უელსი |
| 1-2 სექტემბერი | ბელარუსი — უკრაინა; უელსი — სომხეთი; პოლონეთი — ნორვეგია |
| 4-5 სექტემბერი | უკრაინა — სომხეთი; ბელარუსი — პოლონეთი; ნორვეგია — უელსი |
| 6-7 ოქტომბერი | სომხეთი — ნორვეგია; პოლონეთი — უკრაინა; უელსი — ბელარუსი |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **ინგლისი. I დივიზიონი** | | | |
| | 15 თებერვალი | | | |
| 001 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 002 | ჩარლტონი-ფულემი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 16 თებერვალი | | | |
| 003 | ვულვერჰემპტონი-ტრანმერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | **ინგლისი. II დივიზიონი** | | | |
| | 15 თებერვალი | | | |
| 004 | ნოტსი-კემბრიჯი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | **საფრანგეთი. I დივიზიონი. 26-ე ტური** | | | |
| | 15 თებერვალი | | | |
| 005 | ნანტი-ლიონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 006 | მარსელი-პსჟ | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 16 თებერვალი | | | |
| 007 | ნანსი-მეცი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 008 | მონაკო-ბორდო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 009 | ოსერი-სტრასბური | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 010 | ლანსი-ბასტია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 011 | სენტ ეტიენი-მონპელიე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 012 | ლე ავრი-ტრუა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 013 | სედანი-რენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | **საფრანგეთი. II დივიზიონი. 27-ე ტური** | | | |
| | 16 თებერვალი | | | |
| 014 | ლილი-ნიორი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 015 | სოშო-ლე მანი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 016 | გენიონი-კაენი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 017 | ლორიანი-კანი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 018 | ნიცა-აიაჩო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 019 | ნიმი-შატორუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 020 | ლავალი-ლუანი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 021 | ამიენი-ვასკეალი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 022 | ვალანსი-კრეტეი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | 17 თებერვალი | | | |
| 023 | გენგამი-ტულუზი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | **ჰოლანდია** | | | |
| | 15 თებერვალი | | | |
| 024 | კამბური-სპარტა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | **შოტლანდია** | | | |
| | 15 თებერვალი | | | |
| 025 | სენტ ჯონსტონი-რეინჯერსი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| | **გერმანია. თასის 1/2 ფინალი** | | | |
| | 15 თებერვალი | | | |
| 026 | ვერდერი-კიკერსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 16 თებერვალი | | | |
| 027 | ბაიერნი-ჰანზა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | **იტალია. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები** | | | |
| | 16 თებერვალი | | | |
| 028 | ვენეცია-ლაციო | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 17 თებერვალი | | | |
| 029 | ინტერი-კალიარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | **ესპანეთი. თასის 1/4 ფინალი. II მატჩები** | | | |
| | 16 თებერვალი | | | |
| 030 | კომპოსტელა-ესპანიოლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 031 | ბარსელონა-ოსასუნა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 032 | რაიო ვალეკანო-ატლეტიკო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 17 თებერვალი | | | |
| 033 | მერიდა-რეალი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | **ჰოლანდია. თასის 1/4 ფინალი** | | | |
| | 16 თებერვალი | | | |
| 034 | უტრეხტი-როდა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 035 | ნაიმეგენი-დორდრეხტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 036 | ვალვაიკი-ვიტესი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 17 თებერვალი | | | |
| 037 | ტილბურგი-ალკმაარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | **თურქეთი. თასის 1/2 ფინალი** | | | |
| | 16 თებერვალი | | | |
| 038 | ანთალია-ბურსა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 039 | ანკარაგიუჯუ-გალათასარაი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | **საბერძნეთი. თასის 1/4 ფინალი. I მატჩები** | | | |
| | 16 თებერვალი | | | |
| 040 | ოლიმპიაკოსი-აეკ | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 17 თებერვალი | | | |
| 041 | ოფი-კალამატა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | **შოტლანდია. ლიგის თასის 1/2 ფინალი** | | | |
| | 16 თებერვალი | | | |
| 042 | სელტიკი-კილმარნოკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | **კალათბურთი** | | | |
| | 15 თებერვალი | | | |
| 801 | ფილადელფია-შარლოტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 802 | მაიამი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 803 | ატლანტა-ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 804 | ტორონტო-ნიუ იორკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 805 | კლივლენდი-სან ანტონიო | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 806 | ჩიკაგო-ლეიკერსი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 807 | მინესოტა-დენვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 808 | დალასი-მილუოკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 809 | ჰიუსტონი-დეტროიტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 810 | იუტა-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 811 | გოლდენ სტეიტი-პორტლენდი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 812 | საკრამენტო-ფინიქსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 813 | სიეტლი-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | 16 თებერვალი | | | |
| 814 | ნიუ იორკი-მინესოტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 815 | ორლანდო-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 816 | შარლოტი-ლეიკერსი | 2,1 | 12,0 | 1,45 |
| 817 | ინდიანა-ტორონტო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 818 | პორტლენდი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 819 | ვანკუვერი-ვაშინგტონი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| | 17 თებერვალი | | | |
| 820 | კლივლენდი-დენვერი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 821 | ჩიკაგო-მაიამი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 822 | მილუოკი-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 823 | დალასი-დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 824 | იუტა-საკრამენტო | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | |
| | 9 თებერვალი | | | |
| 825 | ოლიმპიაკოსი-პო ორტეზი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 826 | ბენეტონი-თოფაში | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 827 | ფორტიტუდო-ვარეზე | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | 17 თებერვალი | | | |
| 828 | ცსკა-ჟალგირისი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 829 | ეფესი-ულქერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 830 | მაკაბი-კახა სან ფერნანდო | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 831 | პანათინაიკოსი-პაოკ | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 832 | რეალი-შოლე | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 833 | ბარსელონა-ალბა | 1,2 | 12,0 | 3,0 |
| 834 | ოლიმპია-ცრვენა ზვეზდა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 835 | ვილერმანი-ბუდუჩნოსტი | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 836 | ციბონა-პივოვარნა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | **ჰოკეი** | | | |
| | 15 თებერვალი | | | |
| 837 | ოტავა-კაროლინა | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 838 | ვაშინგტონი-კოლორადო | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 839 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 840 | აილენდერსი-სან ხოსე | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 841 | ტამპა ბეი-რეინჯერსი | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 842 | სენტ ლუისი-ატლანტა | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 843 | ნეშვილი-ედმონტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| | 16 თებერვალი | | | |
| 844 | ტორონტო-ბოსტონი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 845 | პიტსბურგი-ბუფალო | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 846 | ატლანტა-მონრეალი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 847 | ფლორიდა-რეინჯერსი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 848 | დეტროიტი-ვანკუვერი | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 849 | ჩიკაგო-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 850 | დალასი-ნეშვილი | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 851 | ანაჰაიმი-კალგარი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| | 17 თებერვალი | | | |
| 852 | ბუფალო-ვანკუვერი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 853 | ოტავა-ტამპა ბეი | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 854 | ნიუ ჯერსი-კოლორადო | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 855 | ფილადელფია-აილენდერსი | 1,2 | 4,0 | 5,0 |
| 856 | კაროლინა-მონრეალი | 1,8 | 4,0 | 2,2 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ახალი დროება უთბილისოდ?

საქართველოს ჩემპიონატი
**17 ტური**

ბათუმი. 12 თებერვალი

**ბასკო 89:87 აზოტი**

I ტაიმი 37:35, ძირითადი დრო 78:78
**ბასკო:** აბრამიძე (16), დავითულიანი (15), ბეჟანიშვილი (11), ვ. კილაძე (10), ქარაბაკი (22); ბაქრაძე (2), კვაჭაძე (2), კეშელავა (5), ჭეიშვილი (6)
**აზოტი:** ა. ჟღენტი (7), გაბისონია (2), გოგობერიშვილი (31), ბაბიაშვილი (26), მ. ბერუაშვილი (13); გოგოლაძე, ლ. ჩაჩუა (1), წიკლაური (7), ჯიმშელეიშვილი
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**გიორგი ბიკაშვილი** ბათუმიდან

რა დასამალია და რაც ბათუმში „ბასკო“ დაიბადა, პირველად ვეწვიე ამ ქალაქს. ბევრისგან მსმენოდა, აჭარაში თამაში ნამდვილი ზეიმიაო და როცა რედაქციამ ზღვისპირეთში მიმავლინა, მოსალოდნელი დღესასწაულის თანამონაწილედ წარმოვიდგინე თავი.

ეგ იქით იყოს და ბათუმს თვით რუსთავის „აზოტი“ სტუმრობდა. ჯერ ერთი, „ბასკო“ — „აზოტი“ მეორე წრის უმთავრესი მატჩი გახლდათ და მეორე, უმრავლესობა ამ შეხვედრას წლევანდელი ფინალის ერთ-ერთ გენერალურ რეპეტიციად აღიქვამდა.

მალიან დიდი იყო ამ მატჩისადმი ინტერესი. დედაქალაქიდანაც მრავლად მიაწყდნენ ბათუმს კალათბურთის სპეციალისტები, „აზოტის“ გულშემატკივართა დაახლოებით 50-კაციანი არმიაც დილიდანვე შეეფინა ქალაქს. თუმცა რა, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, წინ კი...

## უბრალოდ ბუმი თუ ახალი საკალათბურთო კერა?

თადარიგს დავიჭერ-მეთქი და მატჩამდე ორი საათით ადრე დავადექი დარბაზის გზას. ფიროსმანის ქუჩაზე მიმავალ ტრანსპორტში შესაღწევად კი საკმაო ლოდინი დამჭირდა. მანამდე ერთი-ორმა მეგობრულად მირჩია, ტყუილად დროს ნუ კარგავ, მისვლით კი მიხვალ, მაგრამ დარბაზში შესვლაა საქმეო...

აბა, ახლა მომეცა საფიქრალი. ზღვად აწყდება ხალხი შესასვლელ კარს, ერთი გმირობაა, შიგ თუ შეხვედი...

საკუთარი თვალით ნანახმა სრულიად დამარწმუნა იმაში, რაც არაერთხელ მსმენოდა — კოხტა, კოპწია, თანამედროვე ტიპის დარბაზი, წესრიგი, სითბო (!), სისუფთავე — ამან უკვე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მატჩამდე საათი რჩება და ტრიბუნები სავსეა, გარეთ კი აუარება ხალხია, რომელიც შიგნით შემოღწევას ლამობს. ვუყურებ ყოველივეს და უნებურად კითხვა მებადება, რა ჰქვია ამას? უბრალოდ ბუმი თუ...

გამაყრუებელი ყიჟინა. ვერ მივხვდი, რამ აახრიალა ხალხი. აქეთ-იქით მიმოვიხედე. იქვე, ჩემს ცხვირწინ, ტალიკ-ტალიკი ბიჭები საგულდაგულოდ შემოსჯაროდნენ აჭარის ლიდერ ასლან აბაშიძეს, რომელიც მთელი თავისი ამალით სწვეოდა დარბაზს. ხანგრძლივი ტაში და ოვაციაც მას მიეძღვნა. ბათუმს სტუმრობდა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გოგი ქათამაძეც, რითაც თამაშს ფასი ერთიორად დაედო.

## მატჩის წინ

*ზურაბ ტომარაძე, „ბასკოს“ მთავარი მწვრთნელი:* „დღევანდელ შეხვედრას თავისი მნიშვნელობით პლეიოფისას ნამდვილად ვერ შევადარებ, თუმც გარკვეულწილად პრესტიჟის შეხვედრა შეიძლება დაერქვას. „აზოტს“ არაფერი აქვს დასაკარგი და ვფიქრობ, გახსნილ თამაშს შემოგვთავაზებს. ჩვენ საკუთარი კედლები ფსიქოლოგიურად გვთრგუნავს და პირველ რიგში ამ კომპლექსის მოხსნას შევეცდებით. რუსთაველებს აქვთ უპირატესობა — ისინი გაცილებით უფრო შეთამაშებულნი არიან, ვიდრე ჩვენ. ეს პრაქტიკულად მეორე-მესამე მატჩი იქნება, სადაც „ბასკოს“ კალათბურთელებს ბრძოლა მოუწევთ, ამიტომ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს დასამტკიცებელი. რაც შეეხება მოთამაშეთა მდგომარეობას, საგანგაშო არაფერია. ხელი აწუხებს ალეკო დავითულიანს. უმძიმესი ტრავმის შემდეგ მაისურაძემ დღემდე ვერ დაიბრუნა ჩვეული ფორმა.“

*ოთარ ხმელიძე, „აზოტის“ მთავარი მწვრთნელი:* „ვეთანხმები ტომარაძეს, რომელიც ამბობს, „ბასკო“ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდისო. ასეთივე მდგომარეობაში აღმოვჩნდით ჩვენ, როცა ბათუმელებს რუსთავში შევხვდით. ვფიქრობ, ძალიან დაძაბული თამაში იქნება, „აზოტი“ არაფერს დათმობს. მიმაჩნია, რომ მეტოქეს დიდი უპირატესობა აქვს ფარზე თამაშისას. ჩვენ ამას სწრაფი შეტევები უნდა დავუპირისპიროთ. კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ ფეხს იტკივებენ გოგობერიშვილი და ჩაჩუა, ჟღენტი და ბერუაშვილი კი ახლახან ავადმყოფობდნენ და ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულან.“



რუსთაველი მიხეილ ბერუაშვილი (№6) ბათუმელთა კალათს უტევს



ბასკოელი მამუკა აბრამიძე (№10) აზოტელთა ფარქვეშ შეჭრას ლამობს

## მატჩი

წინასწარვე გეტყვით, რომ შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. ეს, რა თქმა უნდა, ბევრს ნიშნავს, მით უფრო, ჩვენი სტიმულდაკარგული კალათბურთისთვის, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ თამაშის სიმწვავე ხარისხსა და მაღალ დონეს ვერ განაპირობებს. ყოველივე ამის ფონზე ნუ გაგიკვირდებათ, თუ შეხვედრის საწყის ათ წუთს სხვათაგან გამოვარჩევ. მთლიანობაში იმის თქმა შეიძლება, რომ დებიუტში ერთმა გუნდმა აშკარად დაჯაბნა მეორე, ანუ „ბასკომ“ — „აზოტი“, მაგრამ ეს არ გახლავთ მთავარი. არც იმის თქმა მიმაჩნია სწორად, მავანს გაუმართლა და მავანს არაო. შესაძლოა, ნაწილობრივ ასეც იყო, მაგრამ დროის ხსენებულ მონაკვეთში ბათუმელ კალათბურთელთა ქმედებას სულ სხვა რამ უნდა ეწოდოს — სწორი კალათბურთი, რაც ძალიან გაიშვიათებულია ჩვენში.

„აზოტი“ ძალიან დაბნეული იყო. რუსთაველები ზედმეტად ნერვიულობდნენ, კი ბატონო, ასეა, მაგრამ ამას ხომ მეტოქე განსაზღვრავს? ჩვენს შემთხვევაში „ბასკო“, რომელიც ისეთი შემართებით ეკვეთა მოწინააღმდეგეს, იფიქრებდით, საცაა სულს ამოხდისო. ტომარაძემ ზუსტად გათვალა თავისი გუნდის შესაძლებლობები და რომ იტყვიან, შეუვალი დაცვა შეაგება მომხდურს. „აზოტს“ ხელ-ფეხი შეკროდა, ქაოსურად უტევდა და, რა თქმა უნდა, უშედეგოდ. „ბასკო“ კი შეტევაშიც მარჯვობდა. კარგად უძღვებოდა გუნდის თამაშს ზღვისპირელთა გამთამაშებელი მამუკა აბრამიძე, ალეკო დავითულიანი ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა რუსთაველთა ლიდერ რამაზ გოგობერიშვილს, კილაძე და ბეჟანიშვილი სწრაფ შეტევებზე გარბოდნენ და ხეირობდნენ კიდეც.

ექვსნახევარი წუთის შემდეგ „აზოტი“ 0:15-ს აგებდა. ზვიად ბაბიაშვილმა შეძლო თავისიანთათვის პირველი ორი ქულის მოპოვება, რის შემდეგაც ქარაბაკმა და აბრამიძემ 17 ქულამდე გაზარდეს სხვაობა — 20:3.

ამის მერე ტომარაძემ ცვლილებებს მიმართა, რაც იმან უფრო დააჩქარა, რომ კილაძეს სამი პერსონალურის მიღება მოესწრო — მწვრთნელმა იგი ჭეიშვილით შეცვალა. მალე ტომარაძემ ქარაბაკიც სათადარიგოებში გაამწესა, მის მაგივრად კი მოედანზე კეშელავას უხმო.

აქედან მოყოლებული „აზოტი“ ფარზე საგრძნობ უპირატესობას დაეუფლა. განსაკუთრებით ბაბიაშვილი აქტიურობდა, რომელსაც მალე ბერუაშვილიც შეეშველა და ოთარ ხმელიძის გუნდმა სამწუთიანი მონაკვეთი 11:2 მოიგო.

ტომარაძემ მოკლე დროში ორი წუთშესვენება ითხოვა. მოედანზე დააბრუნა ქარაბაკი, რითაც „ბასკოს“ წინახაზმა პირვანდელი იერი დაიბრუნა, მაგრამ ახლა უკანახაზელთა ქმედებაში იჩინა თავი ხარვეზებმა. აბრამიძის შემცვლელი მაისურაძე აშკარად არ იყო თამაშის იშტაზე, მას ცოტა ხანს კიდევ ადროვეს და მერე ისიც გამოცვალეს, თუმც ამასობაში რუსთაველთა უკანახაზიც საბოლოოდ გამოერკვა და რამაზ გოგობერიშვილის ზუსტი სამიანის შემდეგ 7 ქულაღა იყო სხვაობა — 24:17.

ამის მერე ტაიმის ბოლომდე „ბასკო“ ოპტიმალური ხუთეულის ძიებაში იყო. ვიცე-ჩემპიონმა კი საკუთარი თავის ირწმუნა. მნიშვნელოვნად აგრესიული გახდა აზოტელთა დაცვა და მეტოქესაც სულ უფრო. მეტად უჭირდა მიზნის მიღწევა. კარგად ჩაერთო თამაშში ლევან წიკლაური, იგი ბერუაშვილის ნაცვლად შეუწყვილა ხმელიძემ ბაბიაშვილს და ნაყოფიც მოიმკო. სულ მალე კი გოგობერიშვილმა „აზოტის“ ჩამორჩენა ორ ქულამდე დაიყვანა — 31:33. რუსთაველებს მეტიც შეეძლოთ, მაგრამ ბოლოს კილაძემ გამოიდო თავი და მეტოქეს გათანაბრების საშუალება არ მისცა.



ბათუმის საკალათბურთო დარბაზს უამრავი ხალხი მიაწყდა

განახლდა მატჩი და სადავო ეპიზოდიც შეიქმნა. რუსთაველებმა პირველი იერიში მიიტანეს მსაჯთა მაგიდაზე. აქაოდა, „ბასკოს“ ტაბლოზე ქულით ნაკლები უნდა ეწეროსო. ერთი შეხედვით ისინი მართლებიც იყვნენ, მაგრამ სინამდვილე ის გახლავთ, რომ სამდივნომ გაცილებით ადრე შესცოდა, როცა კილაძის ორქულიანი ერთით შეაფასა. მართალია, შეცდომა გამოსწორდა, მაგრამ გვიან, რაც „აზოტის“ გასანერვიულებლად საკმარისი აღმოჩნდა.

საერთოდაც ამ მატჩმა სამდივნოს მუშაობაში ბევრი ხარვეზი გამომჟღავნა, რამაც თამაშზეც გავლენა იქონია, თუმცა მათ ქმედებას მიკერძოებულს ვერ ვუწოდებ, რადგან შეცდომები ორივე მხარის საზიანოდ დაიშვა.

„აზოტს“ ძალიან ძვირად დაუჯდა ნერვიულობა. სხვაობა ახლა ათქულიანი გახდა „ბასკოს“ სასარგებლოდ, რაც მეტწილად ლევან ქარაბაკის დამსახურება იყო. ვიცე-ჩემპიონმა მაინც გამონახა ძალები, არ შედრკა და მეთოდურ შეტევებს მიეძალა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ათი წუთის შემდეგ ქულაღა აშორებდა მეტოქისგან — 52:53.

ამის მერე ხმელიძის გუნდს სამჯერ მიეცა დაწინაურების შანსი, მაგრამ ორჯერ ბაბიაშვილსა და ერთხელ ბერუაშვილს ხელსაყრელი პოზიციებიდან ნასროლი გაუცუდდათ. ძირითადი დროის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე კი იმავე ბაბიაშვილმა მაინც მოახერხა წონასწორობის აღდგენა — 59:59.

ძირითადი მოვლენები ბოლო წუთებზე განვითარდა. შეუჩერებელი გახდა რამაზ გოგობერიშვილი და სამ წუთზე ნაკლები რჩებოდა, როცა მისი სამიანით „აზოტი“ ოთხი ქულით წინ გავიდა. ბათუმელთა საპასუხო შეტევისას მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ მიხეილ ბერუაშვილი დააჯარიმა მეხუთედ, რამაც რუსთაველთა მწვრთნელი ოთარ ხმელიძე გაახელა და მანაც მოედანზევე სცადა მსაჯთან ურთიერთობის გარკვევა. ამის გამო მან მაჩალაძისგან ტექნიკური ჯარიმა მიიღო.

ლევან ქარაბაკმა ოთხი პერსონალურიდან ორი გამოიყენა. წესის თანახმად, ბურთი კვლავაც „ბასკოს“ დარჩა, რაც აბრამიძემ შეიფერა და ეს შეტევა სამ ქულად გარდასახა.

თვალისდახამხამებაში მდევრის როლში აღმოჩენილი „აზოტი“ ისევ თავისმა ლიდერმა, გოგობერიშვილმა იხსნა, რომელმაც მალე ზუსტი სამიანით კიდევ ერთხელ აღადგინა წონასწორობა — 76:76.

ბოლო წუთზე „ბასკომ“ კარგა ხანს ათამაშა ბურთი, თუმც დამაგვირგვინებელი შეტევა არ გამოუვიდა. თავის მხრივ „აზოტმა“ სწრაფად შეუტია და საფინალო სირენამდე 22 წამით ადრე ჭეიშვილი დაჯარიმდა ჟღენტზე — აზოტელმა ორივე საჯარომო გამოიყენა. აქ კი თავი გამოიდო ლევან ქარაბაკმა, რომელმაც ასევე ზუსტად უპასუხა „აზოტს“. რუსთაველთა განკარგულებაში შვიდი წამიღა რჩებოდა, ხმელიძემ წუთშესვენება ითხოვა, თუმც მას მოგვიანებით მიეცა ამით სარგებლობის უფლება. მსაჯებს ხმა ვერ მიაწვდინა თუ ვერ გეტყვით, რა მიზეზით მოხდა ეს, მაგრამ ფაქტია, რომ რუსთაველთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ორი წამი დაიკარგა.

„აზოტმა“ ხუთი წამიც იკმარა შეტევისთვის. ლევან წიკლაურს შეეძლო პასიც მიეცა ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი გოგობერიშვილისთვის, თუმც დროის სიმცირით დაშინებულმა თავადვე გადაწყვიტა სროლა. ბურთი კალათზე დატრიალდა და ბათუმელთა იღბალმა უკუაბრუნა...

დამატებითი დროისთვის ძირითადად სათადარიგოები შერჩენოდათ მწვრთნელებს. „ბასკოს“ დავითულიანი და კილაძე გავარდნოდა ხუთი ჯარიმით, თხუთმეტ წამში კი მათ აბრამიძეც მიჰყვა. რუსთაველებმა ამავე მიზეზით გაბისონია, ბაბიაშვილი და ბერუაშვილი მოისაკლისეს.

აქაც ქულა ქულაში წარიმართა თამაში. ერთხანს თითქოს საბოლოოდ იმძლავრა „ბასკომ“, მაგრამ გოგობერიშვილმა და ჟღენტმა მაინც თავისი გაიტანეს და კვლავ მიუახლოვდნენ მეტოქეს. ბასკოელ ირაკლი მაისურაძეს ჩინებული შანსი მიეცა ყველაფრისთვის ნათელი მოეფინა, მაგრამ ზედიზედ ოთხი საჯარიმო გააცუდა. ამით ისარგებლა ჟღენტმა და მატჩის დამთავრებამდე 21 წამით ადრე საჯარიმოებით აღადგინა თანაფარდობა — 87:87.

„ბასკომ“ უკანასკნელი ძალებით შეუტია. „აზოტმა“ ჩაჭრა ბათუმელთა იერიში, თუმც ბურთი კვლავაც ზღვისპირელებს დარჩათ. დრო თითქმის აღარ იყო, მაისურაძეს სხვა გზა აღარ ჰქონდა — უნდა ესროლა. ასეც მოიქცა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. კალათიდან ქვემოთ მიმავალ ბურთს კი ჰაერშივე შეეგება დავით კვაჭაძე. ეგ იყო და უსაზღვროდ გაიხარეს ბათუმელებმა...

## მატჩის შემდეგ



ოთარ ხმელიძე

*ოთარ ხმელიძე:* „მადლობა ჩემს ბიჭებს, ისინი ნამდვილი ვაჟკაცები არიან, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული მატჩი გამოვიდა. განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის თამაშით დაცვაში. უკლებლივ ყველა აზოტელი დღეს ქებას იმსახურებს, გამორჩევით ბაბიაშვილი, გოგობერიშვილი, ბერუაშვილი და წიკლაური.

უკმაყოფილო ვარ მსაჯთა მოქმედებით, შეცდომები საერთოდ ბევრი დაუშვეს, მაგრამ ამით განსაკუთრებით ჩვენ ვიზარალეთ. არ მეგონა, თუ ისინი ასე ტენდენციურად იმსაჯებდნენ.

„ბასკოს" ვულოცავ გამარჯვებას. კარგი გუნდია, კარგი მწვრთნელები... გულშემატკივარი კი, ვფიქრობ, ყველაზე ერთგული ჰყავს ამ გუნდს საქართველოში."

*ზურაბ ტომარაძე:* „შეხვედრამ გამოაჩინა, თუ რა გზით უნდა წარვმართოთ შემდგომი მუშაობა. ჯერ კიდევ უამრავი ხარვეზია აღმოსაფხვრელი, რასაც ნელ-ნელა გამოვასწორებთ. ჩემი უმთავრესი ამოცანაა, რომ გუნდმა სრულად წარმოაჩინოს თავი დაცვაში თამაშისას. რაც „ბასკოში" ვარ, სულ ამაზე ვმუშაობ, ამ კომპონენტს რომ დავხვეწთ, მერე შეტევისთვისაც მოვიცლით.

„აზოტმა" თავი დადო, გუნდმა ვაჟკაცურად იბრძოლა და ადვილი შესაძლებელია, გამარჯვებაც მას დარჩენოდა. მსაჯობაზე ლაპარაკი ჩემი საქმე არ გახლავთ, სხვა თუ არაფერი, იქნებ ტენდენციური ვიყო.

ყველაზე მეტად კი მესიამოვნა „ბასკოს" თამაში საწყის წუთებში, ეს ის მონახაზია, რომლითაც ეროვნულმა ნაკრებმა უნდა ითამაშოს მთელი შეხვედრის მანძილზე და არა მხოლოდ ეპიზოდურად."



ზურაბ ტომარაძე

---

საქართველოს 9 ჩემპიონატი — 17 ტური

ვერის ბაღი. 12 იანვარი

**მაკაბი 74:85 სდასუ**

I ტაიმი 44:39

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (24), ი. ბერიშვილი (17), ტალაბაძე (8), მჭედლიშვილი (2), ფერიაშვილი (21); ბ. ნოზაძე, ლასარეიშვილი (2), ბ. ფიცხელაური

**სდასუ:** ხოშტარია (28), გ. ჩხეიძე (5), უძილაური (10), ლ. აბულაძე (4), მაჭარაძე (26); ნ. ნოზაძე (6), სუხიშვილი (4), ანდღულაძე (2)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

საქართველოს 9 ჩემპიონატი — 17 ტური

ვერის ბაღი. 13 იანვარი

**სსუ 63:75 დინამო**

I ტაიმი 28:35

**სსუ:** გ. ყლენტი (6), ბ. ბერიშვილი (40), თოდუა (7), ლაცუზბაია (5), ლ. ვაშაკიძე; ქვილითაია (5), კ. ჩუბინიძე, ერქვანია, სორდია

**დინამო:** ნიკოლაძე (41), ნიკურაძე (12), ორდენიძე (4), ბათხაძე (4), ზერეკიძე (10); ყველაშვილი (4)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, დავით ანდრიაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

საქართველოს 9 ჩემპიონატი — 17 ტური

ვერის ბაღი. 13 იანვარი

**ასკ 67:103 სტუ**

I ტაიმი 38:56

**ასკ:** მარხვაშვილი (12), მ. მარკოიშვილი (22), ნათობაძე (12), ფანჯიკიძე (2), მ. ფიცხელაური (2); ზანგურაშვილი (7), დ. საყვარელიძე (4), ლ. საყვარელიძე (2), ღვინაშვილი (4)

**სტუ:** თორთლაძე (14), მიქაძე (9), ზ. ჩუბინიძე (5), ორმოცაძე (5), კორძაძე (8); ტულუში (21), დ. მოისწრაფიშვილი (4), მდივანი (6), სულაძე (5), ოთიურიძე (12), ლოსაბერიძე (14)

**მსაჯები:** როლანდ გელოვანი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

საქართველოს 9 ჩემპიონატი — 17 ტური

ვერის ბაღი. 13 იანვარი

**შევარდენი 67:80 თსუ**

I ტაიმი 32:38

**შევარდენი:** ორჯონიკიძე (7), მაჭავარიანი (11), აკოლაშვილი (15), შ. გაგნიძე (11), ნუცუბიძე (5); თაბუაშვილი (5), გიგაური (3), ალავიძე (7), კაზანჯიანი (3)

**თსუ:** მშვილდაძე (2), წოწელია (16), ხეცურიანი (10), არსიაშვილი (8), ვ. აბულაძე (6); გელაშვილი (6), ვეფხვაძე (1), მგალობლიშვილი (25), გ. ბერუაშვილი (6)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

---

როლანდ ლაბუჩიძე

# გორის ბედი ალმასკომის ხელშია

პირველ წრეში მოულოდნელი მარცხის შემდეგ რევანშისათვის საბრძოლოდ შემართულ „ვითასთან" ერთად, ვერის ბაღში შეკრებილი გულშემატკივრები და მატჩის ორგანიზატორები მოუთმენლად ელოდნენ კალათბურთის ფედერაციის მიმართ ჯერაც ვალში მყოფი „გორის" გამოჩენას. სათამაშოდ დათქმული დროიდან ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ ვილაცამ დაიძახა, მოდიანო და „გორის" კალათბურთელები, გუნდის ხელმძღვანელობასთან ერთად, საკალათბურთო დარბაზში შემოლაგდნენ. მოსვლით კი მოვიდნენ ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტები, მაგრამ სახეზე ეტყობოდათ, რომ კარგი ამბის მომტანები არ იყვნენ. ისევ ცარიელი ქისა, კვლავ სიტყვიერი დაპირებები და ამჯერადაც პრინციპული ფედერაცია, რომელმაც ეროვნული ჩემპიონატის დებულებიდან გამომდინარე, 0:20 წაგება ჩაუთვალა „გორს". ჩემპიონატის ყველაზე უპოვარ და ჯიბეგაფხეკილ ქართლელებზე ვერ იმოქმედა მკაცრი ზომების მიღებამ (ზუსტად ერთი კვირის წინ ვალის გადაუხდელობის გამო „გორს" სდასუ-სთან შეხვედრაში წაგება ჩაეთვალა 0:20) და მათ ამჯერადაც ვერ გაისტუმრეს დავალიანება, რამაც მთელი სეზონის განმავლობაში 3960 ლარი შეადგინა. რომ გვეგონა, ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებითა და კრივით გართულმა ქართლელებმა კალათბურთსაც მოწყალე თვალით გადმოხედესო, არც მთლად ასე ყოფილა თურმე საქმე. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, აკაკი მეგრელაძის თქმით, ჩემპიონატის დებულების თანახმად, „გორი" ასპარეზობიდან მოხსნილია, რადგან უკვე რამდენიმე ტურია, დავალიანების გამო მატჩების ჩატარებას ვერ ახერხებს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ალმასკომის რამდენიმე წევრი იმედოვნებს, რომ ქართლელებს ჯერაც აქვთ ჩემპიონატის გაგრძელების შანსი, თუ „გორი" მომდევნო, მეთვრამეტე ტურამდე დაფარავს ვალებს და წერილობით მიმართავს ალმასკომს, რათა მან თამაშებში მონაწილეობის ნება დართოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ჩემპიონატი „გორს" მოისაკლისებს და ასპარეზობას 12-ის ნაცვლად 11 გუნდი გააგრძელებს. დებულების თანახმად, რადგან „გორს" მატჩების ორმოცდაათი პროცენტი აქვს ნათამაშევი, მათი შედეგები არ გაუუქმდება, ხოლო დარჩენილი შეხვედრები წაგებად ჩაეთვლება.

თბილისში დაგეგმილი სხვა ორთაბრძოლებიდან განსაკუთრებით ინტერესს „მაკაბი" — სდასუ იწვევდა. ამ მეტოქეებს ხომ ერთმანეთისაგან სულ რაღაც ქულა აშორებდათ და ორივე გუნდი თსუ-სთან ერთად ექვსეულში მოხვედრის პრეტენზიას აცხადებს. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ თსუ-ს მთელი გუნდი, მოთამაშეებიც და ხელმძღვანელებიც, მატჩს ესწრებოდა და სდასუ-ს გულშემატკივრობდა: თსუ-მ ხომ სდასუ-სთან ორივე მატჩი წააგო, „მაკაბისთან" კი უპირატესობას ფლობს პირველ წრეში მოპოვებული გამარჯვებით. რაც შეეხება განმეორებით შეხვედრას, იგი ბოლო ტურშია დაგეგმილი. შეიძლება ითქვას, რომ პირველ ტაიმში „მაკაბის" წამყვანმა კალათბურთელებმა — ტყუპმა ბერიშვილებმა, ფერიაშვილმა და განსაკუთრებით ტალაბაძემ კარგი თამაშით როგორც სდასუ-ს, ასევე თსუ-ს სტუდენტობას იმედები გაუცრუეს.



მაკაბი — სდასუ 74:85. მაკაბელი დავით ტალაბაძე (№9, თეთრ ფორმაში) თანაგუნდელი დავით ლასარეიშვილის (მარცხნიდან მეორე) და შოთა უძილაურის ორთაბრძოლას შესცქერის

გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე პირველი ნახევრის მეთოთხმეტე წუთზე ხუთი ქულით დაწინაურებულმა „მაკაბიმ" ტალაბაძისა და დავით ბერიშვილის აქტიურობის წყალობით შეძლო მოპოვებული ქულათა მარაგის ტაიმის ბოლომდე შენარჩუნება.

შესვენების შემდეგ სდასუ-მ პირველად მეშვიდე წუთის ბოლოს გაათანაბრა, როდესაც ზედიზედ მეორე ცდით შოთა უძილაურმა ბურთი კალათში მოათავსა. მალე ხოშტარიამ სტუდენტები წინ გაიყვანა, „მაკაბიმ" კი წუთშესვენება ითხოვა, მაგრამ თამაშში გარდატეხის შეტანა ველარ შეძლო. სდასუ-მ საიმედოდ ამოკეტა დავით ბერიშვილი და ტალაბაძე, ხოლო ირაკლი ბერიშვილი-ხოშტარიას და ფერიაშვილი-მაჭარაძის დუელი სტუდენტების აშკარა უპირატესობით დასრულდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაჭარაძის კარგი თამაში, რომელსაც ოთხი ცენტრისა და პლუს ტანმაღალი ტალაბაძის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა. მართალია, მაჭარაძეს პირველ ტაიმში ცოტა გაუჭირდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ძირითადად მისმა მონდომებამ გადაწყვიტა მატჩის ბედი, რომლის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე სდასუ-ს გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა. ამ მომენტისთვის სდასუ ათი ქულით 71:61 უსწრებდა მეტოქეს. დარჩენილი დრო საკმარისი იყო, რათა „მაკაბის" მატჩი თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინა, მაგრამ გამოცდილ ტალაბაძეს და ფერიაშვილს დაღლა დაეტყოთ, ხოლო მარტო ტყუპი ბერიშვილები თამაშის იმტაზე მოსული სდასუ-ს წინააღმდეგ, აბა, რას გახდებოდნენ.

„მაკაბის" დამარცხებით დამშვიდებულმა თსუ-მ „შევარდენთან" შეხვედრაში მხოლოდ ტაიმის ბოლოს შეძლო უპირატესობის მოპოვება, რაშიც ლომის წილი დაიდო შეცვლაზე შესულმა ლევან მგალობლიშვილმა. მან მიმდინარე ჩემპიონატში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. სტუდენტებისათვის პირდაპირ მისწრება იყო მგალობლიშვილის კარგი თამაში, რადგან მათ ტრავმირებული გიორგი მარკოიშვილი მოისაკლისეს და არც წოწელია გამოიყურებოდა პირველ ტაიმში ჩვეულად.

როდესაც 33-ე წუთის ბოლოს გია კაზანჯიანისა და შალვა გაგნიძის სამქულიანების შემდეგ თსუ ქულითლა (54:53) იყო წინ, სტუდენტებს მხსნელად მაინც წოწელია მოევლინათ. თსუ-ს ერთ-ერთი ლიდერი დაუბრკოლებლად შედიოდა ფარქვეშ და ქულას ქულაზე აგროვებდა. სახტად დარჩენილმა შევარდენელებმა წოწელიას მიერ მოპოვებულ 14 ქულას მხოლოდ ერთით უპასუხეს და ოთხწუთიანი მონაკვეთის 14:1 წაგების შემდეგ მატჩის ხსნის იმედიც ქარს გაატანეს. წოწელიას და მგალობლიშვილს კი თანაგუნდელებთან ერთად დასახული მიზნის მიღწევა აღარ გასჭირვებიათ.

სსუ-სა და ექვსი კალათბურთელის იმედად მყოფი „დინამოს" შეხვედრა, გუნდის ლიდერების, ბუბა ბერიშვილისა და გიორგი ნიკოლაძის დუელად იქცა. ლიდერთა დავაში შედარებით უკეთ გამოიყურებოდა გამოცდილი ნიკოლაძე, რომელმაც ზერეკიძესა და ნიკურაძესთან ერთად გადაწყვიტა მატჩის ბედი „დინამოს" სასარგებლოდ.

ასკ-სა და სტუ-ს შეხვედრაში საინტერესო ის იყო, თუ რამდენ წუთს გაუძლებდნენ ახალგაზრდა არმიელები გამოცდილ მეტოქეს. ზუსტად პირველი ტაიმის მეათე წუთამდე მოედანზე თანაბარი ბრძოლა იყო. შემდეგ კი დაწინაურებულმა სტუ-მ დაადასტურა, რომ ძალა აღმართს ხნავს.

---

საქართველოს 9 ჩემპიონატი — 17 ტური

ვერის ბაღი. 12 იანვარი

**გორი 0:20 ვითა**

*ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადაუხდელობის გამო გორს ჩაეთვალა წაგება 0:20 და დაეწერა 0 ქულა. მის ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხს გადაწყვეტს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ალმასკომი*

საქართველოს 9 ჩემპიონატი — 17 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 16 | 16 | 0 | 1592:1271 | 32 |
| აზოტი | 17 | 13 | 4 | 1626:1353 | 30 |
| სტუ | 17 | 13 | 4 | 1501:1161 | 30 |
| ვითა | 17 | 12 | 5 | 1407:1258 | 29 |
| სდასუ | 17 | 11 | 6 | 1425:1322 | 28 |
| თსუ | 17 | 10 | 7 | 1492:1470 | 27 |
| მაკაბი | 17 | 9 | 8 | 1409:1304 | 26 |
| დინამო* | 17 | 6 | 11 | 1209:1363 | 22 |
| შევარდენი | 17 | 5 | 12 | 1239:1419 | 22 |
| სსუ | 17 | 2 | 15 | 1214:1571 | 19 |
| ასკ | 17 | 1 | 16 | 1237:1602 | 18 |
| გორი* | 16 | 3 | 13 | 1026:1283 | 17 |

**დინამოს დაკლებული აქვს ერთი ქულა, გორს — ორი ქულა*

# დასავლეთი მაღალი და ძლიერია

# NBA ALL★STAR 2000

ოკლენდი.
„ოკლენდ კოლიზეუმი“

13 თებერვალი

**დასავლეთი 137:126 აღმოსავლეთი**

დასავლეთი: კიდი (11 ქულა, 14 პასი), ბრაიანტი (15), გარნეტი (24 ქულა, 10 მოხსნა), დანკანი (24 ქულა, 14 მოხსნა), ონილი (22 ქულა, 9 მოხსნა); ფინლი (11), სტოქტონი (10), ვოლესი (9), ვებერი (6), პეიტონი (5 ქულა, 8 პასი), რობინსონი, მელოუნი

აღმოსავლეთი: აივერსონი (26 ქულა, 9 პასი), ჯონსი (10), კარტერი (12), ჰილი (7), მურნინგი (15); ალენი (14), ჰიუსტონი (11), რობინსონი (10), სტეკჰაუზი (8), მილერი (5), მუტომბო (4), დევისი (4)

სან ფრანცისკოში ხუთ მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს. მის თანამდევ ქალაქებში ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია ოკლენდს. სწორედ აქ დაიდო ბინა კარგა ხნის წინ ფილადელფიიდან გადახვეწილმა საკალათბურთო გუნდმა — „ვორიორზმა“ და სახელად ჯერ „სან ფრანცისკო ვორიორზი“, შემდეგ კი „გოლდენ სტეიტ ვორიორზი“ დაირქვა. სწორედ ამ გუნდის დარბაზი — „ოკლენდ კოლიზეუმი“ გახდა 49-ე „ოლ სტარის“ მასპინძელი. აქვე ისიც ვთქვათ, რომ მართალია, 18325 კაცმა, როგორც კვირას, ასევე შაბათს პირთამდე გაავსო დარბაზი, მაგრამ ადგილობრივი გულშემატკივრის ინტერესი შოუ პროგრამის მიმართ ერთგვარად იმანაც შეამცირა, რომ მათი გუნდიდან — „გოლდენ სტეიტიდან“ არავინ მონაწილეობდა. საერთოდ „ვორიორზი“ ახლა ერთობ დაკნინებულა და ვარსკვლავებს მოისაკლისებს. იქ მხოლოდ ანტაუნ ჯემისონია გამოსარჩევი, ვისაც კიდეც უნდა მიეღო მონაწილეობა ჩატენვების კონკურსში და ახალბედათა და მეორეწლიანთა თამაშში ამ უკანასკნელთა რიგებში, მაგრამ მას ორიოდ დღის წინ კოჭი უტკენია და გულშემატკივარსაც ისღა დარჩენოდა, დასავლეთისთვის ექომაგა, რადგან თვითონ სან ფრანცისკო ხომ ქვეყნის უკიდურეს დასავლეთშია.

წესით, დასავლეთს უნდა მოეგო, თუ რატომ, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: დასავლეთი შინ თამაშობდა. დასავლეთს ვეება უპირატესობა ჰქონდა სიმაღლეში და ძალაში და ბოლოს: დასავლელების გუნდი ბევრად უფრო გაწონასწორებული გახლდათ, ვიდრე მისი მეტოქე. აღმოსავლეთს 12-კაციან შემადგენლობაში ერთბაშად ექვსი უკანახაზელი ჰყავდა და, წარმოიდგინეთ, ამპლუით ექვსივე მსროლელი. ასე რომ, გამთამაშებლობა მათ შორის ყველაზე დაბალ და ტექნიკურ, 183-სანტიმეტრიან აივერსონს ხვდა წილად. ალენმა მისთვის „შავ სამუშაოს“ ხელი მაინც ხალისიანად მოჰკიდა და ჩვეულადაც დატრიალდა. დღესდღეისობით მისისიპის გაღმოღმა ნბა-ში ალენ აივერსონზე უფრო კაშკაშა ვარსკვლავი არ არსებობს. თან ფილადელფიელი უკვე მეოთხე სეზონს ატარებს ლიგაში და „ოლ სტარში“ თამაშის საშუალება პირველად ახლაღა მიეცა. აივერსონსაც თავი არ დაუზოგავს, უნარიანად ხელმძღვანელობდა თავისიანებს, მათ შორის უდავოდ საუკეთესო იყო და აღმოსავლეთს რომ ემარჯვა, მატჩის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული ჯიბეში ედო, მაგრამ მისი გუნდი წინასწარ იყო განწირული...

მაშინ, როცა აღმოსავლეთის რიგებში ერთბაშად შვიდი კალათბურთელი პირველად თამაშობდა „ოლ სტარს“, დასავლეთში ასეთი მხოლოდ ორი იყო — ვოლესი და ფინლი. მასპინძლებს თავიანთ რიგებში რამდენიმე ბებერი ხარიც ჰყავდათ, თუმც მათ თავი დიდად არ გამოუდიათ, ბურთი და მოედანი ახალბედებს დაუთმეს. ასე მაგალითად, დევიდ რობინსონმა სულ ექვსი წუთი გაატარა მოედანზე და მალევე შეაცვლევინა თავი მწვრთნელ ფილ ჯეკსონს. კარლ მელოუნი თავიდან საერთოდ უარზე იდგა და თამაშს არ აპირებდა, ამ ბოლო დღეებშიღა გადაწყვიტა მონაწილეობა და კიდეც „ითამაშა“: ერთი წუთით შეისეირნა მოედანზე ერთი სროლა ააცილა და სათადარიგოთა სკამზე მიბრუნდა. მერე უთქვამს, ძალიან დავბერდიო ასეთებისთვის. ასევე ცოტა ხანს, სულ სამი წუთი ითამაშა იმ მატჩის ყველაზე ასაკოვანმა მონაწილემ, მელოუნის თანაგუნდელმა და ძველმა დოსტმა ჯონ სტოქტონმა, მაგრამ, ძმაკაცისგან განსხვავებით მან ამ სამ წუთში ბევრი იმძვინვარა, „მტრების“ კალათი ხუთჯერ დალაშქრა (ხუთი სროლიდან ყველა ჩააგდო!) და მერეღა დაწყნარდა.

თუმცა ეს ნამდვილად არ იყო ბებერთა დღე. 13 თებერვალს მოთამაშეთა უმრავლესობას სისხლი უდუღდა ძარღვებში და ერთი სული ჰქონდა, საკმაოდ ემოციური ქომაგობის თვალწინ თავი გამოეჩინა. როგორც მასპინძელთაგან, ისე სტუმართაგან ლამის კაცი არ დარჩენილა, მეტოქის კალათში ბურთი არ ჩაეტენოს განურჩევლად სიმაღლისა. აი, რა ბიჭები შემოვიჭერით ნბა-ს ბობოქარ სამყაროშიო, თითქოს ამბობდნენ ჭაბუკი სუპერვარსკვლავები და თავისი სიჩაუქით ათასობით ადამიანს ალაფრთოვანებდნენ.

მეტოქე გუნდებმა, „ოლ სტარების“ ჩვეულებისამებრ, თავიდანვე უარყვეს დაცვა და ლალი, თვალსასეირო ბურთაობა გააჩაღეს. თამაშიც თავიდან ბოლომდე ასე თუ ისე თანაბარ ბრძოლაში გაილია. აქეთ აივერსონი და მისი არმია იდგა, იქით დასავლეთი თავისი ახმახი ბიჭებით. ამ უკანასკნელთ ბოლო მეოთხედშიღა იძალეს, თავისი დევების წყალობით 38:29 მოიგეს და დასავლეთს ბოლო ოთხ თამაშში პირველადაც მოაგებინეს. სულ დასავლეთმა მეთვრამეტედ იმარჯვა. სიმაღლემ და ძალამ თავისი გაიტანა. ან კი რა გასაკვირი იყო მისი გამარჯვება, როცა მარტო სასტარტო ხუთეულის სამი წევრი — შაკილ ონილი, კევინ გარნეტი და ტიმ დანკანი 210-სანტიმეტრზე მაღლები შეუქმნია ბუნებას. მასპინძლები ფარქვეშ სწორედ მათი წყალობით გაბატონდნენ და მეტოქეს მოხსნებში 58:46 აჯობეს. საქმე მაშინ გაჭირდა, როცა ჯერი მატჩის უძვირფასესის წოდების შერჩევაზე მიდგა. აქ კომისიის წევრთა აზრები გაიყო. დასავლეთს არ ჰყოლია ყველასგან გამორჩეული კაცი და დიდი სირთულეები შეიქმნა. ბოლოს საქმე იმით მოგვარდა, რომ ტიტული ორ გიგანტს და მოედანზე ერთმანეთის მოქიშპეებს — შაკილ ონილსა და ტიმ დანკანს მისცეს. ის კი არა, ასეთი რამ შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ამ ორს კევინ გარნეტსაც წაუმატებდნენ, მაგრამ ასეთი რამ „ოლ სტარის“ ნახევარსაუკუნოვან ისტორიას არ ახსოვს. ასე რომ, იმ დღეს მართლაც მშვენივრად გარჯილი გარნეტი მშრალზე დარჩა. საერთოდ ეს მესამე შემთხვევაა, როცა მატჩის უძვირფასეს მოთამაშედ ერთდროულად ორ კაცს ასახელებენ. მანამდე ეს პატივი ერთმანეთს შორის გაუყვიათ 1959 წელს ბობ პეტიტსა და ელჯინ ბეილორს და 1993 წელს ამავე „ოლ სტარის“ მონაწილეებს — ჯონ სტოქტონსა და კარლ მელოუნს.

დევკაც შაკილ ონილს დიდად გაჰკვირვებია, როცა გაუგია, რომ ტიტულში დანკანი შეეზიარა, თუმც უკმაყოფილება არ გამოუთქვამს. პირიქით, დანკანი კარგი ბიჭია და ვგონებ დღეს იმსახურებდა აღიარებას, თუმც მეც არაფერი მიშავდაო, უთქვამს გიგანტს.

დაბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ „ოლ სტარი“ გართობაა და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციაში საყოველთაო ზეიმია, მაგრამ თამაშის მონაწილეთათვის მაინც გამოყოფილია ფულადი პრემიები. დასავლელებმა, როგორც გამარჯვებულებმა, 15-15 ათასი დოლარი ჩაიჯიბეს, დამარცხებულ აღმოსავლელებს კი ამის ნახევარი აკმარეს.

**ირაკლი ფირცხვილი**



REUTERS ოკლენდიდან

## ტიმ დანკანი
სან ანტონიო სპურზი
თავდამსხმელი

დაიბადა: 25.04.76
სიმაღლე: 213 სმ
წონა: 118 კგ
1999 წლის ჩემპიონი
1999 წლის პლეი ოფის უძვირფასესი მოთამაშე
1997-98 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედა
ნბა-ს პირველი ხუთეულში ორჯერ მოხვედრილა (1998, 99)
„ოლ სტარში“ ორჯერ უთამაშია (1998, 2000)
2000 წელს „ოლ სტარის“ უძვირფასესი მოთამაშე გახდა

## შაკილ ონილი
ლოს ანჯელეს ლეიკერსი
ცენტრი

დაიბადა: 3.06.72
სიმაღლე: 216 სმ
წონა: 142 კგ
1994-95 წლების სეზონში ლიგის ბომბარდირი
1992-93 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედა
ნბა-ს პირველ ხუთეულში დაუსახელებიათ ერთხელ (1998), ორჯერ მეორე ხუთეულში (1995, 1999) და სამჯერ მესამე ხუთეულში (1994, 1996, 1997)
1994 წლის მსოფლიოს და 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი.
„ოლ სტარში“ ექვსჯერ უთამაშია (1993-96, 1998 და 2000)
2000 წელს „ოლ სტარის“ უძვირფასესი მოთამაშე გახდა

## სამქულიანების კონკურსი

პირველი წრე: ჰორნაჩეკი (18), ნოვიცკი (17), ალენი (16), ბიბი (15), პორტერი (15), დევისი (14), აივერსონი (10) სურა (9)
ფინალი: ჰორნაჩეკი (13), ნოვიცკი (11), ალენი (10)

12 თებერვლის შოუ პროგრამას უდავოდ გამორჩეული მონაწილე „იუტა ჯაზის“ მსროლელი ჯეფ ჰორნაჩეკი გახდა. ვისაც ოქროს ხელებმა იმ დღეს ორი ჯილდო მოუტანა ამასთან ჰორნაჩეკმა ეს ტიტული ზედიზედ მეორედ მოიპოვა. იგი წინასწარ ეტაპზე უკეთ ისროდა, ვიდრე ფინალში. აქ მან 25 ცდიდან მხოლოდ 13 ჩააგდო, მაგრამ ბედმა გაუღიმა და ვერც მოცილეებმა ივარგეს.


AP ოკლენდიდან

ჯეფ ჰორნაჩეკი

## ჩატენვების კონკურსი

პირველი წრე: კარტერი (100), მაკგრეიდი (99), ფრენსისი (95), დევისი (88), სტეკჰაუზი (83), პიუზი (67)
ფინალი: კარტერი (98), ფრენსისი (91), მაკგრეიდი (90)

ვინაიდან ჩატენვების კონკურსი წინა „ოლ სტარის“ პროგრამაში არ შედიოდა, მისდამი ინტერესი გაიზარდა. ფავორიტებად „ტორონტოს“ ლიდერი ვინს კარტერი და ჰიუსტონელი ახალბედა სტივ ფრენსისი მიიჩნეოდნენ. თავდაპირველად მათ დავაში კარტერის თანაგუნდელი ტრეისი მაკგრეიდიც ჩაერია, მაგრამ ფინალში ფავორიტებს აშკარად ჩამორჩა და მესამე ადგილას და 10 ათას დოლარს დასჯერდა. გამარჯვებით ვინს კარტერმა კი გაიმარჯვა და 25 ათასი დოლარი ჩაიჯიბა.


REUTERS ოკლენდიდან

ვინს კარტერი

## ახალბედათა მატჩი

**ახალბედები 92:83 მეორეწლიანები**

ძირითადი დრო 81:81

ახალბედები: ფრენსისი (13 ქულა, 11 პასი), მილერი (18), ფოუზი (6), ოდომი (15), ბრენდი (16 ქულა, 21 მოხსნა); შჩერბიაკი (13), გრიფინი (7), მაკკალოფი (4)
მეორეწლიანები: ვილიამსი (9), დიკერსონი (6), პირსი (18), ნოვიცკი (17), ლაფრენცი (11 ქულა, 10 მოხსნა); მობლი (10), ბიბი (6), ოლვოკანდი (6)

ახალბედათა და მეორეწლიანთა შეხვედრაში ფავორიტებად ეს უკანასკნელნი მიიჩნეოდნენ, რადგან გამოცდილება მეტი აქვთ, მაგრამ მათ ორი წამყვანი კაცი მოისაკლისეს — ანტაუნ ჯემისონი ტრავმას შეუწუხებია, ვინს კარტერი კი დიდებში გაერია. ამდენად, იმედმოცემულმა ახალბედებმა თამამად შეუტიეს უფრო გამოცდილებს და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანეს. აქ კი ბრენდის და ფრენსისის შედეგიანმა თამაშმა შედეგი მოიტანა და ახალბედებმა ოვერტაიმში სამარცხვინოდ მოუგეს გამოცდილ მეტოქეებს — 11:2. ახალბედა ჩიკაგოელმა ელტონ ბრენდმა 16 ქულასთან ერთად 21 მოხსნაც მიითვალა, ახალბედათა მატჩების რეკორდიც დაამყარა და მატჩის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულიც, დიდებისგან განსხვავებით, არავის უწილადა.

## ორი ორზე. ფინალი

**იუტა (ჯეფ ჰორნაჩეკი, ნატალი ვილიამსი) 68:61 ფინიქსი (ჯეისონ კიდი, ჯენიფერ გილომი)**

ქალ-ვაჟთა შყვილებში პირველობა არავის დაანებს იუტელებმა — ჯეფ ჰორნაჩეკმა და ჯენიფერ გილომმა. მათ მანამდე ყველს გადაუარეს ფინალში კი ფინიქსელ მომხიბლავ წყვილს შეებნენ. ჰორნაჩეკიცა და გილომიც შორიდან სანაქებოდ ისვრიან და ამ ტალფარა თამაშის ბედიც სწორედ მათმა მარჯვე შორეულმა სროლებმა გადაწყვიტა. გამარჯვებულები ძირითადად გვერდებიდან ისროდნენ მაშინ, როცა ფინიქსელები მათ ცენტრიდან შემოტევაზე იყვნენ ორიენტირებულნი. საფინალო სირენამდე ორიოდე წუთით ადრე ჰორნაჩეკმა 61:61 გაათანაბრა და მერე შორიდან იოლად გაუსწორდა ნბა-ს ერთ-ერთ უძლიერეს გამთამაშებელს, ჯეისონ კიდს.



იყიდება
როტვეილერის
ლეკვები
☎ 39 42 65
დარეკეთ 12-დან 17 საათამდე



REUTERS მარსელიდან

მარკ როსე და როჯერ ფედერერი

# ასე განსხვავებული შვეიცარიელები

**პარიზი. საფრანგეთი.**
**OPEN GAZ DE FRANCE**
**დარბაზი, ჰარდი.**
**საპრიზო 535 ათასი $**

მეოთხედფინალი: **სერენა უილიამსი** (1, აშშ) — სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) 6:1, 6:1; **ნატალი ტოზია** (2, საფრანგეთი) — ანა გეილ სიდო (საფრანგეთი) 7:5, 6:1; **ჟული ალარი** (3, საფრანგეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:2, 6:4; **ანა კურნიკოვა** (4, რუსეთი) — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 4:6, 6:4, 6:2.

ნახევარფინალი: **უილიამსი** — ალარი 6:4, 6:2; **ტოზია** — კურნიკოვა 7:6 (8:6), 2:6, 6:4.

ფინალი: **ტოზია** — უილიამსი 7:5, 6:2.

ნატალი ტოზია მარტო ქალების ჩოგბურთში კი არა, ალბათ, საერთოდ ფენომენალური მოვლენაა სპორტში. პროფესიონალებში ადრეულად გადაბარგებულ, დაბალ და ძვალმსხვილ ფრანგს 14 წლის მანძილზე ღირებული არაფერი გაუკეთებია, მაგრამ, ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, სწორედ ამ ასაკში გახდა ვარსკვლავი, როდესაც სხვები პენსიაზე გადიან.

30 წლისა ტოზია 1998-ში უიმბლდონის ფინალში გავიდა, კარიერაში პირველადაც სწორედ მაშინ შეაღწია საუკეთესოთა ათეულში და კარგი ღვინის (როგორც თავის თავს უწოდებს ხოლმე) პრინციპით მას შემდეგ მხოლოდ უკეთესობისკენ მიდის: ბოლო 4 თვეში 3 ტურნირი მოიგო, ორშაბათიდან კი მსოფლიოს მეხუთე ჩოგანიც გახდა.

გასულ უქმეებზე ემოციურმა ფრანგმა ორი თავისზე თითქმის ორჯერ უმცროსი მეტოქე დაიფრინა. ნახევარფინალში ანა კურნიკოვასთან მას უმძიმესი, ორსაათიანი ბრძოლა გადახდა. გადამწყვეტ ხელში ტოზია 2:4-საც აგებდა, მაგრამ ტრიბუნების მხარდამჭერითა და განერვიულებული რუსის შეცდომების წყალობით მძიმე სიტუაციას თავი დააღწია.

„ასეთი მატჩების ბოლოს მთავარი გამოცდილებაა. ანას გადამწყვეტ მომენტში ჯერაც თვითგანადგურებისკენ აქვს მიდრეკილება, მაგრამ მომავალში სწორედ ამ შეხვედრებისგან ისწავლის მსგავსი შეცდომების თავიდან აცილებას“ — აღნიშნა ფრანგმა.

ფინალში, ყველასდა მოულოდნელად, ტოზიას გაცილებით ნაკლებად გაუჭირდა. ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა, სერენა უილიამსმა, მეტოქის კაცურ, აგრესიულ თამაშის სტილს ვერაფრით აუღო და უმეტესად უბრალო სტატისტის როლშიღა გამოდიოდა.

ტოზია ყოველ მოსახერხებელ შემთხვევაში, თავის თუ სხვის მოწოდებაზე, ბადესთან გარბოდა, ამერიკელს მძლავრი დარტყმების განხორციელების შესაძლებლობას უსპობდა და მიწაზე დაუშვებელი ბურთით ლამაზად იგებდა გათამაშებებს.

სერენამ, რომელსაც ბავშვობიდან მარცხის კომპლექსი აქვს ჩანერგილი, თავის გასამართლებლად სხვა ვერაფერი მოიფიქრა და პირველი სეტის წაგების შემდეგ კორტზე ექიმს უხმო მტკივანი მუხლის საწამლოდ. დარჩენილი მატჩი კი მცირე კომედიას დაემსგავსა — უმცროსი უილიამსი „ტკივილისაგან“ იმანჭებოდა, საცოდავი სახით იცქირებოდა მეტოქისკენ და ერთორჯერ ცრემლებიც მოიწმინდა თვალიდან, არადა, მეორე წუთში თავქუდმოგლეჯილი დარბოდა ერთი კიდიდან მეორეში.

„ძალიან ძნელი იყო, სიარულსაც კი დიდი გაჭირვებით ვახერხებდი. შარშან ამ დროსაც მაწუხებდა მუხლი, მაგრამ მას შემდეგ თავი აღარ შეუხსენებია“ — განაცხადა სერენამ, რომელმაც მეტოქეც შეაქო, მაგის ასაკში ვერც კი წარმომიდგენია, როგორ უნდა ითამაშო ასე კარგადო.

ტოზია, კი რომელიც ამ სეზონის შემდეგ სპორტიდან წასვლას აპირებდა, ალბათ შეცვლის ამ გადაწყვეტილებას: „თანამემამულეების თვალწინ გამარჯვებაზე კარგი არაფერია. ჩემს მიზნად უიმბლდონის მოგება რჩება, მერე კი ვნახოთ...“

**მარსელის ღია პირველობა.**
**საფრანგეთი. დარბაზი, ხალიჩა.**
**საპრიზო 550 ათასი $**

მეოთხედფინალი: **სებასტიან გროსჟანი** (4, საფრანგეთი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:4, 6:4; **ფაბრის სანტორო** (6, საფრანგეთი) — ტიერი გუარდიოლა (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:3); **მარკ როსე** (შვეიცარია) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:4, 3:6, 6:2; **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 6:2, 3:6, 7:6 (7:5)

ნახევარფინალი: **როსე** — გროსჟანი 6:3, 6:3; **ფედერერი** — სანტორო 7:6 (7:4), 7:5

ფინალი: **როსე** — ფედერერი 2:6, 6:3, 7:6 (7:5).

მარსელის მეტად უცნაურ, ნაცრისფერკორტიან ტურნირზე კვირას ერთი აღსანიშნავი მოვლენა მოხდა — ATP ტურის ისტორიაში პირველად ფინალში ერთმანეთს ორი შვეიცარიელი შეხვდა.

თანამემამულეობის გარდა მარკ როსესა და როჯერ ფედერერს ძნელად თუ უპოვით საერთოს — როსე ფრანგულენოვანი, 2 მეტრზე მაღალი, ძვალტყავა და ქერა 29 წლის ვეტერანია, ფედერერი — 18 წლის შავგვრემანი, სამხრეთაფრიკული წარმოშობის ჩაფსკვნილი ამომავალი ვარსკვლავი.

გადამწყვეტ მატჩამდე შვეიცარიელებმა მსგავი გზებით იარეს: მეოთხედფინალში ორივემ ხორვატს მოუგო (ფედერერმა ივან ლუბიჩიჩთან შეხვედრაში ორი მატჩ-პოინტი გადაარჩინა), ნახევარფინალში კი — ფრანგს.

„ძალიან ვღელავ, ეს ხომ ჩემთვის კარიერაში პირველი ფინალი იქნება. წლეულს მიზნად დავისახე, ერთი ტურნირი მაინც მოვიგო და ამის შესაძლებლობა სეზონის დასაწყისშივე მეძლევა“ — თქვა მატჩამდე ფედერერმა.

ფინალმა მეტად თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, როსე თავისი ტყვიასავით მოწოდების იმედზე იყო, მისი მეტოქე — მძლავრი ფორჰენდის. ფედერერმა მესამე სეტში 4:5-ზე სამი მატჩ-პოინტი აუღელვებლად გადაარჩინა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რკინის ნერვები აქვს, თუმცა ბოლოს, უწყინარ სიტუაციაში ბურთი ბადეში გაახვია და როსეს გულღიად მიულოცა გამარჯვება.

„როჯერი შვეიცარიული ჩოგბურთის მომავალია, მაგრამ ჯერ არ მინდოდა, მისთვის ესტაფეტა გადამეცა. ამ ტურნირის მესამედ მოგებამ დიდი სიამოვნება მომანიჭა“, — აღნიშნა 1992 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა როსემ, რომელიც შვეიცარიის დევისის თასის გუნდიდან ასაკის გამო დაითხოვეს.

**დუბაის ღია პირველობა. არაბთა გაერთიანებული საემიროები.**
**ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $**

მეოთხედფინალი: **ნიკოლას კიფერი** (1, გერმანია) — ჟერომ გოლმარი (8, საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:2); **ალბერტ კოსტა** (4, ესპანეთი) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 6:2, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — ფელიქს მანტია (6, ესპანეთი) 6:3, 4:6, 7:6 (9:7); **ქარიმ ალამი** (მაროკო) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:4, 6:2

ნახევარფინალი: **კიფერი** — კოსტა 6:2, 6:0; **ფერერო** — ალამი 7:6 (7:3), 6:3

ფინალი: **კიფერი** — ფერერო 7:5, 4:6, 6:3

ნიკოლას კიფერს ამ გამარჯვებისთვის არაბებმა 137 ათასი დოლარი და ახალთახალი BMW უწყალობეს.

**სან ხოსე. აშშ.**
**SUBASE OPEN**
**დარბაზი, ჰარდი.**
**საპრიზო 350 ათასი $**

მეოთხედფინალი: **მარკ ფილიპუსისი** (2, ავსტრალია) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 7:6 (7:4), 6:4; **მიქაელ ტილსტრომი** (შვედეთი) — მაიკლ ჩანგი (4, აშშ) 2:6, 6:3, 6:3; **ჯიმ კურიე** (5, აშშ) — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 6:4, 6:4; **უეინ ფერერა** (7, სამხრეთ აფრიკა) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 4:6, 6:4, 6:3

ნახევარფინალი: **ფილიპუსისი** — კურიე 4:6, 6:3, 6:4; **ტილსტრომი** — ფერერა 7:6 (9:7), 2:6, 6:3

ფინალი: **ფილიპუსისი** — ტილსტრომი 7:5, 4:6, 6:3.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS პარიზიდან

ნატალი ტოზია



# ავსტრალიელებმა ჩაყვინთეს. დროებით

**მოცურავეთა** მსოფლიოს თასის მეათე ეტაპის პირველ დღეს ავსტრალიელ მრავალგზის მსოფლიოს რეკორდსმენის, იან ტორპის გამოსვლას წარმატებულიც შეიძლება ვუწოდოთ და წარუმატებელიც.

ბერლინის მეცხრე ეტაპის დაძაბული შაბათ-კვირის შემდეგ გამარჯვებებს ჩვეულმა ტორპმა იტალიის ქალაქ იმპერიაში გამოსვლა 100 მეტრზე თავისუფალ სტილით ცურვაში მარცხით დაიწყო. იგი მეორე ადგილზე გავიდა და თავის რუს მეტოქეს დენის პიმანკოვს 27 მეათედი წამით ჩამორჩა. თუ გავითვალისწინებთ ტორპის ამასწინანდელ განცხადებას, 100-მეტრიანი დისტანციის ათვისებას შემოდგომისთვის ვაპირებო, მაშინ საგანგაშო არაფერია, რადგან იგი გამარჯვებებს ძირითადად 200 და 400 მეტრზე აღწევს და მსოფლიოს რეკორდებსაც ამყარებს. თუმცა ამჯერად მას ამგვარი შედეგი არ უჩვენებია. არადა, ყველა მოელოდა, რომ ტორპი თანამემამულის, გრანტ ჰეკეტის მიერ აპრილში, ჰონკონგში, დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს (3.35,01) შეუტევდა, მაგრამ იგი ასეთ შედეგს 10 წამით ჩამორჩა (3.45,27), თუმცა ტორპისთვის ამას ხელი არ შეუშლია, რომ მასპინძლები — ყოფილი ევროპის ჩემპიონი ემილიანო ბრემბილა და ანდრეა რივი უკან მოეტოვებინა. ამ ფინალური გაცურვის შემდეგ ტორპმა თქვა, ახლა კიდევ ერთი მსოფლიოს რეკორდის დამყარებას სულაც არ ვესწრაფვოდიო.

ასპარეზობის მეორე დღეს ტორპმა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც გაიმარჯვა და თავის მსოფლიოს რეკორდს თითქმის ხუთი წამით ჩამორჩა — 1.45,87.

ეს ავსტრალიელი იმპერიაში ჩვეულებრივი, მოკლე საცურაო კოსტიუმით ასპარეზობდა.

— მთლიან კოსტიუმს მაშინ ვიცმევ, როდესაც კარგ შედეგს ვუმიზნებ — განმარტა ტორპმა. ასე იყო თუ ისე, მან „მსოფლიო თასი 2000“ ასპარეზობათა სერია მეათე ეტაპით დაასრულა.

— ჩემი შედეგებით კმაყოფილი ვარ. ვისიამოვნე ყველა გაცურვით და ყველა იმ ადგილით, სადაც კი ვიასპარეზე. ახლა შინ, სიდნეიში გავემგზავრები, რომ მთელი დატვირთვით ვივარჯიშო. წონაშიც უნდა მოვიკლო, რათა სიდნეის ოლიმპიურ აუზში მაისში დაგეგმილი წინა-საოლიმპიადო გამოცდა ჩავაბარო — თქვა ტორპმა.

აღსანიშნავია, რომ მწვანე კონტინენტის მოცურავეები საერთაშორისო ასპარეზობიდან შემოდგომამდე გაუჩინარებას აპირებენ. ამით მათ ზაფხულის ევროპული ტურნირების უგულებელყოფა განუზრახავთ და არც მარტში ათენის მცირე წყლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვლენ, სადაც მხოლოდ ჭაბუკთა ნაკრებს გააგზავნიან.

— ოლიმპიური წელი განსაკუთრებულია, ამიტომაც ძალების დაქსაქსვასა და რისკის გაწევას არ ვაპირებთ— განმარტა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დონ ტელბოტმა.

რაც შეეხება მსოფლიოს თასის მეათე ეტაპზე სხვათა გამოსვლებს, იგი საკმაოდ უხვმოსავლიანი გამოდგა ამერიკელი ვარსკვლავის ჯენი ტომპსონისთვის. ტომპსონმა, რომელსაც აქამდე რამდენიმე ეტაპი გამოეტოვებინა, თავისი დაბრუნება ერთბაშად ხუთი გამარჯვებით აღნიშნა — ჯერ 100 მეტრზე ბატერფლაით და 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში იზეიმა გამარჯვება, მერე კი ეს დისციპლინები გაადაადგილა და იმავე მანძილებზეც ასეთივე წარმატებას მიაღწია. ამ ყველაფერს თან 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გამარჯვებაც მიაყოლა. ამით მან წინა ორი მსოფლიოს თასის დაუმარცხებელი სერია გააგრძელა.

ეს ეტაპი წარმატებული გამოდგა მასპინძლებისთვისაც. მათ საერთო ჯამში, ოთხ-ოთხი ოქრო-ვერცხლი და ერთიც ბრინჯაო მოიპოვეს, ხოლო ფაბიო ფარაბეგოლიმ 200 მეტრზე ბრასში იტალიის რეკორდი დაამყარა (2.11,42), რაც საკმარისი არ აღმოჩნდა რუსი არსენ მალიაროვის დასამარცხებლად.

**გიგა გურასაშვილი**



# დაისვენეთ!

**სააგენტო** „როიტერმა“ გამორჩეული ყურადღება ინგლისელი მძლეოსნის, ლინფორდ კრისტის არაეთიკურ საქციელს დაუთმო.



ლინფორდ კრისტი

100 მეტრზე რბენაში ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი, არც კანის ფერით და არც მანერებით წააგავს ოდითგანვე ზრდილობით ქებულ ინგლისელ ჯენტლმენებს. 39 წლის კრისტის ახლა კრიტიკული დღეები უდგას. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის 12 თებერვლის საგანგებო თავყრილობამ მორბენალი ერთობ ცუდ ხასიათზე დააყენა — მძლეოსნობის მამათაგან მიღებული გადაწყვეტილებით, მას, როგორც ნანდროლონის უკანონო მიღებაში შემჩნეულს, ეკრძალება ნებისმიერ სამძლეოსნო ტურნირებში ასპარეზობა, სანამ IAAF-ის საარბიტრაჟო კომისია საბოლოო ვერდიქტს არ გამოიტანს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ უარყოფითი განაჩენის შემთხვევაში კრისტისთვის მსოფლიო მძლეოსნობის კარი კიდევ ორი წლით დაიკეტება. ამასობაში სიდნეის ოლიმპიადაც მოახლოვდა და 42 წლის კრისტიმ აღარ იცის, რა ქნას, ივარჯიშოს, თუ განაჩენს დაელოდოს. ლოდინი შეიძლება, მაგრამ როდემდე? საარბიტრაჟო კომისიის სხდომის გამართვის თარიღი ჯერაც დაუდგენელია და ეშმაკმა უწყის, როდის რა იქნება.

ერთი სიტყვით, მონაკოში მიმდინარე IAAF-ის საბჭოს საგანგებო სხდომა, მიღებული გადაწყვეტილებებითაც საგანგებო იყო. მთლად ასეც არ შეიძლებაო, კორექტულად შეუნიშნავთ მსოფლიოს მძლეოსნობის მამებს, ჩვენ დოპინგიან ხალხს ვაფიქსირებთ, იმათი ფედერაციები უკლებლივ ყველას ამართლებენ, მეტიც, შეჯიბრებებში გამოსვლის ნებას აძლევენო; ბრიტანეთმა კრისტი და ძმანი მისნი გაამართლა, იამაიკამ — მერლინ ოტი, კუბამ — ხავიერ სოტომაიორი და ა. შ. 12 თებერვლის IAAF-ის გადაწყვეტილებით, მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციებს ეს უფლება ჩამოერთვათ და მკაცრად დადგინდა: ეჭვმიტანილი სპორტსმენი უქმად იქნება მანამ, სანამ არ გაამართლებენ ან სასჯელის ვადა არ ამოეწურება. ეს ზოგადად, ახლა კი კვლავ კრისტის არაეთიკურ ქმედებებს დავუბრუნდეთ. აღწერილი სამწუხარო ამბავი მორბენალმა ავსტრალიაში შეიტყო, როცა სიდნეის ჩრდილოეთით, ზღვისპირას გაშენებულ სპორტის სახელმწიფო აკადემიაში თავის ფეხმარდ შეგირდებს ავარჯიშებდა. ამბის გაგებისთანავე აკადემიას ჟურნალისტები და ფოტოგრაფები დაეხვივნენ, იქნებ კრისტის დაღრეჯვას ვკიდოთ თვალი და ერთი-ორი სიტყვაც ვათქმევინოთო, მაგრამ არ გაუმართლათ. ბრიტანელმა მასმედიას ეშვი უჩვენა და ერთი ისეთი შეუღრინა, 100 მეტრის რადიუსში კაცის ჭაჭანება არ დარჩა. ვარჯიში რომ დასრულდა, კრისტიმ ასევე უკმაყოფილო სახით დატოვა აკადემია და მოშორებით მორიდებულად მდგარ ჟურნალისტებს შეგირდებიც არ გააკარა. „დაანებეთ თავი მაგ გამომძალველებს“ — უთხრა შეგირდებს —„ეგენი ნაღდი კიბოები არიან“.

**დავით გულუა**

# XX საუკუნის ფოტომატიანე

№1




— რომელი საათია?

— ათს ექვსი აკლია.

მეორე დღეს ისევ.

— რომელია?

— ათს აკლია ექვსი.

და ასე დაუსრულებლად.

ჩვეულებრივ არავის ახსოვს რას აკეთებდა, ათს რომ ექვსი აკლდა, ვთქვათ წინა სამშაბათს... მით უმეტეს გასულ წელს ან ოცი წლის წინ.

იმ დღეს კი ათს ექვსი სხვანაირად აკლდა. დახედეთ ფოტოს. განა თქვენ, ვინც მაშინ ბავშვობის ფერად შუქჩრდილებს გადაცდენილი ბრძანდებოდით, გჭირდებათ რაიმე მინიშნება, მითითება ან შეხსენება? განა ზუსტად არ გახსოვთ, სად იჯექით, ტელევიზორიდან მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში, მეგობრის ოთახში, ბიძაშვილთან, ენეოდით, ხელში ნერვიულად ასანთს ათამაშებდით თუ უკვე სკამიდან წამოიწიეთ რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში?

მოდით, მრავალსიტყვაობით ნულა შეურაცხვყოფთ იმ ათს რომ ექვსი წუთი აკლდას.

ისე, ათს ექვსი გერმანიაში აკლდა, დიუსელდორფში. ჩვენთან პირველს აკლდა ექვსი... ვიტალი დარასელია შნუპჰაზეს ატყუებდა...

რუბრიკა, რომელსაც „XX საუკუნის ფოტომატიანე" დავარქვით, დღეს ამას გთავაზობთ, მომავალში კი, პერიოდულად, გაიხსენებს წამს, როდესაც თქვენ ტელევიზორთან მარჯვნივ, მარცხნივ ან სულაც არ იჯექით, იქნებ სამსახურშიც იყავით ან გეძინათ, რადგან, ვთქვათ, მძლეოსნობა ან კალათბურთი არ გიყვართ.

და მაინც, ის ჩვენი ცხოვრების წამი იყო.

## მთის თხილამურობა

# დიადებიც ჩიჩქნიან თოვლს

გერმანელი მარტინა ერტლი სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს თასის მარათონის მორიგი მსხვერპლია. ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი, სანტა კატარინაში სუპერგიგანტის ტრასაზე დავარდა და მიუნხენის ჰოსპიტალში მოხვდა. გამოკვლევის შემდეგ ექიმმა ჰერმან მეირმა განაცხადა, რომ სპორტსმენს გაგლეჯილი აქვს მენისკი. ამასთან დაზიანებულია მუხლის ძვალიც. ეს ტრავმა ერტლს სულ ცოტა, ოთხი კვირით მაინც ჩამოაცილებს შეჯიბრებებს, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ მისთვის წლევანდელი სეზონი დასრულდა.

საფიქრალია, რომ სათხილამურო სპორტის ფედერაციას წლევანდელი სეზონის შემდეგ სერიოზული თავსატეხი გაუჩნდება. შესაძლოა, რაღაც განსაკუთრებული ზომების მიღება გახდეს საჭირო, რათა გაუთავებელი ტრავმები როგორმე შემცირდეს. ხუმრობა ხომ არ არის: სეზონის დაწყებიდან ტრავმების გამო თასისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ თასის შარშანდელი მფლობელი ალექსანდრა მაიზნიცერი, ოლიმპიური ჩემპიონი სლალომში ჰილდე გერგი, ოლიმპიური თამაშების არაერთგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი პერნილა ვიბერგი, ხორვატი სუპერვარსკვლავი იანიკა კოსტელიჩი...

ეს ჰერმინატორის პირველი დაცემა იყო ნაგანო 98-ის შემდეგ. სამთომოთხილამურე კაცებმა გასული უქმეები ავსტრიაში გაატარეს. ჰერმან მაიერი საკუთარი მაყურებლის წინაშე შერცხვა — „კარლ ბრანცის" ტრასის ზემო ნაწილში, როგორც თვითონ სპორტსმენმა თქვა, სულელური შეცდომის გამო შეჯიბრებას გამოეთიშა და გიგანტურ სლალომში ტრიუმფალური გამარჯვების სერია შაწყვიტა. „როგორც ჩანს, ამ ადგილის უკეთ შესწავლა მომიწევს", ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა საკუთარ თავზე საშინლად გაბრაზებულმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. ეტაპი კი მისმა თანამემამულე იოზეფ შტრობლმა მოიგო. ეტყობა, სამთოსათხილამურო სპორტის ეს სახე, სუპერგიგანტს ვგულისხმობთ, ავსტრიელთა საშინაო საქმედ იქცა. თავად განსაჯეთ — უკანასკნელი 20 შეჯიბრება სწორედ მათ და მხოლოდ მათ მოიგეს, მათ შორის 14 ჰერმინატორის ანგარიშზეა.

### საერთო ჩათვლა

ქალები, 12 თებერვალი

სლალომი

1. სპელა პრეტნარი (სლოვენია) 1.29,14
2. კრისტელ საიონი (საფრანგეთი) 1.29,44
3. ანია პერსონი (შვედეთი) 1.29,61

კომბინაცია

1. რენატა გოეტშლი (ავსტრია) 2.58,05 წთ
2. კაროლინა ლალივე (აშშ) 2.59,34
3. ანდრინ ფლემენი (ნორვეგია) 3.00,70

საერთო ჩათვლა

1. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 947 ქულა
2. რენატა გოეტშლი 913
3. რეგინა კავანიუ 739

### საერთო ჩათვლა

კაცები, 12 თებერვალი

სუპერგიგანტი

1. იოზეფ შტრობლი (ავსტრია) 1.23,41 წთ
2. დიდიე კუკი (შვეიცარია) 1.23,54
3. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 1.23,55

13 თებერვალი

სუპერგიგანტი

1. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 1.20,72 წთ
2. ვერნერ ფრანცი (ავსტრია) 1.20,72
3. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1.20,98

საერთო ჩათვლა

1. ჰერმან მაიერი 1570 ქულა
2. კეტ ამოდტი (ნორვეგია) 1144
3. იოზეფ შტრობლი 852

## ფიგურული სრიალი

# სლუცკაია მართლა კაია

გუშინწინ ვენიდან, ფიგურულად მოსრიალეთა ევროპის ჩემპიონატიდან სენსაციური ამბავი მოვიდა. უკვე 32 წელია ფიგურული სრიალის ნებისმიერი სახეობის საპრიზო სამეულში უეჭველად მოიხსენიება რუსული გვარი. თუმცა... ეს გუშინწინ იყო, გუშინ კი საციგურაო რუსეთი ნამდვილმა გლოვამ მოიცვა. მოცეკვავეთა შეჯიბრი ფრანგებმა მოიგეს (მარინა ანისინა და გვენდალ პეიზერი), მათ იტალიელები მიჰყვნენ (ბარბარა ფუზარ-პოლი და მაურიციო მარგალიო), ხოლო ლიტვურმა დუეტმა (მარგარიტა დრობიაზკო და პავილას ვანაგასი) მესამე ადგილზე გასვლით თავისი ქვეყნის საციგურაო წარმატებათა ისტორიას ჩაუყარა საფუძველი. რუსები საუკეთესოთა შორის ვერ მოხვდნენ. მათ ვერც ის ფაქტი დაამშვიდებთ, რომ როცა ანისინა იუნიორებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, რუსული დროშის ღირსებას იცავდა. ისიც ვერაფერი ნუგეშია, რომ მოსკოველი დრობიაზკო მხოლოდ მოგვიანებით გახდა ლიტვის ქვეშევრდომი. ნუგეში კი არა, სწორედ ეს აშფოთებს რუსულ პრესას, ჩვენები სხვისი სახელით მედლებს და ტიტულებს რად უნდა იხვეჭდნენო. ცალკე თემაა მწვრთნელები. იტალიურ დუეტს ტატიანა ტარასოვა ამზადებდა ჩემპიონატისთვის, ხოლო ლიტველებმა ელენა ჩაიკოვსკაიას ხელმძღვანელობით უწიეს მესამე ადგილს. ორივე ქალბატონს 30-წლიანი სამწვრთნელო სტაჟი აქვს, დღეს კი უცხოელებს ემსახურებიან. რუსული მასმედიის აღშფოთებაც, ალბათ, გასაგებია.



REUTERS ვენიდან

ირინა სლუცკაია

მიუხედავად ყველაფრისა, რუსებმა უკვე მომდევნო და ჩემპიონატის ბოლო დღეს დაამტკიცეს, რომ მათი ჩავარდნა დროებითი ამბავი იყო და კვლავ ფიგურული სრიალის მოდის კანონმდებლები არიან. რუსმა ქალებმა ერთეულთა ასპარეზობაში ისე უნაკლოდ იცეკვეს, ყველა საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. გაიმარჯვა ევროპის სამგზის ჩემპიონმა ირინა სლუცკაიამ, მეორე ადგილზე ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი მარია ბუტირსკაია გავიდა, ხოლო ჩემპიონატის აღმოჩენა, ვიქტორია ვოლჩკოვა ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა.

## ჰოკეი

NHL

11 თებერვალი

**ლოს ანჯელესი — დალასი 3:2**

2:0 1:1 0:1

1:0 შტუმპელი 7'12 (8); 2:0 გელი 14'45 (7); 2:1 გეივი 25'55 (2); 3:1 რობიტაილი 39'59 (26); 3:2 მატვიჩუკი 46'18 (3)

**პიტსბურგი — ედმონტონი 2:2**

2:0 0:0 0:2 0:0

1:0 სტრაკა 4'20 (13); 2:0 სტრაკა 4'27 (14); 2:1 მარჩანტი 45'09 (13); 2:2 ჰამრლიკი 51'54 (5)

**ატლანტა — სან ხოსე 0:3**

0:2 0:0 0:1

0:1 მატო 1'08 (8); 0:2 მარლო 6'37 (14); 0:3 ნოლანი 58'48 (35)

**ოტავა — ფლორიდა 5:3**

1:0 1:1 3:2

1:0 ალფრედსონი 17'47 (8); 2:0 ფილიპსი 29'57 (3); 2:1 პიტლიკი 30'58 (3); 2:2 ნიდერმაიერი 43'53 (8); 2:3 ბურე 50'04 (38); 3:3 იორკი 54'21 (5); 4:3 ბონკი 56'32 (15); 5:3 მაკიჩერნი 57'10 (20)

**რეინჯერსი — ბოსტონი 5:2**

3:1 0:1 2:0

0:1 ბურკი 2'01 (8); 1:1 კამენსკი 14'12 (8); 2:1 ჰლავაჩი 17'17 (11); 3:1 იუნსონი 18'37 (6); 3:2 სავაჟი 36'25 (4); 4:2 ჰლავაჩი 49'22 (12); 5:2 ჰლავაჩი 50'12 (13)

12 თებერვალი

**ფილადელფია — ბუფალო 3:2**

1:0 1:2 0:0 1:0

0:1 სანდერსონი 13'39 (8); 0:2 ბარნსი 26'37 (13); 1:2 მაკ ჯილისი 29'49 (4); 2:2 ლანგკოუ 33'52 (11); 3:2 ლეკლერი 62'28 (29)

**ატლანტა — ჩიკაგო 3:4**

0:1 2:2 1:1

0:1 მაკამონდი 13'28 (12); 1:1 გარპენლოვი 26'44 (2); 1:2 ამონტე 29'25 (24); 2:2 სტეპლტონი 31'30 (6); 2:3 დინი 39'51 (2); 2:4 სალივანი 52'53 (10); 3:4 ტრამბლე 59'29 (6)

**ბოსტონი — ფლორიდა 1:5**

1:2 0:0 0:3

0:1 რ. ჯონსონი 5'27 (3); 0:2 პერიში 12'06 (20); 1:2 ბეიტსი 13'15 (2); 1:3 ბურე 48'32 (39); 1:4 პერიში 50'35 (21); 1:5 ლოსი 50'48 (2)

**მონრეალი — ოტავა 5:4**

2:0 1:3 2:1

1:0 ვულინი 16'17 (7); 2:0 ჟოლტოკი 17'23 (16); 2:1 ბონკი 23'20 (16); 3:1 ბრისბუა 28'09 (5); 3:2 ჰოსა 29'35 (19); 3:3 ალფრედსონი 35'46 (9); 4:3 ბრიუნე 43'13 (7); 4:4 პროსპალი 46'53 (14); 5:4 სტივენსონი 47'23 (3)

**აილენდერსი — პიტსბურგი 5:1**

2:0 0:1 3:0

1:0 ბირონი 2'26 (3); 2:0 ჩერკავსკი 16'26 (22); 2:1 პრდინა 33'10 (12); 3:1 ი. იუნსონი 42'02 (11); 4:1 ჰიუარდი 50'04 (6); 5:1 ლაპუანი 53'48 (10)

**ტორონტო — ვანკუვერი 1:4**

0:2 0:1 1:1

0:1 ბერტუცი 3'26 (11); 0:2 ჟოვანოვსკი 8'02 (1); 0:3 კესელსი 25'55 (10); 1:3 ჰოგლუნდი 44'46 (23); 1:4 ბერტუცი 58'41 (12)

**ტამპა — კაროლინა 2:5**

0:0 2:3 0:2

0:1 კრონი 20'59 (8); 0:2 ჰილი 22'47 (7); 1:2 ეკმანი 27'52 (1); 1:3 ონეილი 29'18 (16); 2:3 მარა 39'34 (5); 2:4 ჟელინა 50'10 (9); 2:5 ჟელინა 56'00 (10)

**ნეშვილი — ვაშინგტონი 2:4**

1:0 1:2 0:2

1:0 ლეგვანდი 9'40 (11); 1:1 გონჩარი 23'55 (15); 1:2 საიმონი 25'13 (16); 2:2 ჩელბერგი 35'11 (20); 2:3 ოუთსი 45'56 (9); 2:4 საიმონი 59'11 (17)

**ფინიქსი — კალგარი 4:3**

1:1 2:0 1:2

1:0 ლეტოვსკი 4'12 (12); 1:1 იგინლა 10'53 (13); 2:1 ტოკეტი 21'34 (12); 3:1 რენიკი 34'46 (25); 4:1 რენიკი 58'18 (26); 4:2 ბეგინი 58'49 (1); 4:3 ლინდსეი 59'56 (6)

13 თებერვალი

**ნიუ ჯერსი — სან ხოსე 3:1**

1:0 1:0 1:1

1:0 რაფალსკი 19'11 (3); 2:0 ელიაში 28'10 (24); 3:0 ნემჩინოვი 41'40 (6); 3:1 სუნდსტრიომი 42'19 (7)

**ბუფალო — ედმონტონი 2:2**

1:1 0:0 1:1 0:0

0:1 გრირი 13'28 (8); 1:1 პეკა 18'24 (11); 2:1 სანდერსონი 44'48 (9); 2:2 რ. სმიტი 51'25 (20)

**რეინჯერსი — აილენდერსი 2:4**

1:0 1:3 0:1

1:0 ჰლავაჩი 7'37 (14); 1:1 კროგი 24'18 (1); 2:1 დვორჟაკი 27'16 (13); 2:2 გრინი 28'28 (8); 2:3 ბირონი 36'20 (4); 2:4 ლაპუანი 59'16 (11)

**კოლორადო — დეტროიტი 3:4**

2:0 1:2 0:2

1:0 დრური 11'20 (17); 2:0 საკიკი 16'23 (11); 3:0 ტანგეი 29'35 (11); 3:1 ფიოდოროვი 29'52 (16); 3:2 მაკარტი 32'15 (4); 3:3 ვერბიკი 52'11 (15); 3:4 შენაჰანი 56'07 (29)

**დალასი — ვაშინგტონი 2:1**

0:0 1:0 1:1

1:0 მოროუ 26'07 (9); 1:1 ზედნიკი 41'40 (14); 2:1 მოროუ 50'05 (10)


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli